



არა ბარიერებს, არა საზღვრებს

გზამკვლევი საერთაშორისო შერეული შესაძლებლობების
ახალგაზრდული პროექტების ორგანიზატორთათვის.

(შერეული შესაძლებლობების პროექტები - პროექტები, რომლებშიც
მონაწილეობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე
პირები)

გადმოწერეთ სალტოს ეს და სხვა ბუკლეტები უფასოდ შემდეგ
ელ-მისამართზე:

www.SALTO-YOUTH.net/Inclusion/

SALTO-YOUTH
INCLUSION
RESOURCE CENTRE



წიგნის „არა ბარიერებს, არა საზღვრებს“ ქართული ვერსიის გამოცემა უზრუნველყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“, პროექტის „სოციალური ინკლუზია ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობისათვის“ ფარგლებში.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ შეიქმნა 2007 წელს და ექვემდებარება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მისიაა: ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა; ბავშვებთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.

„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ძირითადი მიმართულებებია:

- ბავშვებსა და ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფების (იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, მზრუნველობა მოკლებული ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა) გაძლიერების ხელშეწყობა;
- ბავშვებსა და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, დანერგვისა და დამკვიდრების ხელშეწყობა.

პრა ბარიერებს, პრა საზღვრებს

ეს დოკუმენტი სრულად არ ასახავს ევროკომისიის, სალტოს ინკლუზიის რესურს ცენტრისა და მათი თანამშრომელი ორგანიზაციების ოფიციალურ შეხედულებებს.



რას ნიშნავს სალტო-ახალგაზრდობა?

SALTO არის **Youth in Action** (ახალგაზრდობა მოქმედებაში) პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამა. აბრევიატურა შემდეგნაირად ჟღერს: მხარდაჭერის და გაძლიერებული სწავლებისა და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობები. ევროკომისიამ შექმნა სალტო-ახალგაზრდობის რვა რესურს ცენტრისგან შემდგარი ქსელი, რათა წახალისებინა პროგრამა „ევროპელი ახალგაზრდობა მოქმედებაში“, რომლის მიზანია, ახალგაზრდებს არაფორმალური სწავლის გამოცდილება შესძინოს.

სალტოს მიზანია ორგანიზაციის „ევროპელი ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროექტების მხარდაჭერა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორებიცაა ევროპის მოქალაქეობა, კულტურული მრავალფეროვნება, პროექტებში, ტრენინგებში და სხვა მსგავს აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართვა. სალტოს მოღვაწეობა მოიცავს ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ ევროპას და კავკასიას.

ზემოთ ხსენებულ პრიორიტეტულ საკითხებში სალტო-ახალგაზრდობა აწვდის რესურსებს, ინფორმაციას და უტარებს ტრენინგებს ეროვნულ სააგენტოებს და ახალგაზრდულ მუშაკებს. რესურსების ნაწილი ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net. ასევე ხელმისაწვდომია ევროპული ტრენინგების კალენდარი, ტრენინგების და ახალგაზრდობის საკითხებზე მუშაობის მეთოდები, ტრენინგთა ონლაინ ბაზა ახალგაზრდებისთვის, ონლაინ რესურსების ლინკები და მრავალი სხვა...

სალტო-ახალგაზრდობა აქტიურად თანამშრომლობს მოზარდების საკითხებზე მომუშავე სხვა ევროპულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროგრამის ეროვნული სააგენტოები, ევროპის საბჭო, ევროპის ახალგაზრდული ფორუმი, მოზარდების საკითხებზე მომუშავეები, მწვრთნელები და ტრენინგების ორგანიზატორები.

სალტო-ახალგაზრდობის ინკლუზიის რესურს ცენტრი WWW.SALTO-YOUTH.NET/INCLUSION/

სალტოს ინკლუზიის რესურს ცენტრი (მდებარეობს ფლანდრიაში (ბელგია)) მუშაობს ევროკომისიასთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩასართავად პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ სხვადასხვა აქტივობებში. სალტო-ინკლუზია ასევე მხარს უჭერს ეროვნულ სააგენტოებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები ჩართონ პროექტებში და უზრუნველყოფს მათ შემდეგი რესურსებით:

- ტრენინგურები სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების აქტივობებში ჩაბმის საკითხებზე;
 - ტრენინგები, ახალგაზრდობის საკითხებზე მუშაობის მეთოდები და პროექტებში ჩართვის ხელშეწყობი მექანიზმები;
 - პრაქტიკული მამოტივირებელი პუბლიკაციები საერთაშორისო პროექტებისთვის;
 - უახლესი ინფორმაცია ინკლუზიის საკითხებზე და შესაძლებლობებზე „ინკლუზიის მოამბისგან“;
 - ინკლუზიის ონლაინ რესურსების ლინკები თავიანთი მოკლე აღწერებით;
 - ტრენინგების შეფასებები ინკლუზიის და ახალგაზრდობის საკითხების სფეროში;
 - დაინტერესებული პირების მოზიდვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინკლუზიის პროცესის გასამარტივებლად და ეფექტიანობის გასაზრდელად.
- მეტი ინფორმაციისთვის და რესურსებისთვის იხილეთ:

სარჩევი

„არა ბარიერებს, არა საზღვრებს“ შესახებ.....	4
ახალგაზრდობა, შენ და სხვადასხვა შესაძლებლობები.....	6
შეზღუდულ შესაძლებლობასთან მუშაობა	
- შენ ეს შეგიძლია!.....	7
ინკლუზია? რისთვის?.....	9
დაინახე ადამიანი და არა შეზღუდული შესაძლებლობა.....	12
შეზღუდული შესაძლებლობა ≠ უუნარობას.....	14
შეზღუდული შესაძლებლობის აღწერა და კლასიფიცირება.....	20
არის თუ არა თქვენი ორგანიზაცია ინკლუზიური?.....	26
შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტები	
- რატომაც არა?.....	28
სარგებელი და შესაძლებლობები.....	29
სირთულეები საზღვარგარეთ გამგზავრებისას.....	33
საერთაშორისო შერეული შესაძლებლობების	
პროექტისთვის მომზადება.....	36
დავინწყოთ ახალგაზრდების საჭიროებებით.....	37
ნდობის მოპოვება და თვითშეფასების ამაღლება.....	41
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	
თანატოლებთან თანამშრომლობა.....	45
შერეული შესაძლებლობების სამუშაო გარემოში	
პოზიტიური განწყობის შენარჩუნება.....	51
რისკების შეფასება.....	53
საერთაშორისო კავშირები.....	60
საერთაშორისო პარტნიორობის ჩამოყალიბება.....	61
საერთაშორისო ახალგაზრდული	
პროექტების დაფინანსება.....	69
საზღვარგარეთ გამგზავრება	
შერეული შესაძლებლობების ჯგუფში.....	74
აქტივობები შერეული შესაძლებლობების ჯგუფისთვის.....	78
მეთოდების ადაპტირება.....	85
ადვილად მიღწევადი ადგილები.....	87
რჩევები და ხერხები.....	87
მოდრაობის შეზღუდულობა.....	88
უსინათლობა ან მხედველობადაქვეითებულობა.....	93
სმენის სრული ან ნაწილობრივი დაქვეითება.....	96
აღქმის, შესწავლის და ინტელექტის დაქვეითება.....	99
შეზღუდული შესაძლებლობების სპეციფიკური სახეობები.....	100
გასაკეთებელი პროექტის მერეც ბევრია.....	104
ავტორი და კონსულტანტები.....	106
შენიშვნები, რესურსები და რეკომენდებული საკითხავი.....	108

ევროკომისიამ შექმნა მობილობის პროგრამა, რომელიც ახალგაზრდობას უმაღლესი ან პროფესიული განათლებისგან დამოუკიდებელ სწავლის გამოცდილებას სთავაზობს. პროგრამა „ევროპელი ახალგაზრდობა მოქმედებაში“ არის შესაძლებლობა, ახალგაზრდებისთვის რაღაც ახალი და განსხვავებული სცადონ, გამოიყენონ თავისუფალი დრო ისეთი უნარების შესაძენად, როგორებიცაა საერთაშორისო კომუნიკაცია, სოციალური და კულტურათაშორისი ცოდნა, ორგანიზატორული უნარ-ჩვევები და ა.შ. ეს შეიძლება ახალი პროექტების შთაგონების წყარო გახდეს და მოტივაცია მისცეს მათ ცხოვრებისეულ წამოწყებებში.

„არა ბარიერებს, არა საზღვრებს“ შესახებ



ამის მიუხედავად, პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ და მისი წინამორბედი YOUTH პროგრამა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ ახალგაზრდას უჭირს იმ ახალი შესაძლებლობების ბენეფიტის დანახვა, რომელსაც მას ევროპული მობილობის პროგრამა სთავაზობს. ბევრი ახალგაზრდა ვერ მონაწილეობს პროგრამაში სხვადასხვა ხელის შემშლელი ფაქტორის გამო: ზოგისთვის ეს შეიძლება იყოს არასახარბიელო სოციალ-ეკონომიკური პირობები, ზოგი მიეკუთვნება უმცირესობას, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლია, ზოგიერთი პერიფერიულ რეგიონებში ცხოვრობს, სხვებს კი შეზღუდული შესაძლებლობები აფერხებთ.

ნაიკითხეთ მეტი აქტივობაში ჩასაბმელი ჯგუფების შესახებ „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროგრამის ინკლუზიის სტრატეგიაში: www.SALTO-YOUTH.net/InclusionStrategy/

ყოველი შვიდი ადამიანიდან ერთს აღენიშნება შესაძლებლობების შეზღუდვის რაიმე ფორმა, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ ეხება ახალგაზრდებს, რომლებიც სარგებელს იღებენ „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროგრამიდან. შესაბამისად, SALTO-YOUTH-ის ინკლუზიის რესურს ცენტრმა 2003 წელს მოაწყო ორი ტრენინგ კურსი სახელწოდებით „Enable“ ახალგაზრდული მუშაკების მხარდასაჭერად საერთაშორისო შერეული შესაძლებლობების პროექტების ორგანიზების საკითხში, ანუ იმ პროექტების განსავითარებლად, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე არმქონე პირების მონაწილეობას. ეს გზამკვლევი დაფუძნებულია ამ ორი კურსის პროგრამაზე და იმ ექსპერტების რჩევებზე, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე, ან თავად არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი.

ჩვენ სპეციალურად ვარიდებთ თავს ე.წ. „შეზღუდული შესაძლებლობების პროექტებზე“ მუშაობას, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები გამოიყოფიან საზოგადოებისგან. ჩვენი მიზანია „შერეული შესაძლებლობების პროექტების“ პოპულარიზაცია, სადაც თანატოლები, რომლებსაც აქვთ ან არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, ერთად მიიღებენ მნიშვნელოვან და პოზიტიურ გამოცდილებას და პარალელურად, შეძლებენ ნორმალურ ურთიერთობას, მათი შესაძლებლობების ან სპეციალური საჭიროებების მიუხედავად.

თუ თქვენ ახალგაზრდობის საკითხებზე მუშაობას სერიოზულად უდგებით, თქვენი საქმის ნაწილია, იყოთ ინკლუზიური და თქვენმა მოღვაწეობამ მოიცვას ყველა ახალგაზრდა, მათ შორის კი ის 15%, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. „არა ბარიერებს, არა საზღვრებს“ სთავაზობს ახალგაზრდულ მუშაკებს და პროექტების ორგანიზატორებს (შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებს ან არმქონეებს) კონკრეტულ რჩევებს და ინსტრუქციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავიმარტივოთ შეზღუდული შესაძლებლობების პროექტების ორგანიზება. ამ წიგნში ახსნილია, როგორ უნდა მოამზადოთ შეზღუდული შესაძლებლობების როგორც მქონე, ასევე არმქონე ახალგაზრდები, რა საკითხებს მიაქციოთ ყურადღება მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის და როგორ მოარგოთ თქვენი პროგრამა სხვადასხვა განსაკუთრებულ საჭიროებებს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი შთაგაგონებთ და დაგეხმარებათ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები ჩართოთ თქვენს პროექტში. ვფიქრობთ, ეს ყველასთვის მომგებიანია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები თავს საზოგადოების ნაწილად იგრძნობენ, ხოლო არმქონენი ისწავლიან, როგორ უნდა დაამარცხოთ შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სტერეოტიპები. უმთავრესი კი ის არის, რომ თქვენს წვლილს შეიტანთ ახალგაზრდების უფლებებისა და თანასწორობის დაცვის საქმეში.

ნაიკითხეთ მეტი შერეული შესაძლებლობების პროექტების სარგებლის შესახებ თავში „სარგებელი და შესაძლებლობები“ (გვ. 29).

ეს თავი გაგაცნობთ შეზღუდული შესაძლებლობის
ცნებას და გაფანტავს იმ მითებს და სტერე-
ოტიპებს, რომლებიც ამ ცნებას უკავშირდება. თუმცა
აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ ხსენებული საკითხი
ჯერ კიდევ ვითარდება და, შესაბამისად, იცვლება
მიდგომა და დამოკიდებულება მის მიმართ.

ახალგაზრდობა, შენ და სხვადასხვა შესაძლებლობები



შეზღუდული შესაძლებლობების ცნება მოიცავს ორ მხარეს. ერთია პირადი ნიშნები (რაც გამოიხატება ჯანმრთელობის მდგომარეობაში), მეორე კი სოციალური ინტერაქციის შეზღუდულობა (დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ა.შ.).

ეს ნიგნი ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავეებს გააცნობს როგორც შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მხარეს და კლასიფიცირების მეთოდებს, ასევე იმას, თუ როგორ უნდა დაიძლიოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ადამიანებს შორის ურთიერთობაში (შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური პარამეტრები).

შეზღუდულ შესაძლებლობასთან მუშაობა – შენ ეს შეგიძლია!

ყველა ადამიანს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ისეთ ადამიანებთან კონტაქტისას, რომლებსაც სხეულის აშკარად შეზღუდული და/ან განსხვავებული ფუნქციები აქვთ (იქნება ეს მხედველობა, სმენა, მეტყველება, კონცენტრირება, მოძრაობა თუ ჩაცმულობა), ან სხეულის განსხვავებული ზომა და პროპორციები (დიდი და პატარა ადამიანები, სხეულის ნაწილების არმქონე ადამიანები), ჩვენ მიჩვეული ვართ გაოცებას და ჩვენი ქცევის მათ შეზღუდულ შესაძლებლობებზე მორგებას. ხშირად ადამიანები შეზღუდულ შესაძლებლობას აღიქვამენ, როგორც რაღაც უცნაურს. ზოგიერთს შეიძლება სიბრალული გაუჩნდეს და შესაბამისად - სურვილი, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, ზოგიერთს კი პირიქით - სურვილი, აარიდოს თავი ასეთ ადამიანთან კონტაქტს, რადგან მან არ იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ასეთ რეაქციებს ჰქვია ცნობიერი ან არაცნობიერი დიზაბილიზმი.

არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი დამოკიდებულებიდან (სიბრალულით გამოწვეული მფარველობის სურვილი ან ინტერაქციის შიში) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის სასარგებლო არ არის და არც პატივისცემის გამომხატველია მის მიმართ. ამ ნიგნის მიზანია სწორედ ისაა, რომ გასწავლოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან „ნორმალური“ ურთიერთობა.

.....

• თქვენ როგორ იგრძნობდით თავს...

.....

- თუ ქალაქის მეტროპოლიტენის რუკის შესწავლისას თქვენთვის სრულიად უცხო ადამიანი დაუკითხავად მოგკიდებდათ ხელს და ასევე უკითხავად გიბიძგებდათ რაღაც მიმართულებით?
- თუ ადამიანები ისე გესაუბრობდნენ, როგორც მცირეწლოვან ბავშვს იმიტომ, რომ პირველად ნათქვამი ვერ გაიგეთ ხმამალალი მუსიკის გამო ან იმის გამო, რომ მათი ენა კარგად არ გესმით?
- თუ ადამიანები თქვენს მეგობართან საუბრისას არანაირ ყურადღებას არ მოგაქცევდნენ იმიტომ, რომ ავტომობილების ან ინფორმაციული ტექნოლოგიების არაფერი გაგეგებათ?
- თუ ადამიანები დაიძაბებოდნენ თქვენთან ახლოს ყოფნისას და თვალს აგარიდებდნენ იმის გამო, რომ უცნაური ჩაცმულობა ან ვარცხნილობა გაქვთ?

• შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ხშირად გამოცდიან საკუთარ თავზე ასეთ რეაქციებს.

.....

☞ მეტი რჩევა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ინტერაქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან, იხილეთ სექციაში „ზოგადი რჩევები შშმ პირებთან ურთიერთობისთვის“ (გვ. 19).

ყველას აქვს განსხვავებული **ჯანმრთელობის მდგომარეობა**, მაგრამ ზოგიერთი დაავადება ან ტრავმა იწვევს ამა თუ იმ სიმძიმის შეზღუდულობას (სხეულის არასტანდარტულ სტრუქტურას ან გარეგნულ თვისებებს და/ან ორგანოების ან ორგანიზმის ფუნქციონირებას), ეს კი, თავის მხრივ, იწვევს **შეზღუდულ შესაძლებლობებს** (ორგანიზმის ფუნქციონირების შეზღუდვის შედეგი). ნყარო: www.who.int.

მეტი რამ ტერმინოლოგიის შესახებ აღწერის და კლასიფიცირების სექციაში (გვ. 20).

მართალია, ასეთი ადამიანების **ფიზიკური და გონებრივი აქტივობა** შეზღუდულად მიიჩნევა **ჯანმრთელობის სპეციფიკური მდგომარეობის გამო**, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა სპეციალურად მათთვის ადაპტირებულ აქტივობებში. ამგვარად, შეზღუდულ შესაძლებლობას აქვს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალური მიზეზებიც. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხშირად არიან გარიყული სოციალური ან ენიჭებათ განსხვავებული სტატუსი სხვა ადამიანების მიერ იმის გამო, რომ ისინი არ ამართლებენ **სოციალურ მოლოდინებს**, მაგალითად, არ შეუძლიათ, იგივე აქტივობები განახორციელონ, როგორც სხვა ადამიანები ახორციელებენ. ხშირად სწორედ ეს არის ყველაზე პრობლემური შეზღუდული შესაძლებლობა, და არა ის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს აქვს.

ახალგაზრდული (და არა მხოლოდ) ორგანიზაციები ხშირად არ ფიქრობენ იმ საკითხზე, თუ როგორ იყონ ინკლუზიური და უზრუნველყონ აქტივობაში მონაწილეობის უფლების დაცვა ყველა მსურველისთვის (მაგ. შეხვედრების და აქტივობების დაგეგმვა ადვილად მისაღებ ადგილებში, ვერბალურის გარდა, კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება და ა.შ.). მიუხედავად ამისა, **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების და ახალგაზრდული მუშაკების ჩართვა თქვენს პროექტში ან ორგანიზაციაში შესაძლებელია!** საჭიროა სურვილი, ყურადღება და მოხერხებულობა, არანაირი განსაკუთრებული ფინანსური ხარჯები, სამაგიეროდ, ის, რასაც შედეგად მიიღებთ, ნებისმიერ ხარჯზე გაცილებით ღირებული იქნება. შეგიძლიათ, მიმართოთ პოზიტიურ დისკრიმინაციასაც კი, რათა ყველა ახალგაზრდას მიეცეს თქვენს პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ საზოგადოების ცხოვრებაში საკუთარი წვლილის შეტანა და ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი მიგანიშნებთ, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ასეთი ეფექტიანი თანამშრომლობა.

განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებთან მუშაობა (ამ წიგნში მოიხსენიება შერეულ შესაძლებლობებად) უნიკალური გამოცდილებაა პროცესში ჩართული ყველა ადამიანისთვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ეძლევათ საშუალება, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეთ თავიანთ თანატოლებთან, მონაწილეობა მიიღონ და შეიტანონ საკუთარი წვლილი ახალგაზრდულ აქტივობებში და გაიციონ ახალი ხალხი, საფუძველი ჩაუყარონ ახალ ურთიერთობებს. შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირები კი გაიცნობენ შშმ პირებს, ისწავლიან მათთან ისევე ურთიერთობას, როგორც სხვა დანარჩენებთან, უბრალო, პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდებათ ასეთ ადამიანებთან და ა.შ. მთავარი მამოტივირებელი ძალა კი, რომელიც გვიბიძგებს ამ ყველაფრის სწავლისკენ, არის **გართობა და მხიარულება**.

ნაიკითხეთ მეტი შერეული შესაძლებლობების პროექტების ბენეფიტების შესახებ თავში „საერთაშორისო პროექტები სხვადასხვა შესაძლებლობის პირებისათვის - რატომაც არა?“ (გვ. 28).



შერეული შესაძლებლობების პროექტების განხორციელების მთელი არსია **მუშაობის დადებითი გამოცდილების შექმნა, თამაში და ერთმანეთთან დროის ტარება, ბარიერების მოშლა და გამონვევების მიღება**. ახალგაზრდულ სამუშაოს კომფორტის ზონიდან გამოჰყავს ახალგაზრდები, განურჩევლად შესაძლებლობებისა (ზონიდან, რომელსაც ისინი მიჩვეული არიან და იციან, რა უნდა აკეთონ), და უბიძგებს მათ ერთი ნაბიჯით წინ, შემეცნების ზონაში (სადაც მათ მოუწევთ სიახლეების გამოცდა და საზღვრების გაფართოება). ამასთანავე, აუცილებელია ამ პროცესის კონტროლი, რათა გამოუცდელი ადამიანი სახიფათო ზონაში არ მოხვდეს.

შერეული შესაძლებლობების ჯგუფთან ერთად მიზნების მიღწევა ქმნის კარგ ატმოსფეროს და ამაღლებს ახალგაზრდების **თვითშეფასებას**. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები აცნობიერებენ, რომ შეუძლიათ ისეთი საქმეების კეთება, რაც აქამდე მიუწვდომელი და შეუძლებელი ეგონათ. ყველა მონაწილე იძენს ახალ უნარებს და ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს **ინკლუზიური**, ხოლო თანამშრომლობის პროცესში კმაყოფილდება მრავალფეროვანი ჯგუფის თითოეული წევრის საჭიროება.

„სანამ შერეული შესაძლებლობების პროექტში მონაწილეობას მივიღებდი, ძალიან მთრგუნავდა იმაზე ფიქრი, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის უნებურად რამე სანყენი არ მეთქვა ან გამეკეთებინა. ახლა ამ დაძაბულობამ გადაიარა და თავისუფლად ვახერხებ ურთიერთობას ყველა ასეთ ადამიანთან, ვხუმრობ მათთან ერთად ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მოზარდთან.“

ახალგაზრდული მუშაკი.

ინკლუზია? რისთვის?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ინკლუზიაზე საუბარს აზრი არ ექნება, თუ იმავდროულად შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ადამიანებსაც არ ვიგულისხმებთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ექსკლუზიურად შშმ პირებისთვის პროექტების და მოგზაურობების ორგანიზება კარგი იდეაა, მაგრამ ეს ისევე საზოგადოებისგან მათ გამოცალკევებას ემსახურება. ასეთი ადამიანები ისედაც განცალკევებული არიან საზოგადოებისგან, თუკი სწავლობენ სპეციალურ სკოლებში, გადიან თერაპიის კურსებს, მუშაობენ და ცხოვრობენ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დაწესებულებებში. ამ წიგნში და სალტოს ტრენინგ კურსში **“Enable”** იდეალურ სიტუაციად მიიჩნევა ის, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანები ჩაერთონ საერთო აქტივობებში, ვიდრე შეიქმნას სპეციალური პროგრამები მხოლოდ და მხოლოდ მათთვის.

➡ ნაიკითხეთ მეტი სალტოს ტრენინგ კურსის **“Enable”** შესახებ ელ-მისამართზე www.SALTO-YOUTH.net/TCenable/

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. სკანდინავიის ქვეყნები, აშშ) არსებობს სპეციალიზებული ინსტიტუციებიდან და სკოლებიდან ახალ ეტაპზე გადასვლის ტენდენცია, რაც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის მეტი მხარდაჭერის და თანადგომის გამოხატვას. შშმ პირებს შეუძლიათ, სტანდარტულ სკოლაში ისწავლონ, სხვა მოსწავლეებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა თავისუფალ დროს დაგეგმილ აქტივობებში და ა.შ. მართლაც, თქვენ როგორ იგრძნობდით თავს, თუ დროის გატარების უფლება მხოლოდ ისეთ ადამიანებთან ერთად გქენებოდათ, რომლებსაც თქვენნაირი შეფერილობის თმა ან თვალები აქვთ, ან იგივე ფეხის ზომა?

წარმოიდგინეთ!

თუ თქვენს ჯგუფს ამზადებთ თანასწორობისა და ინკლუზიის საკითხებისთვის, შეგიძლიათ „ცისფერი/თაფლისფერი თვალების“ სახელით ცნობილი ექსპერიმენტის (ჯეინ ელიოტი, 1968 წ.) გამარტივებული ვერსია ჩაატაროთ. ამ ექსპერიმენტის მონაწილეებს თვალების ფერის მიხედვით ყოფდნენ ორ ჯგუფად და ანიჭებდნენ განმასხვავებელ ნიშნებს (ლენტი, სახვევი ან ნებისმიერი რამ, რითაც ჯგუფების გარჩევა მოხერხდებოდა).

ნებისმიერი აქტივობის დროს (მაგ. სეირნობა, თამაში, სადილი და ა.შ.) ერთი ჯგუფი პრივილეგიებით სარგებლობდა, მეორე ჯგუფი კი ყველაფერში იზღუდებოდა.

პრივილეგიის მაგალითები:

- ინყებენ პირველები;
- იღებენ გემრიელ საჭმელ-სასმელს;
- აქვთ უფლება, თქვან, რაც მოესურვებათ;
- შეუძლიათ მეტი ფულის აღება;
- ...

შეზღუდვის მაგალითები:

- არ აქვთ ლაპარაკის უფლება;
- აქვთ მხოლოდ გამხმარი ორცხობილა და წყალი;
- მათ ყურადღებას არ აქცევენ;
- ხელები მუდამ შეკრული აქვთ;
- ...

ექსპერიმენტის მიზანი იყო საკუთარ თავზე იმის გამოცდა, თუ როგორია, აღმოჩნდე გარიყული საზოგადოებიდან და განსხვავებულად გეპყრობოდნენ. ექსპერიმენტის ჩატარებამდე აუცილებელია, აუხსნათ მონაწილეებს ექსპერიმენტის მიზანი და არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტოთ შეზღუდვებში და უსამართლო მოპყრობაში. დაუთმეთ დრო შედეგების შეჯამებას.

ზოგიერთი კითხვა მაგალითისთვის:

- უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაუსვით, რომ ეს იყო სიმულაციური თამაში და არა რეალობა, და რომ მონაწილეებმა მოიგეს როლები. ექსპერიმენტის მიზანია გავარჯიშება და არა ადამიანების ქცევების ანალიზი. ამით თავიდან აიცილებთ შესაძლო ბრალდებებს, წყენას და ა.შ.
 - როგორი იყო გარიყულად ყოფნა? პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა? რატომ?
 - რა უბიძგებს ადამიანებს, ასე მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციებში? სჯობია თუ არა ერთი მდგომარეობა მეორეს?
 - როგორ შეგვიძლია, ავიცილოთ თავიდან დისკრიმინაცია და უარყოფითი დამოკიდებულება? რომელი მეთოდი იქნებოდა ქმედითი ამ თამაშში?
 - ხდება თუ არა დისკრიმინაციის მსგავსი მაგალითები რეალურ ცხოვრებაში?
 - რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ჩვენი პროექტიდან?
- მიეცით საშუალება იმ ადამიანებს, ვინც განსაკუთრებით ემოციური იყო თამაშის მსვლელობისას, გამოხატონ თავიანთი გრძნობები და უარყოფითი გამოცდილება. გაამახვილებინეთ ყურადღება იმაზე, რაც გამოცდილებას შესძენს მათ ამ თამაშიდან.

მეტი რამ დისკრიმინაციის და უთანასწორობის პრობლემასთან დაკავშირებული სიმულაციების და სავარჯიშოების შესახებ ნაიკითხეთ სალტოს მეთოდების კრებულში მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/toolboxan პაკეტში „ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია“, მისამართზე www.coe.int/ecri

ნამდვილი ინკლუზია გულისხმობს **ნორმალურად ურთიერთობას** სხვა ახალგაზრდებთან (რაც მოიცავს მეგობრობას, კინკლაობას, ეჭვიანობას და ა.შ.) და უფროსებთან (მათი მაგალითის მიზანძვა, სწავლა, დატუქსვა, ავტორიტეტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ა.შ.). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს უნდა დავეხმაროთ, საზოგადოებაში ისეთი ადგილი იპოვოს, რომლის დაკავებასაც ის შეძლებდა, რომ არა მისი არასტანდარტული მდგომარეობა. ამგვარად, შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის საქმეა, შეახვედროს თავისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები სხვა ახალგაზრდებს, შექმნას დადებითი ატმოსფერო შერეული შესაძლებლობების პროექტის დახმარებით.

შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ნებისმიერი შანსი უნდა გამოიყენოს, რათა შშ არმქონე ახალგაზრდებიც ჩართოს აქტივობაში. ამით ისიც დადგინდება, ინვესს თუ არა ინტერესს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი აქტივობა სხვა ახალგაზრდებში. თუ ისინი თქვენს პროექტთან ერთგვარადი შეხების შემდეგ თანამშრომლობის სურვილს აღარ გამოიჩენენ, თამამად შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ეს პროექტი არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს დააინტერესებს.

სპეციალური საჭიროებების არმქონე ახალგაზრდების თავისუფლად მიღება ასევე დაგეხმარებათ პოტენციური მოხალისეების პოვნაში. ცოტაოდენი ინსტრუქტაჟი და აი, უკვე მათაც შეუძლიათ რაღაც დავალებების შესრულება.

- ★ რაკი შერეული შესაძლებლობების პროექტების ბენეფიტები განვიხილეთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფალი ნებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ყველას სიამოვნებს ხანდახან **მსგავს** ადამიანებთან დროის გატარება, მაგალითად, ბიჭებს უყვართ ტექნოლოგიებზე და ავტომობილებზე ლაპარაკი, გოგოებს კი შოპინგზე (ეს იქნებ მოძველებული სტერეოტიპებია, მაგრამ მაგალითად გამოდგება). ზუსტად ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს შეიძლება სურდეთ, დროდადრო მოხვდნენ ასეთივე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე ადამიანებთან და არ იგრძნონ თავი გამონაკლისად. ისიც შესაძლებელია, რომ ზოგს მსგავსი სურვილი არ უჩნდებოდეს, მთავარი ისაა, რომ მათ ჰქონდეთ არჩევის თავისუფლება, თუ ვისთან გაატარებენ თავისუფალ დროს.

დაინახე ადამიანი და არა შეზღუდული შესაძლებლობა

ყველა ადამიანი ხახვივითაა. მათი იდენტობა ბევრი სხვადასხვა ელემენტისგან შედგება. მაგალითისთვის: ეს ადამიანი არა მარტო მხედველობადაქვეითებულია, არამედ ასევე ქალი ან კაცი; დაოჯახებული ან დაუოჯახებელი, ჰომოსექსუალი ან ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე, პროგრესული ან კონსერვატიული; და ასე გაგრძელება თითქმის უსასრულოდ შეიძლება. ამ ელემენტებთან დაკავშირებული ზოგიერთი ღირებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა, ისევე როგორც, მაგალითად, ხახვის შრეები. გარეთა შრეების გამოცალკევება უფრო მარტივია, ვიდრე შიგნითა შრეებისა. ზუსტად ასევე, თქვენ უფრო ადვილად იტყოდით უარს ეროვნული კერძების დაგემოვნებაზე, ვიდრე, ვთქვათ, თქვენი პირადი ჰიგიენის წესების შეცვლაზე.

თქვენი ხახვი



დახატეთ ხახვის სიგრძივი ჭრილი ისე, რომ სხვადასხვა ფენები ჩანდეს.

შემდეგ სთხოვეთ თამაშის მონაწილეებს, მიაკუთვნონ თავი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს (მაგ. სქესი, ეროვნება, ჰობი, ასაკობრივი ჯგუფი) და ამ ჯგუფებთან დაკავშირებულ ღირებულებებს/ქცევებს.

შეადარეთ და იმსჯელეთ:

- რა მსგავსებები და სხვაობებია თქვენს ხახვებს შორის?
- თქვენი აზრით, ყოველთვის შესაძლებელია თუ არა ორ ადამიანს შორის საერთოს პოვნა?
- თქვენი ხახვის რომელი ნაწილი არის ყველაზე მეტად/ნაკლებად მნიშვნელოვანი თქვენთვის?
- რა მოხდებოდა, ორ სხვადასხვა ხახვს რომ ერთად ცხოვრება ან მუშაობა დასჭირვებოდა?
- როგორ გაამარტივებდა ამას თანამშრომლობა?
- როგორ გამოიყენებდით „ხახვის იდეას“ შერეული შესაძლებლობების პროექტში?

არავისთვის არ იქნებოდა სასიამოვნო მისი იდენტიფიცირება მხოლოდ ერთ რომელიმე ელემენტთან. ვთქვათ, ქალისთვის არ იქნებოდა სასიამოვნო, თუ პარლამენტში მხოლოდ იმის გამო აირჩევდნენ, რომ ქალია (მაგალითად, თუ სპეციალური კვოტაა დაწესებული), ან გეისთვის - მეგობრისგან საყიდლებზე წასასვლელად დაპატიჟება მარტო იმიტომ, რომ გეებს შოპინგი მოსწონთ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ადამიანი საკუთარი იდენტობის მხოლოდ ერთ ასპექტზე ახდენს ფოკუსირებას საერთო ინტერესის გარშემო გასაერთიანებლად და საკუთარი უფლებების დასაცავად (მაგ. პოლიტიკური პარტიები, ემიგრანტთა ჯგუფები, ფემინისტები და ა.შ.), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას სულაც არ აღიქვამენ მაიდენტიფიცირებელ ნიშნად ან საამაყო გარემოებად.

- ჩაატარეთ „ხახვის სავარჯიშო“ და შეამოწმეთ, მართალია ეს თუ არა.
- მეტი საკითხავი და სავარჯიშო იდენტობისა და კულტურის საკითხის გარშემო იხილეთ სალტოს ინკლუზიისა და მრავალფეროვნების ბუკლეტში მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/IDbooklet/

უფრო მეტიც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს საკუთარი თავის იდენტიფიცირებისთვის ძალიან ბევრი ელემენტი და ღირებულება აქვს, ის არ არის მხოლოდ „ეტლით მოსარგებლე“ ან „ბრმა“. ის შეიძლება იყოს და ან ძმა, მეუღლე, პოლიტიკური პარტიის წევრი, მას აქვს გარკვეული ღირებულებები, ინტერესები და ჰობი, ისევე, როგორც სხვა ადამიანებს. შერეული შესაძლებლობების ახალგაზრდული სამუშაოს არსიც ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები აღიქვამდნენ სხვა ადამიანებს მთლიანობაში (აღიქვამდნენ მთელ ხახვს) და არა მხოლოდ სმენადაქვეითებულობის, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების, ან ეტლით სარგებლობის ნიშნით.

.....

ვინრო თვალთახედვა

დაიწყეთ მსჯელობა ნებისმიერ თემაზე (მაგ. რით იყვნენ დაკავებული დისკუსიის მონაწილეები გასულ შაბათ-კვირას) და მსჯელობის პროცესში ყველა წინადადება უნდა იწყებოდეს შემდეგი შესავლებით:

- მე, როგორც ამ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი, ვფიქრობ, რომ...
- ჩემი აზრით, რადგან მაქვს გრძელი/მოკლე/ქერა/მუქი ფერის თქმა, საქმე შემდეგში მდგომარეობს...
- მე, როგორც მამაკაცი/ქალს მიმაჩნია, რომ...

როგორია ყველა საკითხის განხილვა მხოლოდ ერთ ჭრილში? ხედავენ კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები სამყაროს მხოლოდ თავიანთი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე? რატომ? რატომ არა?

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ ვინრო თვალთახედვის გასაფართოებლად? როგორ მოვახდინოთ ფოკუსირება პიროვნებაზე და არა პიროვნების მხოლოდ ერთ ელემენტზე?

.....

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები ხშირად ადარებენ საკუთარ მდგომარეობას სხვა თანატოლებისას. ისინი ცდილობენ, მათი ცხოვრება მაქსიმალურად ჰგავდეს თანატოლების ცხოვრებას, რაც სავსებით ბუნებრივი სურვილია. მაგრამ ამავე დროულად, ამ ადამიანებს შესაძლოა, ძალიან გაუჭირდეთ წარმოდგენა, თუ როგორ იცხოვრებდნენ იმ შეზღუდული ფიზიკური ან გონებრივი რესურსის გარეშე, რომელიც მათ აქვთ.

მაშინაც კი, თუ ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი არაორდინალური ნიჭის მქონეა (მაგ. ეტლით მოსარგებლე მოცეკვავე, მუსიკოსი, მხატვარი და ა.შ.), ხშირად ამ ნიჭს შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით აფასებენ და არა თავისთავად (მაგალითისთვის, ადამიანების უმეტესობა ძალიან ცუდად ითამაშებდა კალათბურთს, თუ თამაშის დროს ეტლში ჯდომა მოუწევდა, ან ძალიან დამახინჯებულად ილაპარაკებდა, რომ არ ჰქონდეს ნალაპარაკების გაგონების საშუალება).

★ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მუშაობაში მნიშვნელოვანია ლიაობა და პოზიტიური იმიჯის შექმნა. ნაიკითხე მეტი მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/InclusionForALL/

სავარჯიშო: პარკი

(სავარჯიშოს ჩატარება შეიძლება თანამშრომლებთან და ახალგაზრდებთან)

„წარმოიდგინეთ, რომ მიდისხართ ქალაქის რომელიმე პარკში. პარკის კარიბჭეში შესვლისას მცველი თავს გიკრავთ. თქვენ მისეირნობთ და ხედავთ გაზონზე მოთამაშე რამდენიმე ბავშვს. მათი მშობლები სკამზე სხედან და თვალყურს ადევნებენ შვილებს. გვერდზე შეყვარებულმა წყვილმა ჩაგიარათ. მოშორებით ნაყინების და სასმელების კიოსკთან ხალხის რიგი დგას. და ა.შ.“

ახლა გაიხსენეთ ის ადამიანები, რომლებიც პარკში წარმოსახვითი სეირნობისას შეგხვდნენ. რამდენი მათგანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე? (ან შავკანიანი, ჰომოსექსუალი, ქალი,...) მართლაც, ჩვენ არ ვართ მიჩვეულები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დანახვას, და ამის შეცვლა შესაძლებელია, თუ ჩვენს ახალგაზრდულ სამუშაოს და აქტივობებს უფრო ინკლუზიურს გავხდით.

შეზღუდული შესაძლებლობა ≠ უუნარობა


მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვისაუბრეთ ადამიანის აღქმაზე მისი პიროვნების და არა შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით, ნებისმიერ ახალგაზრდულ მუშაკს, რომელსაც საზღვარგარეთ მიჰყავს ახალგაზრდები, მინიმალური ინფორმაცია უნდა ჰქონდეს პროექტის მონაწილეთა მდგომარეობის შესახებ. რა თქმა უნდა, სპეციალური საჭიროებების მქონე ზოგი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება მსგავსი იყოს, მაგრამ იშვიათია ორი იდენტური დონის ფიზიკური შეზღუდულობა, ან ემოციური დამოკიდებულება ამ გარემოებასთან, ერთნაირი აღჭურვილობის გამოყენება. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ერთი ან მეტი უნარი აქვს შეზღუდული, განსაკუთრებული შესაძლებლობები და საჭიროებები და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემსუბუქების საკუთარი მეთოდები აქვს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, იცნობდეთ სხვადასხვა ფიზიკურ ან გონებრივ მდგომარეობებს და უფრო მეტად კი იმ ადამიანებს, რომლებთანაც მუშაობა მოგიწევთ.

ქვემოთ იხილეთ ადამიანების შეზღუდული შესაძლებლობების მიმოხილვა, რაც ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით იმაზე, თუ რა გავლენა აქვს ზოგიერთ დაავადებას ან არასტანდარტულ ფიზიკურ მდგომარეობას ადამიანის ცხოვრებაზე. ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად გაეცნოთ თითოეული ახალგაზრდის კონკრეტულ მდგომარეობას, რომელიც თქვენს პროექტში მიიღებს მონაწილეობას (მდგომარეობის სიმძიმე, საჭირო მედიკამენტები, აღჭურვილობა და ა.შ.). ამის გასაგებად საუკეთესო გზაა, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონეს, ან მის მშობლებს, მეურვეებს და ექიმებს ვკითხოთ ყველაფერი.

ერთმანეთის მიმართ ნდობა აუცილებელია, ეს ქმნის ჯანსაღ ატმოსფეროს და ყველასთვის სარგებელი მოაქვს.

ადრე არსებობდა მეთოდი სახელწოდებით „შეზღუდულობის, ნაკლოვანებების და ქმედითუნარიანობის საერთაშორისო კლასიფიკაცია“, რომელშიც აღწერილი იყო ყველა შესაძლო არასტანდარტული ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობა და ის, თუ როგორ შეიძლებოდა მათი განკურნება ან მოვლა. ეს მეთოდი 2002 წელს შეიცვალა უფრო თანამედროვე „ქმედითუნარიანობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის კლასიფიკაციით“ (www3.who.int/icf/). ამ მეთოდში ასახულია ახლად შემოღებული „ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომა“, რომელიც არა მარტო მიემართება შეზღუდვებს, არამედ აანალიზებს ფუნქციონირებისა და ჯანმრთელობის დონეს.

ადამიანების სოციალური აქტივობა მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (დაავადებები და სინდრომები) ან ნაკლოვანებებზე (სხეულის ფიზიკური ნაკლოვანებები ან ფუნქციონალის შეზღუდვა) კი არ არის დამოკიდებული, არამედ ჩართულობის დონეზე, იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის ასეთ აქტივობებში ჩართვა. აქ მნიშვნელოვანია გარემო ფაქტორებიც (ფიზიკური და სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანებს უწევთ ცხოვრება, დამოკიდებულება მათ მიმართ) და ასევე პირადი ფაქტორებიც (პიროვნება, პირადი მდგომარეობა...). ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს ადამიანების სოციალურ აქტივობაზე.



„ქმედითუნარიანობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის კლასიფიკაციის“ მეთოდზე დაფუძნებული ეს დიაგრამა მოცემულია მისამართზე www3.who.int/icf/

შეზღუდული შესაძლებლობების ახალი „ბიო-ფსიქო-სოციალური“ მოდელი ქმნის საფუძველს ადამიანების შეზღუდული შესაძლებლობების ახლებურად კლასიფიკაციისთვის, რაც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ჭრილში განიხილავთ ადამიანის შეზღუდულ შესაძლებლობას - მისი სხეულის აგებულებიდან გამომდინარე, ჩართულობიდან და აქტიურობიდან თუ კონტექსტუალური ფაქტორებიდან გამომდინარე.

შეზღუდული შესაძლებლობების ასეთი მეთოდით კლასიფიცირება შემდეგნაირად გამოიყურება:

სხეული	
ფუნქციები:	აგებულება:
● მენტალური ფუნქციები ● მგრძნობელობითი ფუნქციები და ტკივილი ● სმენისა და მეტყველების ფუნქციები ● გულ-სისხლძარღვთა, სისხლის, იმუნო-ლოგიური და სასუნთქი სისტემები ● მომწელებელი, ნივთიერებათა ცვლის და ენდოკრინული სისტემები ● შარდ-სასქესო და რეპროდუქციული ფუნქციები ● ძვალ-კუნთოვანი და საყრდენ-მამოძრავებელი ფუნქციები ● კანისა და მსგავსი სტრუქტურების ფუნქციები	● ნერვული სისტემის აგებულება ● თვალის, ყურის და მსგავსი ორგანოების აგებულება ● სმენაზე და მეტყველებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები ● გულ-სისხლძარღვთა, იმუნოლოგიური და სასუნთქი სისტემის აგებულება ● მომწელებელი, ნივთიერებათა ცვლის და ენდოკრინული სისტემების აგებულება ● შარდ-სასქესო და რეპროდუქციული სისტემების აგებულება ● საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აგებულება ● კანისა და მსგავსი სისტემების აგებულება
აქტიურობა და ჩართულობა	
● სწავლა და მიღებული ცოდნის გამოყენება ● ზოგადი ამოცანები და მოთხოვნები ● კომუნიკაცია ● მობილურობა ● საკუთარი თავის მოვლის უნარი ● ყოფა-ცხოვრება ● ადამიანებთან ურთიერთობა ● საცხოვრებელი არეალი ● სოციალური და მოქალაქეობრივი ცხოვრება	
გარემო ფაქტორები	
● პროდუქტები და ტექნოლოგია ● ბუნებრივი გარემო და ხელოვნური გარემო ● მხარდაჭერა და ურთიერთობები ● დამოკიდებულება ● მომსახურება, სისტემები და პოლიტიკა	

სქემა შექმნილია „ქმედითუნარიანობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის კლასიფიკაციის“ მეთოდის საფუძველზე. www3.who.int/icf/

დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „საკუთარი თავის მოვლის უნარის არმქონე“ ან „დამხმარე მონყობილობებით მოსარგებლე ადამიანებს“ (მახვილი კეთდება გარემო ფაქტორზე), იმის ხაზგაუსმელად, თუ ჯანმრთელობის რა მდგომარეობა იწვევს ამას. ცხადია, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ ჯანმრთელობის ყველა არასტანდარტულ მდგომარეობაზე, რაც კი არსებობს. ამიტომაც შემოვიფარგლებით ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეზღუდული შესაძლებლობებით, რომელიც ცნობილია ახალგაზრდული მუშაკებისთვის.

❖ იხილეთ რჩევები სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის აქტივობების ადაპტირების საკითხთან დაკავშირებით თავში „შერეული შესაძლებლობების ჯგუფისთვის აქტივობების ორგანიზება“ (გვ. 78).

თქვენ, როგორც ახალგაზრდულმა მუშაკმა, აუცილებელი არ არის ყველაფერი იცოდეთ შეზღუდული შესაძლებლობების სამეციდინო მხარის შესახებ (მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ინფორმაციას უნდა ფლობდეთ). თქვენი ამოცანაა აქტივობების გარემო და სოციალური ფაქტორების მოდიფიცირება (მაგ. აქტივობების ადაპტირება სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, სპეციალური საჭიროებების არმქონე ახალგაზრდების დამოკიდებულების ფორმირება, პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრა და ა.შ.). მთავარია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებმა სასიამოვნო გამოცდილება მიიღონ აქტივობაში მონაწილეობის შემდეგ.



რამდენიმე მაგალითი:

ჯანმრთელობის მდგომარეობა	ნაკლოვანება	აქტივობის შეზღუდულობა	მონაწილეობის მიუწვდომლობა
კეთრი	კიდურების მგრძნობელობის დაკარგვა	რთულია საგნების ხელში აღება და მოჭიდება.	კეთროვნების სტიგმა იწვევს იმას, რომ კეთროვნის ახალგაზრდულ კლუბში მიღების სურვილი არავის აქვს.
როგორც ახალგაზრდულ მუშაკს, რისი გაკეთება შეგიძლიათ:		შეიძინეთ სპეციალურად ასეთი ადამიანებისთვის შექმნილი ჭიქები და სხვა ნივთები. ლიად ისაუბრეთ მათ საჭიროებებზე.	მიანოდეთ ინფორმაცია კეთრის შესახებ თქვენს თანამშრომლებს. კეთროვანმა უნდა იგრძნოს, რომ მეგობრულ გარემოშია. კეთრი ტაბუირებული არაა.
პანიკური აშლილობები	შფოთვა	რთულია გარეთ მარტო გასვლა.	ასეთი ადამიანების რეაქციები შეუძლებელს ქმნის ნორმალური ურთიერთობების დამყარებას.
როგორც ახალგაზრდულ მუშაკს, რისი გაკეთება შეგიძლიათ:		მოიპოვეთ ადამიანის ნდობა, მიაკითხეთ მას სახლში, მიაღებინეთ მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებში, უპოვეთ ამხანაგი.	დაგეგმეთ გაცნობითი ხასიათის აქტივობები, სადაც მონაწილეები სხვადასხვა მხრიდან დაინახავენ ერთმანეთს.
ხერხემლის ტრავმა	მოძრაობის პარალიზება	შეუძლებელია კიბეების გამოყენება.	შეხვედრების ადგილი მაღალ სართულზეა.
როგორც ახალგაზრდულ მუშაკს, რისი გაკეთება შეგიძლიათ:		ჩაატარეთ შეხვედრები და აქტივობები ადვილად მისადგომ ადგილზე.	

ხშირად, რიგი მიზეზების გამო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები იმაზე ნაკლებს აკეთებენ, ვიდრე სინამდვილეში შეუძლიათ. ეს ინტერვალი რეალურ მაჩვენებელსა და პოტენციალს შორის სხვადასხვანაირად შეიძლება აიხსნას:

- **გარემოს ზედმეტი მზრუნველობა** (მშობლები, ახალგაზრდული მუშაკები და ა.შ.): შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არ ეძლევათ საშუალება, გააკეთონ რაღაც საყოფაცხოვრებო საქმე იმიტომ, რომ ისინი ასეთ ფიზიკურ მდგომარეობაში არიან. ყურადღება არ ექცევა იმას, რომ ამ საქმის გაკეთება მათ თავისუფლად შეუძლიათ ან შესაძლებელია ამ საქმის ადაპტირება მათთვის;
- **ათვისებული უმწეობა:** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ მას რაღაც კონკრეტული საქმის გაკეთება არ შეუძლია, რადგან არასდროს ჰქონია ამის შანსი და არც ვინმე სხვა თავისი მსგავსი ადამიანი უნახავს, ამ საქმით დაკავებულიყო;
- **დიზაბილიზმი:** გაცნობიერებული ან გაუცნობიერებული დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ, რომელიც გამოიხატება ასეთი ადამიანების განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დაყენებაში;
- **ხელმიუწვდომლობის შიში:** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ყოყმანობენ, ვიდრე აქტივობებში მონაწილეობას გადანყვეტენ, რადგანაც არ არიან დარწმუნებული, რომ შეძლებენ ამას (მაგ. არ არიან ინფორმირებული აქტივობის ადგილის, ტრანსპორტირების შესახებ და ა.შ.);
- **ხელშემწყობი ტექნოლოგიების უქონლობა:** ხშირად ასეთი მონყობილობები ძალიან ძვირი ღირს ან საერთოდაც არ არსებობს, მაგრამ ყოველთვის შესაძლებელია რაიმე დამხმარე კონსტრუქციის შექმნა, საჭიროა მცირეოდენი იმპროვიზაციის უნარი;
- **ცუდად ადაპტირებული აქტივობები:** სულ ცოტა კრეატივი საკმარისია აქტივობების სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებზე ადაპტირებისთვის. მაგალითად, ლაპარაკის მაგივრად შესაძლებელია დახატვა ან დაწერა (მეტყველების დარღვევების მქონეებისთვის), ახტომის მაგივრად შესაძლებელია ხელების მალლა ანევა (ეტლით მოსარგებლეთათვის);
- იხილეთ მეტი იდეა აქტივობების ადაპტირებასთან დაკავშირებით თავში „ადაპტირების მეთოდები“ (გვ.85).

ახალგაზრდულ სამუშაოს შეუძლია, შეამციროს ინტერვალი, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების რეალურ პოტენციალსა და მათ მიერ ნაჩვენებ შედეგს შორის არის. ეს ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული!

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა – ზოგადი რჩევები

- ახალგაზრდობილ შუამ პირთან ურთიერთობისას წარმოდგენაში შეიქმენით მაქსიმალური შესაძლო ფიზიკური და ინტელექტუალური მონაცემები და მხოლოდ საჭიროების მიხედვით შეამცირეთ ეს წარმოდგენა, სანამ არ მოახერხებთ სრულ ადაპტირებას. თქვენ წინაშე მყოფი ადამიანის რეალურ შესაძლებლობებთან. ნუ იფიქრებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ადამიანს ასევე შეზღუდული აქვს ინტელექტუალური რესურსი, ნურც იმას, რომ მოძრაობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს არ შეიძლება ჰქონდეთ კარგი რეაქცია და ა.შ.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთან შეხვედრისას მოიქეცით ისე, როგორც მოიქცეოდით ნებისმიერი სხვა ადამიანის გაცნობისას. თუ ხელის ჩამორთმევა გჩვევიათ, ჩამოართვით ხელი, იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც ხელოვნური კიდურები აქვთ (მისაღმების ძირითადი ფორმა მარცხენა ხელის ჩამორთმევაა). თუ თქვენთან მისაღმების ჩვეული ფორმა გადაკოცნაა, არც ეს არის მიუღებელი. თუ მხედველობადაქვეითებული ადამიანის გადაკოცნას აპირებთ, ორივე ხელი მხრებზე მოჰკიდეთ, რათა მან წინასწარ იგრძნოს, რომ უახლოვდებით;
- მოეპყარით ზრდასრულ ადამიანებს ისე, როგორც მათ შეშვენით (თუმცა იმავეს თქმა შეიძლება ახალგაზრდებზე, რატომაც არ მოვეპყრათ მათ, როგორც ზრდასრულებს?); მიმართვები ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ისევე არმქონე ადამიანებისთვის. თუ თქვენ არ გჩვევიათ სახელით მიმართვა, შეიძლება მიმართვის უფრო ოფიციალური ფორმის შერჩევა (ბატონო/ქალბატონო);
- თუ დახმარება გინდათ, ჯერ ჰკითხეთ, სჭირდება თუ არა იმ ადამიანს დახმარება (თუ მაინცდამაინც ვინმე არ დავარდა ან დაშავდა). მიეცით საშუალება, აგიხსნათ, რაში სჭირდება თქვენი დახმარება (მაგალითისთვის, როგორ უნდა მიაწვეთ ეტლს, რომ არ ჩაიკეცოს და ა.შ.);
- თავისუფლად მოიქეცით, ნუ დაიძაბებით, თუ შემთხვევით წამოგცდათ თქვენ წინ მყოფი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შეუსაბამო რამ (მაგ. ჰკითხოთ სმენადაქვეითებულს: „გაიგონე?“). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები თავად იყენებენ ამ ზოგადსაყოფაცხოვრებო ფრაზებს. ნუ გადაამეტებთ პოლიტიკორექტულობაში, დიდხანს ნუ იფიქრებთ იმაზე, თუ როგორ უნდა ელაპარაკოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს.

შეზღუდული შესაძლებლობის აღწერა და კლასიფიკაცია

აღბათ უკვე შეამჩნევდით, რომ ხშირად ვიყენებთ ისეთ გრძელ ფორმებს, როგორებიცაა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე“ ან „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანი“. ერთი შეხედვით, შეიძლებოდა უფრო მოკლე და მარტივი ტერმინის - კვადრიპლეგიის გამოყენება. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ის სიტყვები, რომლებითაც ადამიანებს აღვწერთ, ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს მათ მიმართ. იმავე პრინციპით, ჩვენი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ განსაზღვრავს სიტყვებს, რომლებითაც მათი მოხსენიება გვირჩევნია. უკვე ბევრჯერ ვახსენეთ, რომ ადამიანისადმი პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი ნიშანია მათი თანასწორად აღქმა, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობისა. ამიტომაც ამ წიგნში წინა პლანზე ყოველთვის იქნება წამოწეული პიროვნება და არა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

შეადგინეთ ლექსიკონი

- რა სიტყვები გამოიყენება თქვენს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე საუბრისას?
- არის თუ არა ეს სიტყვები უარყოფითი დატვირთვის მქონე? არსებობს თუ არა ალტერნატივები?
- ნათარგმნია თუ არა ინგლისური პოლიტიკორექტული ტერმინები თქვენს ენაზე?
- რა ტერმინოლოგიას იყენებენ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული ორგანიზაციები?
- რა სიტყვებს იყენებენ თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები?

ტერმინოლოგია და შეზღუდული შესაძლებლობის წარმოქმნა

ძალიან ბევრ ადამიანს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს შშმ პირებთან და დისკომფორტს გრძნობს მათ სიახლოვეს ყოფნისას. ამის მიზეზი არის ის, რომ მედიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ძალიან იშვიათად ჩნდებიან დადებით კონტექსტში. თუ თქვენ გადანყვეტილი გაქვთ, ჩაერთოთ ამ ადამიანების მხარდაჭერის საქმეში და გსურთ, ფართო საზოგადოებასაც მოუწოდოთ ამისკენ (საჯარო გამოსვლები, ტელევიზია, რადიო, ა.შ.), შემდეგი რამდენიმე რჩევა სწორედ თქვენთვისაა:

- ★ **უპირველეს ყოვლისა, პიროვნება და არა მისი შეზღუდული შესაძლებლობა.** ხაზი გაუსვით პიროვნებას, პიროვნებას ყოველგვარი იარაღიყების გარეშე. ადამიანების წარსადგენად ნუ გამოიყენებთ მათს დაავადებას ან აშლილობას. ამით სხვასაც უფრო გაუადვილებთ პიროვნებაზე კონცენტრირებას და არა მის ჯანმრთელობაზე.

გამორიცხეთ	გამოიყენეთ
უნარშეზღუდული ადამიანი/პირი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი/პირი
თანდაყოლილი ნაკლი, დეფორმაცია	შეზღუდული შესაძლებლობებით დაბადებული ადამიანი, თანდაყოლილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი
ბრმა	მხედველობადაქვეითებული ადამიანი, უსინათლო ადამიანი, სუსტი მხედველობის მქონე ადამიანი
ყრუ	სმენადაქვეითებული ადამიანი
ბნედიანი	ეპილეფსიის მქონე ადამიანი
დისლექსია, დასწავლის უუნარობა	დასწავლის შეზღუდული უნარის მქონე ადამიანი
ბნედიანი	კრუნჩხვების მქონე ადამიანი
ცერებრალური დამბლის მსხვერპლი	ცერებრალური დამბლის/მრავალჯერადი
მრავალჯერადი სკლეროზი, ართრიტი	ალცჰეიმერის დაავადების მქონე / ართრიტის მქონე ადამიანი, მოძრაობაში შეზღუდული ადამიანი

- ★ წარმოაჩინეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, როგორც საზოგადოების აქტიური წევრები. იმის წარმოჩენა, თუ როგორ თანამშრომლობენ შშმ პირები შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირებთან ყოველდღიურ სამუშაო და საყოფაცხოვრებო გარემოებებში, ხელს შეუწყობს ბარიერების მოშლას და პოზიტიური და ჯანსაღი ურთიერთობის მაგალითი გახდება. ისეთი ფოტომასალის გამოყენება, რომელიც ხაზს უსვამს შშმ პირების იზოლირებულობას, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საუბარია ერთი კონკრეტული ადამიანის ისტორიაზე.
- ★ განაახლეთ თქვენი ლექსიკონი. დროთა განმავლობაში ის სიტყვები და ფორმები, რომლებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მოიხსენიებდნენ, იცვლებოდა. ზოგიერთი ადამიანი დღესაც იყენებს არქაულ ფორმებს, რომლებიც გასულ საუკუნეში (!) გამოიყენებოდა. თავი აარიდეთ მსგავსი ტერმინოლოგიის გამოყენებას. ბევრი ასეთი სიტყვა შეიძლება დამამცირებელი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის.

გამორიცხეთ	გამოიყენეთ
უნარშეზღუდული	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი
ინვალიდი	შეზღუდული შესაძლებლობების/ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანი
შეტევა	კრუნჩხვა
გიჟი, მთვარეული, მანიაკი, გონებრივად ჩამორჩენილი, ფსიქოპათი, დევიანტი	შეზღუდული ფსიქიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანი; შიზოფრენიის მქონე ადამიანი; დეპრესიის მქონე ადამიანი
ჩამორჩენილი, გონებაჩლუნგი, დეფექტური, იმბეცილი, დებილი, მონღოლოიდი	შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანი, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანი
....	

- ★ ნუ გამოიწვევთ საზოგადოებაში შშმ პირების მიმართ ზედმეტ სიბრაულეს. ცხადია, მათი რთული მდგომარეობის გულთან ახლოს მიტანა კარგია, მაგრამ ეს არ შეცვლის იმ მფარველობით დამოკიდებულებას, რაც ადამიანების უმეტესობას აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. დრამის შექმნის ნაცვლად, ეცადეთ, ყურადღება გაამახვილოთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ზემოთ ხსენებული ადამიანების ცხოვრებაზე, მაგ. ხელმისაწვდომი ტრანსპორტი, საცხოვრებელი, დასაქმების შესაძლებლობები და დისკრიმინაცია.

- ★ ხაზი გაუსვით შესაძლებლობებს და არა შეზღუდვებს. დამხმარე ხელსაწყოები (ეტლები, ყავარჯნები...) საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, მონაწილეობა მიიღონ სოციალურ აქტივობებში.

გამორიცხეთ	გამოიყენეთ
ეტლს მიჯაჭვული	ეტლით მოსარგებლე ადამიანი
პაციენტი	პიროვნება/ადამიანი
პარკინგი ინვალიდებისთვის	ადვილად მისადგომი პარკინგი
....	

- ★ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ადამიანი აუცილებლად სუპერ-გმირი არ არის. დიახ, არსებობენ განსაკუთრებული ნიჭისა და მონდომების მქონე ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შესაძლებლობებისთვის შესაშურ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ყველა ერთნაირად არ უნდა აღვიქვათ და მით უმეტეს - არ შევუქმნათ საზოგადოებას მცდარი შეხედულება. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ საშუალოსტატისტიკური შშმ პირები;

- ★ მოერიდეთ ხელოვნურ და აბსურდულ ევფემიზმებს. შეზღუდული შესაძლებლობების ევფემიზმებით აღწერამ შეიძლება დისკომფორტი და უხერხული მდგომარეობა წარმოქმნას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს თავისთავად ქმნის გადამეტებულ მზრუნველობით დამოკიდებულებას. ხშირად თავისუფლად დალაპარაკება თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან ადამიანები ზედმეტად დიდ დროს ხარჯავენ „ძალიან“ პოლიტკორექტული ტერმინის შერჩევაზე.

გამორიცხეთ	გამოიყენეთ
განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი
ფიზიკურად ნაკლოვანი	მოძრაობაში შეზღუდული ადამიანი
გონებრივად ნაკლოვანი	შეზღუდული გონებრივი/ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანი
ვერტიკალურად ნაკლოვანი	მცირე სიმაღლის ადამიანი
მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე	მხედველობადაქვეითებული ადამიანი
....	

- ★ შეზღუდული შესაძლებლობების თემატიკისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემებში ან სასცენო დადგმებში ხშირად ხდება ხოლმე, რომ შშმ პირებს შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ადამიანები განასახიერებენ. რა გვიმლის ხელს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსახიობებს განვასახიერებინოთ ეს გმირები (მაგალითი გვ.42);

- ★ მოერიდეთ სენსაციონალიზმს, ემოციების გადამეტებას. ზედმეტი დრამა მხოლოდ ხელს შეუწყობს გადამეტებული მზრუნველობისკენ მიდრეკილების გაჩენას და არანაირად არ

ჩამოუყალიბებს საზოგადოებას ადეკვატურ დამოკიდებულებას შშმ პირების მიმართ. გთავაზობთ ასეთი ემოციურად გადატვირთული სიტყვების ჩამონათვალს და მათს ალტერნატივებს:

გამორიცხეთ	გამოიყენეთ
იტანჯება X-ით	X-ის მქონე ადამიანი
X-ის მსხვერპლი	ადამიანი, რომელსაც აქვს X
სამწუხარო, სევდიანი...	

• შეზღუდული შესაძლებლობის ქონა სულაც არ არის ტანჯვის სინონიმი. შშმ პირებს •
 • შეუძლიათ იყვნენ ბედნიერები და ისეთივე ცხოვრება ჰქონდეთ, როგორც სხვა ადამიანებს. •

- ★ რა სიტყვებით მოვიხსენიოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები? ერთ-ერთი სიტყვა, რომლის გამოყენებასაც უნდა მოერიდოთ, არის „ნორმალური“. ის მდგომარეობა, რომელშიც შშმ პირები იმყოფებიან, მათთვის ნორმალურია. ამიტომაც ამ სიტყვის მაგივრად, სხვა ადამიანები უნდა ვახსენოთ, როგორც „შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ადამიანები“;
- ★ უსინათლო ადამიანებთან საუბრისას ისეთი გამონათქვამების გამოყენება, როგორც „მოგვიანებით გნახავ“ ან „ხომ ხედავ?“ არ არის დანაშაული. არც ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის „წამოდი“ ან მსგავსის შეთავაზება. ყოველი წინადადების დაწყების წინ ნუ შეგიპყრობთ პარანოია და ზედმეტად ნუ იფიქრებთ იმაზე, რისი თქმა შეიძლება და რისი - არა. თავად ადამიანი მიგანიშნებთ, თუ რამე არ ესიამოვნება;
- ★ როგორც უკვე ითქვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ძალიან ამორფულ ჯგუფს წარმოადგენენ, ამიტომაც მათი ერთობლივად და მრავლობით რიცხვში ხსენებაც რთულია, რადგან ინდივიდუალურად ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

შენიშვნა!

არ არის საჭირო უკიდურესობები და გადამეტება, ნუ მოგერიდებთ, თავად ადამიანს ჰკითხეთ, როგორი მიმართვა ურჩევნია. მაგალითისთვის, ტრენინგებზე სიტყვა „ბრეინსტორმინგის“ გამოყენებას ერიდებოდნენ, რადგანაც ეს არის მდგომარეობა, რომელსაც ეპილეფსიის მქონე ადამიანები განიცდიან კრუნჩხვების დროს. ამ სიტყვის მაგივრად იყენებდნენ „იდეების გენერირებას“ და სხვა ვარიანტებს. ერთ-ერთმა ტრენინგმა, რომელსაც ეპილეფსია ჰქონდა, ეს სასაცილოდ არ იკმარა და განგებ იყენებდა სიტყვა „ბრეინსტორმინგს“ თავის ტრენინგებში, რათა ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ამ სიტყვის გამოყენებაში არაფერია დასაძრახი და საზიანო.


დასკვნა: თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ მიმართოთ ადამიანს, თავად ამ ადამიანს ჰკითხეთ.

მეტი რჩევები ტერმინოლოგიაზე და შეზღუდული შესაძლებლობების აღწერაზე იხილეთ თავში **“Products”** დამოუკიდებლად ცხოვრების კვლევით და ტრენინგ ცენტრში: www.rtcil.org



არის თუ არა თქვენი ორგანიზაცია ინკლუზიური?

შეზღუდული შესაძლებლობები ეროპაში



ევროსტატის „შეზღუდული შესაძლებლობების და სოციალური მონაწილეობის შესახებ მოხსენების“ მიხედვით, ევროკავშირის მოქალაქეების დაახლოებით 15%-ს შეზღუდული შესაძლებლობების რაიმე ფორმა აქვს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 100-დან 4 ადამიანს აქვს შეზღუდული აღქმადობის/ ინტელექტის შესაძლებლობები, 4 ადამიანს რაიმე სახის შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობა და მოძრაობის შეზღუდულობა აქვს, 4 ადამიანს - მგრძნობელობითი სისუსტეები და 3 ადამიანს - სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობები. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დაიბადოს შეკითხვა: თქვენს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში განეწვრიანებული 7 ადამიანიდან ერთს მაინც აღენიშნება რაიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობა? თუ არა, რატომ არ არიან ასეთი ადამიანები თქვენს ორგანიზაციაში?

მეტი ინფორმაცია ევროკავშირში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისამართზე: http://ec.europa.eu/employment_social/disability/index_en.html

მეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების თქვენს ორგანიზაციაში ჩართვამ (როგორც ახალგაზრდული მუშაკების, ასევე ბორდის წევრებისა და მონაწილეების სახით) შეიძლება ძალიან სასარგებლო გამოცდილება მოიტანოს. ეს ასევე მინიშნება იქნება ყველასთვის, რომ თქვენი ორგანიზაცია ღიაა ნებისმიერი ადამიანისთვის (უმეტესობა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ყველას დასაწახად არ აკეთებენ მსგავს მინიშნებას, დიდი ალბათობით არც არის ინკლუზიური).

•რისთვის არის მზად თქვენი ორგანიზაცია:

- შეხვედრით და ესაუბროთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, შეძლოთ მათი მოტივირება, დაითანხმოთ მათი მშობლები ან მეურვეები თანადგომაზე;
- მოაგვაროთ ფიზიკური ბარიერების პრობლემა (დახრილი პანტუსების დამონტაჟება და ა.შ.);
- ჩაატაროთ აქტივობები სხვადასხვა დროს (შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები ხშირად უფრო სწრაფად იღლებიან და უფრო მეტი დრო სჭირდებათ ძილის წინა პიგიენისთვის);
- ჩაიწეროთ და ჟესტებით გადმოსცეთ მსჯელობის პროცესი და გადაწყვეტილებები (სმენადაქვეითებულებისთვის);
- დაამზადოთ ყველა დოკუმენტის ასლი ბრაილის შრიფტით და ელექტრონული ფორმატით (რათა შემდეგ ბრაილის მკითხველმა შეძლოს წაკითხვა);
- გაამარტივოთ ზოგიერთი აქტივობა, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე მონაწილეებს რომ უფრო გაუადვილდეთ გაგება;
- გაანაწილოთ ამოცანები შეზღუდული შესაძლებლობების როგორც მქონე, ასევე არმქონე მონაწილეებზე.

...

შეიძლება, ბევრი - ათი ან მეტი განსხვავებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი ვერ ჩართოთ თქვენს აქტივობებში, მაგრამ რამდენიმე ახალგაზრდის ჩართვა მათთვის საინტერესო პროცესებში ნამდვილად შესაძლებელია. ასევე კარგი იდეაა, შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ახალგაზრდებმა მიიღონ მონაწილეობა შეზღუდული შესაძლებლობების ორგანიზაციის აქტივობებში (მაგალითი იხ. ქვემოთ).

.....

- ჩემმა თანამშრომელმა მიაღწია ერთი აქტივობის შესახებ, რომელშიც ის მონაწილეობდა.
- შერეული შესაძლებლობების ჯგუფთან ერთად (ჯგუფში შეზღუდული გონებრივი
- შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებიც იყვნენ). შობის წინ ისინი მოსართავებს
- ამზადებდნენ, ხატავდნენ ნაძვის ხეებს და თავიანთ ნამუშევრებს კედელზე აკრავდნენ.
- ერთი შეხედვითაც კი ადვილად ამოიცნობოდა შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების
- მქონე ბავშვის ნახატი - ის ბევრად უფრო კრეატიული და ფერადი იყო, მაშინ, როდესაც
- ყველა სხვა ნახატი ერთმანეთს ჰგავდა.

.....

➡ შერეული შესაძლებლობების პროექტების სარგებელზე ნაიკითხეთ შემდეგ თავში:
„შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტები - რატომაც არა?“

შერეული შესაძლებლობების აქტივობების და პროექტების ორგანიზებას სჭირდება აზროვნების და მუშაობის სტილის ცოცხალი შეცვლა (ასევე მცირე ინვესტიცია მასალისა და აღჭურვილობისთვის, მაგრამ დაფინანსების მოპოვებაც შესაძლებელია). ამით თქვენს ორგანიზაციას ინკლუზიურ ორგანიზაციად აქცევთ.

გსურთ ამის გაკეთება, თუ აპირებთ, ძველებურად გარიყოთ ახალგაზრდების 15% თქვენი აქტივობებიდან?



შერეული
შესაძლებლობების
საერთაშორისო
პროექტები –
რატომაც არა?



სარბეხელი და შესაძლებლობები

შეიძლება იფიქროთ, რომ ისეთი „თავზეხელაღებული“ იდეის განხორციელებამდე, როგორიცაა საზღვარგარეთ წასვლა შერეული შესაძლებლობების ჯგუფთან ერთად, ჯობია, ძალები ნაცნობ ტერიტორიაზე მოსინჯოთ. გვინდა დაგამშვიდოთ, საზღვარგარეთ წასვლის და ცხოვრების გამოცდილება ძალიან დადებითად აისახება თქვენი ორგანიზაციის ყველა წევრზე. ძალიან ცოტა საერთაშორისო პროექტი არის ინკლუზიური. **ყველა** ახალგაზრდისთვის ასეთი შანსის მიცემა წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები ან სამოხალისო სამუშაოები შერეული შესაძლებლობების ჯგუფის წევრების ცხოვრებაზე ძალიან დიდ გავლენას მოახდენს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების უმეტესობა ვერც იოცნებებდა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე ყველა იმ ბარიერის გამო, რომლებსაც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში უნერგავდნენ გონებაში (ათვისებული უმწეობა). ამ ოცნების განხორციელება მათთვის უდიდესი მიღწევა იქნება და სრულიად სხვა კუთხიდან დაანახებს ცხოვრებას და შესაძლებლობებს. ეს ადამიანები დარწმუნდებიან, რომ მათაც აქვთ იგივე შანსები, რაც სხვებს.

შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ახალგაზრდებს ერთად ცხოვრების უნიკალურ საშუალებას აძლევს. ახალგაზრდებს ერთმანეთთან ექნებათ თანამშრომლური და თანატოლური ურთიერთობა და არა მეურვე-პაციენტის მოდელის ურთიერთობა. შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ახალგაზრდებს ექნებათ შანსი, უკეთ გაეცნონ სხვადასხვა შეზღუდულ შესაძლებლობებს და გაიცნონ ის ადამიანებიც, ვისაც ეს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. 24/7 რეჟიმში ურთიერთობით, თანამშრომლობით, გაუთვალისწინებელ სირთულეებთან გამკლავებით (იმედია, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბევრი რამის გათვალისწინებას შეძლებთ), ერთად გართობით, დადებითი და უარყოფითი გამოცდილებების მიღებით ახალგაზრდები კარგად გაიცნობენ და დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ასეთი გამოცდილება საშაბათო ტრენინგებზე გაცილებით უფრო ღირებულია. შეზღუდული შესაძლებლობის მნიშვნელობაც შეიცვლება ახალგაზრდების თვალში - ბოლოს და ბოლოს ის სხვა არაფერია, თუ არა ხახვის მხოლოდ ერთი ფენა (იხ. თავი „დაინახე ადამიანი და არა შეზღუდული შესაძლებლობა“, გვ. 12).

ინტერნაციონალური ჯგუფის წევრობა სოციალური უნარების გამოცდაა: ახალგაზრდები სწავლობენ საკუთარი ადგილის პოვნას ჯგუფში, სხვებთან საერთო ენის გამონახვას, იღებენ გადაწყვეტილებებს კულტურათაშორის ურთიერთობებში და ა.შ. ისინი ეჩვენებიან სიახლეზე (საკვები, ჰავა, ენა) რეაგირებას მათთვის უსაფრთხო გარემოში. შინ დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდებს შეუძლიათ, ეს გამოცდილება გაუზიარონ თავიანთ მეგობრებს. ამით ისინი უფრო მაღალ სოციალურ სტატუსს და საზოგადოების მეტ პატივისცემას მოიპოვებენ.

საზღვარგარეთ ცხოვრება ჯგუფთან ერთად (მაგ. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა) ან რაიმე პროექტის განსახორციელებლად (მაგ. მოხალისეობრივი სამუშაო) ახალი სამყაროა ახალი საზღვრებით. ახალგაზრდები გაიცნობენ ახალ ადამიანებს და იძენენ ახალ მეგობრებს (რაც მით უფრო სასარგებლოა, თუ აქამდე ისინი იზოლირებული იყვნენ), ერთვებიან ახალ აქტივობებში (და დროებით იზინყებენ ყოველდღიურ რუტინას), ეცნობიან ახალ ადგილებს და კულტურებს... მხოლოდ ნაპირზე გამორიყულმა თევზმა იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წყალი - ამ გამონათქვამის სისწორეს საერთაშორისო პროექტების მონაწილეები საკუთარ თავზე გაიზრდებიან.

საერთაშორისო პროექტების პროგრამაში ძალიან ბევრი სხვადასხვა აქტივობაა გაწეული. ახლის ძიება და ცდები ავითარებს ახალ უნარებს და იდეებს (მაგ. პირველი მცდელობები ხატვაში, სპორტში, ახალი გატაცებები, მისწრაფებები და ა.შ.). ვითარდება ასევე პრაქტიკული ცოდნა ახალი ქვეყნის შესახებ (მაგ. მეტროპოლიტენით მგზავრობა, ფრენა, ცხოვრება/სტუმრობა და ა.შ.).

ასეთი გამოცდილება აუცილებლად აფართოებს ადამიანის შესაძლებლობების ჩვეულ საზღვრებს. უცხო ქვეყნის და ხალხის გაცნობის პარალელურად, ახალგაზრდები საკუთარ თავსაც ხელახლა ეცნობიან. ისინი გამუდმებით ხვდებიან ახალ, მათთვის უჩვეულო სიტუაციაში და მათ ეს სიტუაცია უნდა მართონ. გარდა იმისა, რომ ისინი აღმოაჩენენ ახალ შესაძლებლობებს, წარმატებული და ნაყოფიერი სამუშაო საზღვარგარეთ უთუოდ გაზრდის მათ თვითშეფასებას.

გაცვლითი პროგრამები შერეული შესაძლებლობების ჯგუფებში ასევე ეხმარება ახალგაზრდებს, ისწავლონ შეზღუდული შესაძლებლობებისადმი სხვადასხვა მიდგომები. ერთი მიდგომა შეიძლება მდგომარეობდეს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნაში და განებივრებაში, მეორე კი ითვალისწინებდეს ადამიანისთვის რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მინიჭებას. მაგრამ ორივე ეს მიდგომა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას. საზღვარგარეთ ყოფნისას იმის შანსიც არსებობს, რომ აღმოაჩინოთ ისეთი სიახლეები, როგორებიც, მაგალითად, უახლესი ტექნოლოგიის დამხმარე აღჭურვილობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის უფლებებია და ა.შ. ეს იდეები ძალიან გამოგადგებათ შინ დაბრუნების შემდეგ, მომავალ პროექტებში.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს უკვე აქვთ ჩამოყალიბებული შეზღუდული შესაძლებლობებისადმი გარკვეული მიდგომა, ამ ახალი იდეების გამოყენება შესაძლებელია ექსპერიმენტის სახით დროის მცირე მონაკვეთში. ზედმეტად მზრუნველ გარემოში მოქცეული შშმ ახალგაზრდები თავისუფლებისა და საკუთარი ინიციატივის ქონის შესაძლებლობას მხოლოდ დადებითად აღიქვამენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მათთვის საკუთარი თავის რწმენისა და თვითშეფასების გასამტკიცებლად.

ზოგადად, ახალგაზრდული მუშაკებისთვის და ორგანიზაციებისთვის უცხოელ კოლეგებთან მუშაობა ძალიან სასარგებლოა, რადგანაც ეს მნიშვნელოვნად აფართოებს შესაძლებლობების საზღვრებს, ზრდის მოტივაციას და შთაგონებას, აყალიბებს ახალ იდეებს. რომელიმე უცხო ქვეყნის ახალგაზრდული ორგანიზაცია შეიძლება თქვენგან განსხვავებულად მუშაობდეს, მაგრამ თქვენ ერთ საერთო მიზანს ემსახურებით - თუ როგორ გააუმჯობესოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ცხოვრება. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და განსხვავებული მიდგომები გაამდიდრებს თქვენს ცოდნას და შესაძლებელია, გააუმჯობესოს კიდევ თქვენი საკუთარი მიდგომა და მუშაობის სტილი.

იმაზე დაკვირვებას, თუ რას მიაღწიეს შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა უცხო ქვეყანაში და კიდევ რა აქვთ გასაკეთებელი, ძლიერი მასტიმულირებელი ეფექტი ექნება თქვენს მუშაობაზე. თუ ქვეყანა X-ში ეს შესაძლებელია, რა გვიშლის ხელს, იგივე განვახორციელოთ ჩვენთან? (მაგ. კანონმდებლობის პუნქტები, დამხმარე მონყოილობების დაფინანსება ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის და ა.შ.). შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მფარველი ორგანიზაციის ყოლა მეტ პოლიტიკურ ძალას შეგძენთ.

საერთაშორისო პროექტები ასევე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მაგალითად, ევროკავშირი მაქსიმალურად ცდილობს, შეუქმნას სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებს მეტი შესაძლებლობები, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს. შერეული შესაძლებლობების პროექტი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა ამ საკითხს, მაგალითად, ადგილობრივი მედიის დახმარებით. იმის დანახვა, თუ როგორ მუშაობენ და ერთობიან განსხვავებული შესაძლებლობების ახალგაზრდები ერთად, პოზიტიურ იმიჯს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს და საზოგადოებას ამ საკითხისადმი სასურველი დამოკიდებულების მაგალითს უჩვენებს.

ასევე შესაძლოა, შერეული შესაძლებლობების პროექტის ორგანიზება გამოწვევა გახდეს მასპინძელი დაწესებულებისთვის იმ თვალსაზრისით, არის თუ არა იგი „მიღწევადი“. თუ ასე არ არის, თქვენ, სულ მცირე, იქ მოღვაწე ადამიანებს დააფიქრებთ იმაზე, რომ ისინი არ აძლევენ საშუალებას სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებს, ისარგებლონ მათი დაწესებულებით (მაგ. რესტორანი, საცურაო აუზი, ტრანსპორტი, ა.შ.). რაღაც ალბათობით ეს უბიძგებს მათ, შეცვალონ საკუთარი მიდგომა.

• თქვენ

• დააკვირდით ახალგაზრდებს, რომლებთან ერთადაც მუშაობთ, ან დაელაპარაკეთ მათ იმის
• გასარკვევად, რას ფიქრობენ საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების სარგებლის
• შესახებ. სავსებით შესაძლებელია, რომ პასუხად ამ წიგნში ნახსენები ბენეფიტებისგან
• სრულიად განსხვავებულ ჩამონათვალს მიიღებთ. მთავარია, იცოდეთ, რატომ აკეთებთ
• ამას და რას ელით ამ საქმისგან!

★ ვიმედოვნებთ, რომ ბენეფიტების ნებისმიერ ჩამონათვალში უცვლელად დარჩება ერთ-ერთი პუნქტი - ხალისი. ალბათ არავის გააკვირვებს, რომ ურთიერთგაგება, ცვლილებები, ურთიერთობები და ჩართულობა დამოკიდებულია დადებით გამოცდილებაზე. ამ განწყობით შეუდევით საქმეს!



სირთულეები საზღვარგარეთ გამგზავრებისას

როგორც წინა თავებში ითქვა, შერეული შესაძლებლობების პროექტის განსახორციელებლად უამრავი მიზეზი არსებობს. მაგრამ მოდი, იმაზეც დავფიქრდეთ, თუ რა წინააღმდეგობებს შეიძლება გადააწყდეთ ამ საქმეში. ამ წიგნში თქვენ წაიკითხავთ, თუ როგორ გაუმკლავდეთ პრობლემებს მაქსიმალურად ეფექტიანად.

უპირველეს ყოვლისა, შერეული შესაძლებლობების პროექტის ორგანიზება სულაც არ ითვალისწინებს იმას, რომ პროექტში ჩართოთ შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ტიპის მქონე ადამიანები. რეალისტურად შეაფასეთ თქვენი ჯგუფის ძალები. საზღვარგარეთ გამგზავრებისას აუცილებლად უნდა დარწმუნდეთ, რომ ყველა მონაწილე შეძლებს თავის ჯგუფში დამოუკიდებლად არსებობას (იგულისხმება მოხალისეების საკმარისი რაოდენობა, რომლებიც დაეხმარებიან მონაწილეებს გადაადგილებაში და ა.შ.) და არ იქნება მთლიანად დამოკიდებული მასპინძელი ქვეყნის სერვისებზე. ზოგადად, შერეული შესაძლებლობების ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ადამიანები ჭარბობენ. ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ნევრების მცირე რაოდენობით დაწყება და, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, ამ რაოდენობის გაზრდა.

განსაკუთრებული საჭიროებები:

ახალგაზრდული მუშაკისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრების შიში ბუნებრივია - მას ეს აქამდე არასოდეს გაუკეთებია. არ იჩქაროთ, ნელ-ნელა შეიძინეთ გამოცდილება. თავში „დავინყოთ ახალგაზრდების საჭიროებებით“ (გვ. 37) წაიკითხავთ, თუ როგორ დაგეგმოთ მთელი პროექტი, რა ზომები უნდა მიიღოთ, გამგზავრება რომ გაგიადვილდეთ („საზღვარგარეთ გამგზავრება შერეული შესაძლებლობების ჯგუფში“, გვ. 74). ასევე გაეცნობით რჩევებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აირჩიოთ „ადვილად მიღწევადი ადგილები“ (გვ. 87). წიგნის ბოლოში კი უამრავი რჩევაა იმის შესახებ, თუ როგორ იმუშაოთ სხვადასხვა ტიპის შეზღუდულ შესაძლებლობებთან („რჩევები და ხერხები“, გვ. 88).

ჯგუფური საკითხები:

ახალგაზრდების მოტივირება საზღვარგარეთ წასასვლელად შეიძლება რთული აღმოჩნდეს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა სავარაუდოდ იფიქრებს, რომ საზღვარგარეთ გამგზავრება მის ძალებს აღემატება და ეს ილუზია მას თქვენ უნდა გაუქარწყლოთ („ნდობის მოპოვება და თვითშეფასების ამაღლება“, გვ. 41). მეორე მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ახალგაზრდები, დიდი ალბათობით, მიუჩვენებელი იქნებიან შშმ პირებთან ერთად მუშაობას, ცხოვრებას და გართობას. თავში „შეზღუდული უნარების მქონე თანატოლებთან თანამშრომლობა“ (გვ. 45) თქვენ ნახავთ ამ საკითხთან დაკავშირებულ რჩევებს. ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფში როლების გადანაწილება („როლები და ურთიერთობები ჯგუფში“, გვ. 48). ყურადღებით წაიკითხეთ თავი „ახალგაზრდა იზოლირებული კუნძული არაა: მშობლები, მეურვეები და ინსტიტუციები“ (გვ. 44). თუ პროექტის მოსამზადებელი პროცესი გაჭიანურდა, საჭიროა, ძველებური შემართება შეინარჩუნოთ. ამ საკითხს ეხება თავი: „შერეული შესაძლებლობების სამუშაო გარემოში პოზიტიური განწყობის შენარჩუნება“ (გვ. 51).

რისკები და გადამწყვეტი მომენტები:

ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას რაღაც გაუთვალისწინებელი და არასასურველი შეიძლება მოხდეს. დიახ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან მუშაობისას პასუხისმგებლობა ცოტა მეტია, მაგრამ „რისკების შეფასება“ (გვ. 53) და „თანხმობის ხელშეკრულება“ (გვ. 56) საკმარისია თავის დასაზღვევად.

საერთაშორისო პარტნიორობა:

საერთაშორისო პროექტებს საერთაშორისო პარტნიორები სჭირდებათ (თუ თქვენ ტურისტებად არ მიემგზავრებით). „საერთაშორისო პარტნიორობის ჩამოყალიბება“ (გვ. 61) გულისხმობს პარტნიორების პოვნას და ახალგაზრდებთან საკომუნიკაციო არხების შექმნას (გვ. 67). საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ყველა ნერვიულობს, მაგრამ ეს არის „კულტურათაშორისი სწავლების“ (გვ. 68) ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და ამ პროცესის დაჩქარება მრავალი სხვადასხვა გზით შეგიძლიათ.

ფული და დაფინანსება:

ჩნდება ბუნებრივი კითხვა: „ვინ იხდის ამ ყველაფრის საფასურს?“ არსებობს პროექტების დაფინანსების სხვადასხვა პროგრამები („საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება“, გვ. 69). შესაძლებელია, რომელიმე პროგრამამ მთლიანად არ დააფინანსოს თქვენი პროექტი, მაგრამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაფაროს. ამ წიგნში გაიგებთ, თუ როგორ მოიპოვოთ დაფინანსება („მეტი დაფინანსება“, გვ. 73).

აქტივობები და მეთოდები:

შეიძლება გაგიკვირდეთ, როგორ უნდა გაიწეროს ისეთი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული და სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე მონაწილეების გაერთიანებას. „შერეული შესაძლებლობების ჯგუფისთვის აქტივობების ორგანიზება“ (გვ. 78) შესაძლებელია და ამის განხორციელებაში დაგეხმარებათ „ადაპტირების მეთოდები“ (გვ. 85).



რა უნდა მოამზადოთ:

- შექმენით დაინტერესებული ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ჯგუფი - შთააგონეთ ახალგაზრდები, სცადონ სიახლე: შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტი. შექმენით თქვენს ჯგუფში პოზიტიური ატმოსფერო (გვ. 23);
- იპოვეთ პარტნიორი ორგანიზაცია საზღვარგარეთ - დარწმუნდით, რომ ის სანდოა - დაამყარეთ კონტაქტი სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის - გაანაწილეთ ამოცანები - გაცვალეთ საჭირო ინფორმაცია - მოამზადეთ ინტერკულტურული შეხვედრა (გვ. 61);
- ჩამოაყალიბეთ პროექტი და პროგრამა - შეეცადეთ მეთოდების ადაპტირებას თქვენი ჯგუფის წევრებზე - ჩართეთ ახალგაზრდები პროგრამის ფორმირების პროცესში (გვ. 78);
- განერეთ ბიუჯეტი - წინასწარ დაიწყეთ დაფინანსების წყაროების ძებნა - გაითვალისწინეთ საბოლოო ვადები და პროცედურების სპეციფიკა - ეცადეთ, პარალელურად მოიძიოთ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები - გქონდეთ სარეზერვო გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ დაფინანსება ვერ მოიპოვეთ;
- მოაგვარეთ პრაქტიკული საკითხები სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის: მოემზადეთ გამგზავრებისთვის (გვ. 74) - იპოვეთ შესაფერისი ადგილი (გვ. 87) - გაითვალისწინეთ თქვენი ჯგუფის წევრების განსხვავებული საჭიროებები (გვ. 87);
- იფიქრეთ იმაზე, რა შეიძლება წარიმართოს არასასურველად და როგორ გაუმკლავდებით ასეთ პრობლემებს: იფიქრეთ ადამიანებზე და ინსტიტუტებზე, რომლებიც მათ გარშემოა (გვ. 44) - იზრუნეთ მონაწილეების მოტივაციაზე (გვ. 51) - შეაფასეთ რისკები (გვ. 53);
- გადაანაწილეთ ამოცანები და როლები ჯგუფებს შორის (გვ. 48) - სამართლებრივი საკითხები - თანხმობის ხელშეკრულება (გვ. 53) - კონფიდენციალობის შენარჩუნება (გვ. 66).

საერთაშორისო შერეული შესაძლებლობების პროექტისთვის მომზადება

ამ წიგნში საუბარია არა ყოველდღიურ ახალგაზრდულ სამუშაოზე (შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში), არამედ აქცენტი კეთდება საერთაშორისო პროექტებზე (მაგ. გაცვლითი პროგრამები, მოხალისეობრივი სამუშაოები და ა.შ.) და ამ პროექტების მოსამზადებელ პროცესზე. ცხადია, ახალგაზრდული მუშაკების ყოველდღიურ საქმიანობასთან ამას საერთო ბევრი აქვს.

მოსამზადებელი პროცესის მასშტაბურობის გათვალისწინებით, ცხადად უნდა გვესმოდეს, რომ საერთაშორისო პროექტის მომზადება უშუალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე იწყება. მით უფრო მეტი დრო დასჭირდება ყველაფერს, თუ საქმე შერეული შესაძლებლობების ჯგუფს ეხება. სირთულის მიუხედავად, მთავარია მცირეოდენი მონდომება და ყველაფერი მოგვარდება.



როგორც ყველა ახალგაზრდულ პროექტში, ძალიან მნიშვნელოვანია, პროექტის მომზადების პარალელურად, მონაწილეებიც შეამზადოთ მისთვის. ქვემოთ იხილავთ რჩევებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დაიწყოთ მუშაობა ერთდროულად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე მონაწილეებთან ერთად და როგორ დაახლოოთ ისინი ერთმანეთს. ამ თავში გაეცნობით პროექტის მოსამზადებელი პროცესის ლოკალურ ასპექტებს, ანუ იმ ეტაპს, რომელიც წინ უძღვის პროექტის საერთაშორისო დონეზე განხილვას. შემდეგ ეტაპზე საუბარია თავში „საერთაშორისო კავშირები“ (გვ. 60).

დავიწყოთ ახალგაზრდების საჭიროებებით

თავში „სარგებელი და შესაძლებლობები“ ნათლად იკვეთება, რომ მთავარი ფიგურები, რომლებსაც შერეული შესაძლებლობების პროექტის სარგებელი მიემართება, ახალგაზრდები არიან. თუნდაც ძალიან გიზიდავდეთ ორგანიზაციული სამუშაოები და გამოწვევები, უნდა გაითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტი აგებულია ახალგაზრდების სურვილებზე, მისწრაფებებზე და საჭიროებებზე. ახალგაზრდების პროცესში ჩართვა მისი დაწყებისთანავე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს მათი პროექტია. თქვენი მიზანია, „კლიენტებს“ დაუდოთ უნიკალური პროდუქტი, რადგან ამ კლიენტებს ეყრდნობა თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის მოღვაწეობა.

- **ნამდვილი თუ მოჩვენებითი ინკლუზია?**
- თუ თქვენი მიზანია, ჭეშმარიტად ინკლუზიური პროექტი რეალობად აქციოთ, მაშინ ახალგაზრდები (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ შეზღუდული შესაძლებლობა) უნდა აქციოთ პროექტის ამოსავალ წერტილად და მთლიანად ჩართოთ პროექტის განვითარების პროცესში, ცხადია, დროდადრო გამოცდილი ახალგაზრდული მუშაკის დახმარებაც გახდება საჭირო. დაიმახსოვრეთ - თუ ახალგაზრდებს თავისუფლებას არ მისცემთ (მათი შესაძლებლობების მიუხედავად), მათ არ გაუჩნდებათ მოტივაცია და პასუხისმგებლობის გრძნობა.
- თუ როგორ უნდა გაააქტიუროთ ახალგაზრდების ჩართულობა, აღწერილია ჰარტის „მონაწილეობის კიბეში“ სალტოს წიგნში: “Going International” (www.SALTO-YOUTH.net/GoingInternational) .

საზღვარგარეთ გამგზავრების წინ თქვენი პროექტი მონაწილეების თვალთახედვითაც უნდა შეაფასოთ, განსაკუთრებით კი იმ მონაწილეებისა, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი უფრო მეტ საკითხზე ღელავენ, ვიდრე მონაწილეები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები არ აქვთ.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კატეგორიად დაყოფილი საჭიროებები. ცხადია, ყველა სიტუაციის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, მაგრამ ეს ჩამონათვალი მიგითითებთ იმ საკითხებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ გამგზავრებამდე.

**პრაქტიკული
და ტექნიკური
საჭიროებები**

ეს კატეგორია ეხება ინფრასტრუქტურას და დამხმარე მოწყობილობებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები იყენებენ.

- **ადვილად მისადგომი ადგილები** (საძინებლები, აბაზანები, საპირფარეშოები, სამუშაო კაბინეტები, რესტორნები, პარკინგი...), ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილების საკითხი;
- **მუშაობის მეთოდები** (სმენის აპარატი, ბრაილის შრიფტი, ხელმისაწვდომ ადგილას მოთავსებული მასალები...);
- **ტრანსპორტი** - მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, ადგილმდებარეობის მიმანიშნებლები, პანტუსები, ვიზუალური და ხმოვანი მინიშნებები...
- **ქალაქში სეირნობა** - წინაღობები, რუკები (ადაპტირებული შშმ პირებისთვის), ჯგუფურად ან წყვილად მოძრაობა, ხელმისაწვდომი საპირფარეშოები...
- **თავისუფალი დრო და დასვენება** - დასასვენებელი ადგილის მოწყობა;
- **ყოველდღიური ცხოვრება** - დამხმარე მოწყობილობები ჭამისთვის, დაბანისთვის, ძილისთვის...
- კომპანიები, რომლებიც ყიდიან/აქირავენ/აკეთებენ დამხმარე მოწყობილობებს (ეტლებს, ყავარჯნებს, სმენის აპარატებს, სათვალეებს...).

მინიმალურ სტანდარტად მიიჩნეთ მაქსიმალურად შეზღუდული შესაძლებლობები (მაგ. ყველაზე ნელა მოძრავი მონაწილე, მონაწილე, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს დაქვეითებული მხედველობა). ასე თავს დაიზღვევთ იმისგან, რომ ვინმეს საჭიროება გამოგრჩეთ.

იხილეთ მეტი ჩექლისთი თავში „შერეული შესაძლებლობების ჯგუფისთვის აქტივობების ორგანიზება“ (გვ. 78).

პირადი საჭიროებები	ეს კატეგორია ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პირად საჭიროებებს. ● ადამიანის შესაძლებლობები - შეუძლიათ თუ არა მონაწილეებს მარტო ყოფნა (ძილი, ჭამა, დაბანა), სხვისი დახმარების გარეშე? ● მონაწილეების განსაკუთრებული საჭიროებები - ზრუნვა, ნამლები, მასალები, საკვები... ● კონცენტრირების შესანარჩუნებელი მეთოდების ცვლა - ინტელექტუალური, პრაქტიკული, კრეატიული, ვერბალური... ● პროგრამის ტემპი, დასვენების დრო, პაუზის გაკეთების შესაძლებლობა... საჭიროებების გასარკვევად საუკეთესო გზა არის, თავად მონაწილეებს ჰკითხოთ ამის შესახებ. შესაძლებელია ასევე მშობლებთან, მეურვესთან ან ექიმთან კონსულტაციის გავლა.
სოციალური საჭიროებები	ეს კატეგორია ეხება მონაწილეს და მის გრძნობებს, ისევე როგორც მთლიანი ჯგუფის ემოციურ ფონს. ● ყურადღება მიაქციეთ მონაწილეების თვითშეფასების მაჩვენებელს და შედეგით დაკმაყოფილებას - სავსებით შესაძლებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა აზრადაც ვერ გაივლებდა საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის იდეას; ● ჯგუფის ყველა წევრი კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს - ნუ დაიშურებთ დროს მონაწილეების ერთმანეთისთვის კარგად გასაცნობად, სანყის ეტაპზე შესთავაზეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც არ მოითხოვს მონაწილეებისგან განსაკუთრებულ ჩართულობას და დიდ ძალისხმევას, და მხოლოდ მოგვიანებით გაართულებთ ეს აქტივობები. მთავარია, მონაწილეებს ერთმანეთისადმი ნდობა გაუჩნდეთ; ● თავის დაზღვევა გალიზიანებისგან და უკმაყოფილებისგან - წინასწარ გათვალეთ აქტივობის შეფასების მომენტები (ინდივიდუალურად, მცირე ჯგუფებში ან ინტერნაციონალურ ჯგუფებში); ● ნუ დაიშურებთ დროს გართობაზე და განტვირთვაზე - როგორც თავისუფალ დროს, ისევე სამუშაო პროგრამის ფარგლებში; ● მიეცით მონაწილეებს საკმარისი თავისუფალი დრო - არა მხოლოდ ჯგუფში, მონაწილეს განმარტობაც უნდა შეეძლოს ჯგუფის ინტენსიური ცხოვრების ტემპისგან განსატვირთად; ● კონტაქტის შენარჩუნება - ყველა მონაწილეს აუცილებლად უნდა შეეძლოს მშობლებთან და მეგობრებთან მიმონერა ან დალაპარაკება. ● ... ზემოთ ხსენებული საჭიროებების ნაწილის დაკმაყოფილება მოსამზადებელ ეტაპზეც შესაძლებელია (იხ. „ნდობის მოპოვება და თვითშეფასების ამაღლება“ (გვ. 41); „შეზღუდული უნარების მქონე თანატოლებთან თანამშრომლობა“ (გვ. 45)), ზუსტად ასეთივე მიდგომა დაგჭირდებათ ინტერნაციონალურ ჯგუფში მუშაობისას.

ჯანმრთელობა და სამედიცინო საჭიროებები

ამ კატეგორიაში ჩამოთვლილია ყველა საჭიროება, რომელიც გამომდინარეობს მონაწილეების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილეებისა).

- კონკრეტულად რა ნამლები სჭირდებათ მონაწილე ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ მუშაკებს - იქონიეთ ამ ნამლების გამოყენების ინსტრუქცია, გაიგეთ აქტიური ინგრედიენტის სახელწოდება (რადგან ერთი და იმავე ნივთიერების შემცველი ნამლების ბრენდები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია). ნაილეთ მეტი, ვიდრე საჭიროა, დაკარგვის შემთხვევაში მონაწილე უნამლოდ რომ არ დარჩეს;
- რა სახის პირადი მოხმარების საგნები სჭირდებათ პროექტის მონაწილეებს? (მაგ. სპეციალური ჰიგიენური ნივთები, საფენები) - შეგიძლიათ თუ არა ამ ნივთების შეძენა საზღვარგარეთ?
- იქონიეთ ადგილობრივი (მასპინძელი ქვეყნის) ექიმების, სასწრაფო დახმარების და უახლოესი საავადმყოფოს სატელეფონო ნომრები და მისამართები;
- იქონიეთ მშობლების, მეურვეების ან მონაწილეთა მკურნალი ექიმების საკონტაქტო მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში, მათ ჰკითხავთ რჩევას;
- შეუძლია თუ არა რომელიმე თქვენგანს პირველადი დახმარების განევა, თუ პროფესიონალი მედლის დახმარება დაგჭირდებათ?
- ...

ნაიკითხეთ უფრო მეტი თავში „რისკების შეფასება“ (გვ. 53).

უსაფრთხოება და იურიდიული საჭიროებები

აქ ჩამოთვლილია პროექტთან დაკავშირებული ყველა მხარის საჭიროებები, იქნება ეს მშობელი, მონაწილე თუ ორგანიზატორი.

- გააკეთეთ დაზღვევა - სამედიცინო დაზღვევა იმ ქვეყანაში, რომელშიც მიემგზავრებით, ბარგის და ძვირადღირებული დამხმარე აღჭურვილობის დაზღვევა, კრიტიკულ სიტუაციაში რეპატრიაციის გარანტია;
- კარგად გაითავისეთ თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის როლი ახალგაზრდებთან ურთიერთობაში - უნდა გქონდეთ მშობლების თანხმობა, უნდა უამბოთ მათ პროგრამისა და აქტივობების შესახებ, მოისმინოთ მათი მოსაზრებები ყოველივე ამასთან დაკავშირებით...
- გადახედეთ ახალგაზრდული სამუშაოს წესებს როგორც საკუთარ, ასევე მასპინძელ ქვეყანაში - რა არის მინიმალური მოთხოვნები, სპეციალური პირობები შერეული შესაძლებლობების ჯგუფთან მუშაობისას;
- შეიცავს თუ არა თქვენი პროგრამა ისეთ აქტივობებს, რომლის ჩასატარებლად შეიძლება დაგჭირდეთ კვალიფიკაცია/ცნობა/ოფიციალური თანხმობა;
- შეიმუშავეთ სარეზერვო სტრატეგია გაუთვალისწინებელი ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის - კარგად შეაფასეთ რისკები და მზად გქონდეთ სამოქმედო გეგმა.
- ...

ნაიკითხეთ უფრო მეტი თავში „რისკების შეფასება“ (გვ. 53).

- ❖ ნიგნის ბოლოს მოცემულია ჩეკლისთვის რამდენიმე ტიპი (გვ. 88), რაც დაგეხმარებათ შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტის დაგეგმვაში.
- ❖ გადმოწერეთ პრაქტიკული რჩევები **ახალგაზრდების უსაფრთხოებისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამებისთვის** მისამართიდან:
www.leargas.ie/youthan www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/

ნდობის მოპოვება და თვითშეფასების ამაღლება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ნაცნობი გარემოს და მომვლელების დროებით მიტოვება და თავგადასავლებით სავსე მოგზაურობის დაწყება შესაძლოა ფსიქოლოგიურად რთული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, თუ მათ ყველაზე მარტივ საყოფაცხოვრებო საქმიანობებშიც კი სჭირდებათ მიშველება. შესაბამისად, თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის საქმეა, დაეხმაროთ ამ ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევაში. თქვენ უნდა მოიპოვოთ მათი ნდობა და მიეშველოთ თვითშეფასების ამაღლებაში.

• • • • • თქვენი პირველი გამოცდილება • • • • •

• თუ თქვენს ცხოვრებაში პირველი შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტის •
• ორგანიზებას შეუდევით (ან თუნდაც პროექტისა თქვენს ქვეყანაში), მონაწილეების •
• ერთმანეთისთვის გაცნობით და საერთო ნდობის დამკვიდრებით უნდა დაიწყოთ. ეს •
• პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს და რამდენიმე შეხვედრა და აქტივობა საკმარისი •
• იქნება წარმატების მისაღწევად (მაგ. ერთად დალევა ბარში, ექსკურსია, ვორკშოფები, ა.შ.). •
• როგორც ნებისმიერ პროგრამაში, რომელიც მიმართულია მონაწილეების ერთმანეთისთვის •
• გაცნობისკენ, აქტივობები სანყის ეტაპზე სიღრმისეულად არ უნდა ეხებოდეს მათ ხასიათს •
• და პიროვნებას. მხოლოდ დროთა განმავლობაში უნდა შეიცვალოს მარტივი აქტივობები •
• უფრო ინტენსიურით, რომელიც მეტ კომუნიკაციას მოითხოვს მონაწილეებისგან. •

- ❖ გასაცნობი აქტივობების და ნდობის მოსაპოვებელი სავარჯიშოების ჩამონათვალი •
• იხილეთ სალტოს მეთოდების კრებულში მისამართზე: •
• www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/ •

- ❖ თუ უფრო მეტი გაინტერესებთ ამ მეთოდების და აქტივობების სხვადასხვა •
• შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ადაპტირების შესახებ, იხილეთ თავი •
• „მეთოდების ადაპტირება“ (გვ. 85). •

იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი მაინც არ არის დარწმუნებული, რომ პროექტში მონაწილეობას შეძლებს, უნდა გააკეთოთ რაიმე ისეთი, რაც მას საკუთარი შიშების დაძლევაში დაეხმარება. შეიძლება როგორც მოდელების გამოყენება (მაგ. ეტლით მოსარგებლე სპორტსმენები და ბიზნესმენები, უსინათლო პარლამენტარები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოდელები და ა.შ. მათ მცირეოდენი დახმარებით და გარემოსადმი ადაპტირებით მიაღწიეს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს).



SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“

ზუსტად ასევე რეალურია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბევრი ახალგაზრდა დათრგუნვილია სტერეოტიპებით და ფიქრობს, რომ ბევრი რამის გაკეთება არ შეუძლია (ათვისებული უმწეობა). რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, და ახალგაზრდები დარწმუნდებიან, რომ საჭირო აღჭურვილობა, მოტივაცია და ღიაობა საკმარისია იმისთვის, რომ მათ ბევრი რამ შეძლონ. მთავარი, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს სჭირდებათ, იმედია, და მიზანი, რის მისაღწევადაც უნდა იმუშაონ. ცხადია, ეს ყველაფერი - საღი აზრის ფარგლებში. სიტუაცია რეალისტურად უნდა შეფასდეს და მიღწევებმა და წარმატებებმა ნელ-ნელა და ზომიერად უნდა იმატოს.

.....
მაგალითი: ბიანკას სივრცეში ორიენტირებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ვერასდროს იოცნებებდა გარეთ მარტო გასვლაზე, რადგან საკუთარ ქუჩაზევე დაიკარგებოდა. მაგრამ ახალგაზრდული მუშაკის მოტივაციის და ბიანკას მობილურ ტელეფონზე დაყენებული დამცავი მექანიზმის დახმარებით (დაკარგვის შემთხვევაში პოვნის გასაადვილებლად), მან ნელ-ნელა დაიწყო თავისი მდგომარეობის გამოსწორება. თავიდან იგი ეჩვეოდა რამდენიმე გაჩერების გავლას ავტობუსით, შემდეგ ქალაქიდან ქალაქში მგზავრობა აითვისა, ახლა კი თავისუფლად შეუძლია გადაადგილება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

კარგი იქნებოდა პროექტის პოტენციურ მონაწილეებთან იმაზე გასაუბრება, თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა შეზღუდულ შესაძლებლობებს. ბევრი ადამიანი ქვეცნობიერად ყოფს შეზღუდულ შესაძლებლობებს კატეგორიებად და იერარქიებად და სხვადასხვა პრიორიტეტებს ანიჭებს (მაგ. ეტლით მოსარგებლე ადამიანი უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე უსინათლო, მას პირველ რიგში უნდა დავეხმარო). ამაში ნამდვილად არაფერია არაბუნებრივი, მაგრამ ინფორმაციის მიწოდებით ასეთი არასწორი დამოკიდებულების შეცვლა შესაძლებელია.

ძალიან ქმედითი მეთოდია, თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ალაპარაკოთ მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ბევრ ადამიანს (და განსაკუთრებით პოლიტკორექტულებს) ერიდება ასეთ თემებზე ლაპარაკი შშმ პირებთან, მაგრამ ეს სრულიად მისაღებია და ორივე მხარისთვის ძალიან სასარგებლოა, რადგან ყველას დაანახებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების კომპენსირება ადვილი შესაძლებელია, ამისათვის საჭიროა სულ მცირე დახმარება.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ თავად შეზღუდული შშმ ახალგაზრდები იყონ მიუჩვეველი შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე თანატოლებთან ურთიერთობას. როგორც უკვე ვთქვით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად დაგეხმარებათ გასაცნობი აქტივობები, რომლებიც ნელ-ნელა უფრო ინტენსიური გახდება და მონაწილეებისგან შეწყობილ გუნდურ მუშაობას მოითხოვს. თვითშეფასების ამალგებისთვის ასევე სასურველია ისეთი სავარჯიშოების ჩატარება, სადაც შშმ ახალგაზრდას შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე თანატოლზე უკეთესი შედეგის ჩვენება. მთავარია ერთი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მონაწილეობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ყველა სხვას.

რამდენიმე მაგალითი

- ეტლით მოსარგებლე ახალგაზრდებმა აჩვენონ მონაწილეებს, როგორ შეიძლება ეტლით რბოლა;
- შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების ხალხი ხშირად უფრო კრეატიულია (რადგან თავისუფალი არიან ბევრი სოციალური კომპლექსისგან და შეზღუდვისგან), ამიტომაც კრეატივზე მიმართულ აქტივობებში მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ;
- ბევრ სმენადაქვეითებულ ადამიანს კარგად აქვს განვითარებული პირის მოძრაობით ნათქვამის გაგების ნიჭი;
- მხედველობადაქვეითებულ ან უსინათლო ადამიანებს ხშირად აქვთ განვითარებული კარგი სმენა, ცნობენ ხმებს და ბგერებს;
- ...

მოზარდი იზოლირებული კუნძული არ არის: მშობლები, მეურვეები და ინსტიტუციები

პროექტისთვის მოტივაცია არა მხოლოდ მოზარდებს და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს სჭირდებათ.

ზოგჯერ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდის მშობლები და მეურვეები ქმნიან, რომელთაც არ სურთ, ბავშვზე ზრუნვას სხვებს გადააბარონ, თუნდაც დროის რაღაც მონაკვეთის განმავლობაში. შესაძლოა, ისინი ვერ ენდობიან იმ გარემოს, რომელიც მას საზღვარგარეთ დახვდება ან, საერთოდ, თვლიან, რომ მგზავრობა და პროგრამაში გათვალისწინებული აქტივობები მათი ბავშვის შესაძლებლობებს აღემატება. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ მშობელი ან მეურვე აკნინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდის რეალურ ძალებს და პოტენციალს (იხ. შეზღუდული შესაძლებლობები ≠ უუნარობას, გვ. 14).

შესაბამისად, ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესის ნაწილი მშობლებთან და მეურვეებთან შეთანხმებულად მოქმედებაა. მიაწოდეთ მათ ინფორმაცია თქვენი პროექტის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური ზომები მიიღეთ მათი ბავშვის სპეციალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ახალგაზრდულმა მუშაკმა უნდა მოახერხოს, ზედმეტი ძალდატანების გარეშე დაასაბუთოს პროექტის სარგებლიანობა (შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტები - რატომაც არა? გვ. 28).

• • • • • მშობლებთან საერთო ენის გამოწახვა: • • • • •

- ● ჩაატარეთ მშობლებთან შეხვედრები. თუ ისინი შეხვედრაზე მოსვლას არ მოისურვებენ, თავად ეწვიეთ მათთვის მოსახერხებელ დროს. ესაუბრეთ პროექტზე, დაფინანსებაზე, აქტივობებზე, პარტნიორ ორგანიზაციებზე, იმაზე, თუ როგორ იზრუნებთ მათი ბავშვის საჭიროებებზე;
- ● მოსამზადებელ სამუშაოებში მშობლების ჩართვა მათთვის პროექტის გაცნობის კარგი ხერხია. ისინი თავად შეაფასებენ, როგორ შეგიძლიათ პროექტის მართვა, დაინახავენ თქვენს პროფესიონალიზმს ახალგაზრდებთან ურთიერთობაში და იმას, თუ რა შესაძლებლობებს გაუჩენთ მათ შვილს. მშობლებს შეუძლიათ დახმარება დაფინანსების მოპოვებაში და ინფორმაციის მოგროვებაში იმ ქვეყნის შესახებ, რომელშიც აპირებთ გაემგზავროთ პროექტის ფარგლებში;
- ● მშობლების ნდობას მეტი ალბათობით მოიპოვებთ, თუ აჩვენებთ მათ უკვე განხორციელებული პროექტების შედეგებს და პროექტის მონაწილეების მოსაზრებებს მოასმენინებთ. შეგიძლიათ, აჩვენოთ მათ ვიდეომასალა, სლაიდები, შეახვედროთ განხორციელებული პროექტის მონაწილეებს და ა.შ.
- ●

ზოგი ინსტიტუცია შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ახალგაზრდის საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის იდეას, მაგალითად, დასაქმების ბიურო. იშვიათად ხდება, რომ დასაქმების ბიუროებმა საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება დასაქმების შანსის გასაზრდელად სასარგებლო გარემოებად მიიჩნიონ. პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ეროვნულ სააგენტოს მსგავს ინსტიტუციებთან მოლაპარაკების წარმოების დიდი გამოცდილება აქვს, იქ მომუშავე ადამიანებმა იციან, რა არის ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო და რა არა.

დაბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდის მშობლებთან და მომვლელებთან მჭიდრო კონტაქტი გქონდეთ, რათა ზუსტად იცოდეთ, სამედიცინო თვალსაზრისით რა შეუძლია ამ ადამიანს, და რა არა. ამის გათვალისწინება დაგჭირდებათ ისეთი ფიზიკური აქტივობების ორგანიზებისას (მაგ. ცურვა, სეირნობები, კლდეზე ცოცვა...), რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს აქამდე არასდროს მიუღია მონაწილეობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები (მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა) თავიანთ ძალებს რეალურად ვერ აფასებენ (ჯგუფში თავის გამოჩენის სურვილის გამო). შედეგად, მათ შეიძლება რამე დაიშავონ და კიდევ უფრო დაიძიმონ ჯანმრთელობის მდგომარეობა. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად არის საჭირო ახალგაზრდის მშობლების და მომვლელების ინფორმირება პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ - ისინი უკეთ გადაწყვეტენ, სამედიცინო თვალსაზრისით უსაფრთხოა თუ არა ამა თუ იმ აქტივობაში მონაწილეობის მიღება. ალტერნატიული ვარიანტია პროექტის ფარგლებში სპეციალისტის ჩართვა, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს პოტენციურად სახიფათო სიტუაციაში და როგორ შეამციროს რისკი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანატოლებთან თანამშრომლობა

შერეული შესაძლებლობების პროექტის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ახალგაზრდები ერთად ცხოვრობენ, მუშაობენ და ერთობიან. ცხადია, ასეთ გარემოში ხშირი იქნება სიტუაციები, როდესაც თანატოლებს ერთმანეთის დახმარება მოუწევთ, მაგრამ ყველა როდი მოახერხებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების თავისუფლად დახმარებას. ზოგს ამის გამოცდილება არ აქვს, სავალალო შეცდომის დაშვების ეშინია, ან დახმარება უცნობი ადამიანის პირად სივრცეში ღრმად შეჭრას ითვალისწინებს. ამის თავიდან ასაცილებლად ახალგაზრდების ერთმანეთისთვის გაცნობის და ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევის პროცესი ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს, რათა პროექტის დაწყების მომენტისთვის ჯგუფის ყველა წევრი თავისუფლად გრძნობდეს თავს და უხერხული მომენტები აღარ გაჩნდეს. საერთო ინტერესების და მისწრაფებების გამონახვა ძალიან დაეხმარება ახალგაზრდებს მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ცხადია, შეზღუდულ შესაძლებლობაზე ყურადღების გამახვილებაც დაგჭირდებათ, მაგრამ არა იმაზე მეტად, რაც საკმარისი იქნება სხვა ახალგაზრდებისთვის ზოგადი ინფორმაციის მისაწოდებლად. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს საერთო ინტერესებზე, პრობლემებზე, თვისებებზე, ა.შ. მთავარია, რომ ახალგაზრდებმა იგრძნონ - უმნიშვნელოვანესი პიროვნება და მისი შინაგანი სამყაროა, შეზღუდული შესაძლებლობები კი მეორადი მნიშვნელობის გარემოებაა.

ჩემი სახლი

დახატეთ, ააგეთ ან აღწერეთ თქვენი ოცნების სახლი.

კითხვები: სახლში რა ადგილებია თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი? რატომ? გჭირდებათ თუ არა გარაჟი? არის თუ არა თქვენი ოცნების სახლი მრავალსართულიანი? არის თუ არა საბავშვო ოთახი? ტელევიზორი? და ა.შ.

ეს სავარჯიშო დაეხმარება მონაწილეებს ერთმანეთის ინტერესების, ამბიციების, იდეალების და სურვილების გაცნობაში.

დიდი ალბათობით, პროექტის ბევრ მონაწილეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონია. ამიტომ მათთვის შეიძლება მნიშვნელოვანი გამოდგეს, მეტი გაიგონ იმის შესახებ, თუ როგორია, იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. იდეალური ვარიანტია, შშმ ადამიანს პირდაპირ დაელაპარაკოთ, მაგრამ არსებობს სხვა გზაც - რაიმე სიმულირებული მდგომარეობა შეუქმნათ მათ, რომელშიც რაღაც შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ.

გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ ადამიანს ასეთი სახის თამაშებში მონაწილეობა შეიძლება არ ესაიამოვნოს (უმეტესად ისეთ ადამიანებს, რომლებიც გვიანდელ ასაკში დაშავდნენ). შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე მონაწილეები მორგებული როლიდან თამაშის დამთავრების შემდეგ გამოვლენ, ამიტომაც მათთვის ეს უბრალო გართობაა, სხვებისთვის კი, არ არის გამორიცხული, მტკივნეული და უსიამოვნო გამოცდილება აღმოჩნდეს. წინასწარ გაარკვიეთ, სავარაუდოდ, ვის რა დამოკიდებულება ექნება მსგავს სავარჯიშოებთან.

სიმულაციური თამაშების ვარიანტები:

- თამაში, სადაც მონაწილეს სხვის სათვალეს გაუკეთებენ ან თვალს აუხვევენ - უსინათლობის ან მხედველობადაქვეითებულობის სიმულირება;
- თამაში, სადაც გამოიყენება სათვალე, რომელშიც ყველაფერი თავდაყირა ჩანს, იმ ხელით წერა, რომელსაც ადამიანი წერისთვის არ იყენებს, ზედსართავი სახელების საპირისპირო მნიშვნელობით გამოყენება (თეთრზე შავის თქმა და ა.შ.) - ათვისებასთან დაკავშირებული სირთულეების სიმულირება;
- თამაში, სადაც მონაწილეს „მომვლელებმა“ უნდა ჩააცვან ისე, რომ მას არ ჰქონდეს განძრევის საშუალება - პარაპლეგიის სიმულირება;
- მთელი დღე ყურსასმენით სიარული, რომელშიც ხმამაღალი მუსიკაა ჩართული - სმენადაქვეითებულობის სიმულირება;
- ყოველდღიური საქმეების კეთება ეტლში ჯდომისას - გადაადგილების შეზღუდვის სიმულირება;
- ქალაქში სეირნობისას იმ ფერებზე რეაგირება, რომლებიც გხვდებათ და შესაბამისი განწყობილების იმიტირება. მაგალითად: მწვანე ფერის დანახვისას სევდიანი განწყობის შექმნა, ყავისფრის დანახვაზე სიცილი, ყვითელზე თავის მომძინარება, ლურჯის ფერის დანახვაზე შეშინება - ასპერგერის სინდრომი და მსგავსი აშლილობები.
- ...

მონაწილეები საკუთარ თავში დარწმუნებული უნდა იყვნენ იმისთვის, რომ აკრძალვებისგან თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან. ერთ-ერთი გზა არის თავად შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის კონსულტანტის როლის მინიჭება. თვითონვე აუხსნან თავიანთ თანატოლებს, როგორი მოპყრობა სჭირდებათ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რა სიაშვებით და რა არა და ა.შ. ამით ამ ადამიანებს მისცემთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების საშუალებას, აქტიურად ჩართავთ მოსამზადებელ პროცესში და, რაც მთავარია, გააკეთებინებთ ისეთ საქმეს, რომელშიც ისინი თავიანთ კოლეგებზე უკეთ ერკვევიან.

ერთმანეთის გაცნობა და დამეგობრება სასიამოვნო გამოცდილებით იწყება. შესაძლებელია:

- ერთად კონცერტზე ან კინოში წასვლა;
- ერთად თამაში;
- საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში ერთად მონაწილეობა.

იდეალური არავინაა!

იდეალურები არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არც არმქონე ადამიანები არ არიან. ისევე, როგორც ნებისმიერ ახალგაზრდულ პროექტში, აქაც აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ექსპერიმენტები მისაღებია და წარუმატებლობა არაა დასაძრახი. თუ რამე არ გამოგივიდათ, ძალიან ნუ განიცდით - გაითვალისწინეთ თქვენი შეცდომა სამომავლოდ. ნუ გაკიცხავთ პროექტის მონაწილეებს!

ახალგაზრდებისთვის ექსპერიმენტირება სიახლის შესწავლის ერთ-ერთი გზაა. ამიტომაც ერთფეროვანი „უსაფრთხო“ სავარჯიშოებით ნუ შემოიფარგლებით. გაითვალისწინეთ ახალგაზრდების ამბიციები, ცნობისმოყვარეობა, ინტერესები, დროდადრო მიეცით საზღვრების გაფართოების საშუალება, ცხადია, ეს ყველაფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მონაწილეებს აქვთ ამის სურვილი - თავისუფალი არჩევანი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია!

SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“



როლები და ურთიერთობები ჯგუფში

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებმაც და მათმა მეურვეებმაც უნდა იცოდნენ, დაკმაყოფილებულია თუ არა მათი ძირითადი საჭიროებები პროექტის მიმდინარეობისას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან მუშაობისას ყოველთვის ჩნდება დახმარების საჭიროება, იქნება ეს დამხმარე აღჭურვილობა თუ სხვა სახის დახმარება (მაგ. ჟესტების ენის თარჯიმანი). ამ საკითხების გათვალისწინება მით უფრო საპასუხისმგებლო ხდება საერთაშორისო პროექტის ორგანიზებისას, რადგან საჭირო გახდება მონაწილის მოვლა (დაბანა, ჩაცმა, ნემსის გაკეთება, თერაპიული ვარჯიშები და ა.შ.).

დახმარების განევა სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი:

- თავად ჯგუფის მონაწილეებს შეუძლიათ მომვლელის/თარჯიმნის ფუნქციის შეთავსება და ამ როლების მორიგეობით შესრულება;
- შესაძლებელია მოხალისეების პოვნა ან მომვლელი პერსონალის დაქირავება;
- თუ არსებობს ამის საჭიროება, აიყვანეთ მედდებიც (ნემსის გაკეთება, შეხვევა და ა.შ.) - შეგიძლიათ, მედდა ჯგუფთან ერთად წაიყვანოთ ან დაიქირაოთ მასპინძელ ქვეყანაში.

.....
 • დაზუსტებით უნდა დაგეგმოთ, **ვის რა როლი ექნება პროექტში**. შესაძლებელია, სხვადასხვა •
 • სახის დახმარებას სხვადასხვა კვალიფიკაცია დასჭირდეს, ზოგს - პროფესიონალის ჩარევა, •
 • ზოგს კი მოხალისესი. იმ ადამიანებმა, რომლებსაც მიმართავთ დახმარებისთვის, უნდა •
 • იცოდნენ საკუთარი ვალდებულებები (სამუშაო საათები, ღამის ცვლები, შესვენებები, •
 • შეზღუდვები და ა.შ.). •

• ასევე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ახალგაზრდული მუშაკები პასუხს აგებენ მთლიან •
 • ჯგუფზე და არ შეუძლიათ ცალკეული მონაწილეების პირადი მომვლელის როლის •
 • შეთავსება. •
 •

თანატოლი-მომვლელის აყვანის იდეის უპირატესობა ის არის, რომ ადვილად იქმნება თავისუფალი და მეგობრული ატმოსფერო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილესა და მის მომვლელს შორის. თუმცა, თქვენი გადასანყვეტია, თუ რამდენად მისაღებია ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში - ყველაფერი დამოკიდებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეზე და ახალგაზრდების მზაობაზე, მსგავსი სამუშაო იტვირთონ. ძალიან მნიშვნელოვანია, მოხალისეებს ზუსტი ინსტრუქტაჟი ჩაუტაროთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის მოვლა სჭირდება ამა თუ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეს. ისევ ვიმეორებთ - ყველაზე კარგად თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ თავად მონაწილეებმა იციან!

თუ გადაწყვეტით, თანატოლი-მომვლელების აყვანის იდეა განახორციელოთ, აუცილებლად გაესაუბრეთ მოხალისეებს, გაეცანით მათ მოლოდინებს (მათაც დასჭირდებათ თავისუფალი დრო და დასვენება, გართობა და ა.შ.). თუ მომვლელი ჯგუფის წევრიც არის, მას არანაირად არ უნდა შეეზღუდოს აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა. იდეალური გამოსავალია ყველა შესაძლო სირთულეზე (განსხვავებული მოსაზრებები, დაღლილობა, გაღიზიანება, დაძაბული სიტუაციები) ღიად დალაპარაკება.

ცუდი იდეა არც მინი-კონტრაქტის დადებაა, სადაც მითითებული იქნება, რა ვალდებულებები აქვს პიროვნება X-ს პიროვნება Y-ის წინაშე, რა პროცედურები უნდა ჩატარდეს, როგორ უნდა იმორიგეონ მონაწილეებმა ცვლების მიხედვით და ა.შ. მთავარია, დღის ნებისმიერ მონაკვეთში მინიმუმ ერთი ადამიანი ასრულებდეს მომვლელის მოვალეობებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილე უყურადღებოდ არ რჩებოდეს, როდესაც მას დახმარება სჭირდება. ოღონდ იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მოხალისეობრივი დახმარების შემთხვევაშიც კი, მოხალისე მონა არ არის (იგივე ეხება დაქირავებულ მომვლელებს). ურთიერთპატივისცემა აუცილებელი გარემოებაა. ისევ, როგორც ბევრ ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში, ღია დისკუსია საუკეთესო საშუალებაა ყველა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

თუ მომვლელი ჯგუფის წევრი არ არის, მან და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილემ აუცილებლად უნდა გაიცნონ ერთმანეთი და დაახლოვდნენ - სრულიად უცნობი ადამიანის პირად სივრცეში შემოშვება ძალიან არაკომფორტულია! მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი „ნდობის მოპოვება და თვითშეფასების ამაღლება“, (გვ. 41).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოვლა ძალიან სასარგებლო სოციალური და პრაქტიკული უნარია. თქვენი პროექტის ზოგიერთი მონაწილე შეიძლება დაინტერესებულიც კი იყოს ამ უნარის შეძენით. ნელ-ნელა ასწავლეთ პოტენციურ მომვლელს, რა უნდა გააკეთოს, ისარგებლეთ თავად მოსავლელი ადამიანის მითითებებით. დასაწყისისთვის საკმარისი იქნება სავარჯიშოებში და თამაშებში დახმარება, მოგვიანებით კი შესაძლებელია იმპროვიზებული „გამოცდის ჩატარება“, რომლის გასავლელადაც მომვლელს დაევალება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან ერთად დროის რაღაც მონაკვეთის გატარება.

იცოდეთ თქვენი შესაძლებლობების ზღვარი!

შეუძლებელია, ადამიანს ყველაფერი მოსწონდეს და სიამოვნებდეს. არსებობს რაღაც, რის მიმართაც მას დაუძლეველი ზიზღი აქვს (სხვადასხვა მიზეზების გამო). ეს ყველაფერი დაზუსტებული უნდა იყოს იქამდე, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრებით. ნუ მოგერიდებათ ამის შესახებ ლაპარაკის - ფსიქოლოგიური ბარიერების ქონა ბუნებრივია და მათი გამოაშკარავებით სირთულეების თავიდან აცილებას შეძლებთ (მაგ. ვინმე ჩაგანაცვლებთ ისეთ საქმეში, რის გაკეთებაც არ შეგიძლიათ და ა.შ.).

დაფიქრდით, შეზღუდული შესაძლებლობებიდან რომელს მიიჩნევთ ყველაზე არასასურველად, და პირიქით - რომელთან იმუშავებდით თავისუფლად?

სავარჯიშო - ჩექლისტი

მე შემიძლია/არ შემიძლია/ სავარაუდოდ, შემიძლია...

- ● სისხლის დანახვა;
- ● განავლის გატანა;
- ● ადამიანის ხელში აყვანა ლოგინში ჩასანვენად (ფიზიკური ძალა);
- ● ადამიანის ჩაცმა/გახდა;
- ● ადამიანის დაბანა;
- ● ისეთი ადამიანის გვერდით ყოფნა, რომელიც ხმამაღლა იგინება;
- ● ჩემი თანმხლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის მოვლაზე პასუხისმგებლობის აღება;
- ● ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, ვინც გამართულად ვერ აზროვნებს/მეტყველებს;
- ● ქცევის პრობლემების მქონე ადამიანების პატივისცემა;
- ● აგრესიული და პროვოკაციული ქცევის ატანა;
- ● შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების სექსუალობის ბუნებრივად მიღება;
- ● შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ჩახუტება;
- ● სმენადაქვეითებული ადამიანების ჟესტებით ურთიერთობისას სიტუაციიდან გარიყულობის ატანა;
- ● ადამიანების დახმარება სიცოცხლის შესანარჩუნებელი აპარატურით (რომლის გარეშეც არსებობს სიცოცხლის შეწყვეტის რისკი)...

ასეთივე სავარჯიშოს ჩატარება შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებთან მათი პრეფერენციების და შესაძლებლობების საზღვრების დასადგენად.

შერეული შესაძლებლობების სამუშაო გარემოში კოზიტიური განწყობის შენარჩუნება

შერეული შესაძლებლობების პროექტები განხორციელებადია! მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ოდნავ მეტი დრო და ძალისხმევა. შესაბამისად, იქნება მომენტები, როდესაც სამუშაოში ჩართული ადამიანების (ახალგაზრდების, ახალგაზრდული მუშაკების, ბორდის და ა.შ.) მოტივირება და მათი მონდომებულობის შენარჩუნება გართულდება. ასეთი პრობლემა თავს განსაკუთრებით მაშინ იჩენს, როდესაც საქმე გრძელვადიან მოსამზადებელ პროცესს ეხება.

ადამიანები არ მონაწილეობენ წამოწყებაში (მით უმეტეს მოხალისედ), თუ მისგან არანაირ სარგებელს არ მოელონ.

.....

სავარჯიშო: რა მიზეზით იქნებოდით მოხალისე?

.....

- ჩამოთვალეთ ყველა შესაძლო მიზეზი, რომელიც გიბიძგებდათ შერეული შესაძლებლობების პროექტში მოხალისის როლში მონაწილეობისკენ. კარგი იქნებოდა იმ გარემოებების ჩამოთვლა, რაც თავს შეგაკავებინებდათ მსგავსი გადანყვეტილებისგან.
-
- იგივე კითხვები დაუსვით ჯგუფის ყველა წევრს. შედეგად, მიიღებთ ინფორმაციას, რომელიც გამოგადგებათ, კრიტიკულ ვითარებაში ჯგუფის წევრებს ხალისი და მონდომება დაუბრუნოთ.
-

.....

ადამიანებს სჭირდებათ ხალისი და გართობა, ურთიერთობა, ახალი გამოცდილებების მიღება, კრეატიულობა და გამოწვევები. თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის მოვალეობაა, აკონტროლებდეთ, რომ ყველა მონაწილე იმ სარგებელს იღებდეს სამუშაოსგან, რასაც თავად მოელოს. ამ მიზანს წარმატებით მიაღწევთ, თუ თავიდანვე დააფუძნებთ თქვენს პროექტს ახალგაზრდების სურვილებზე, ინტერესებზე და მუშაობის სტილზე.

თუ მონაწილეების მთავარი ინტერესია გართობა და ურთიერთობები, აუცილებლად უნდა გამოყოთ ამისთვის დრო. პროექტის მოსამზადებელი სამუშაოებიც ერთობლივად კეთდება, მაგრამ ცალკე დრო უნდა დაეთმოს განტვირთვას. მაგ. კინოში ერთად წასვლას, გასართობი საღამოს მოწყობას და ა.შ. ასეთი განსატვირთავი ღონისძიებების დროდადრო ჩატარება სამუშაოს არ ავნებს, თუ, რა თქმა უნდა, ეს ყველას სურვილია - ძალდატანებითი გართობა არავის სჭირდება.

თუ ჯგუფის წევრების სურვილია გამოწვევების მიღება და სირთულეების დაძლევა, დაავალეთ მათ უფრო რთული და საპასუხისმგებლო საქმეების გაკეთება (მაგრამ, ამავედროულად, გაითვალისწინეთ მათი შესაძლებლობებიც). ამოცანის მოთხოვნები და შემსრულებლის შესაძლებლობები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. თუ შეამჩნიეთ, რომ რომელიმე მონაწილეს განსაკუთრებულად მდიდარი ფანტაზია აქვს და კრეატიულია (და სურს, თავისი ეს ნიჭი გამოიყენოს), დაავალეთ მათ ისეთი საკითხები, სადაც მეტი კრეატივია საჭირო, მაგალითად, ლოგოს მოფიქრება ან სტატიის დაწერა თქვენი პროექტის შესახებ. გამორიცხული არც ისაა, რომ ზოგიერთ მონაწილეს საყოველთაო ყურადღების მიღმა დარჩენა და კულისებში მუშაობა ერჩივნოს - მიეცით მათ ამის საშუალება.


შესაძლოა, ზოგი ახალგაზრდა თქვენს პროექტში რაიმე ახლის სწავლის საშუალებას ხედავდეს - ნუ დაუშლით მათ ექსპერიმენტირებას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ დასჭირდებათ დაკვალიანება და ინსტრუქტაჟი, რათა მიზანს მიაღწიონ და საქმე არ ჩააფლავონ. მონაწილეთა სურვილების დაკმაყოფილების პარალელურად, ყოველთვის რეალისტურად უნდა აფასებდეთ სიტუაციას და იმას, რა არის შესაძლებელი და რა - არა.

თუ ხედავთ, რომ მონაწილეებს დიდი ნვლილი შეაქვთ პროექტში (რაც ასეც უნდა იყოს, რადგან ეს მათი პროექტია), განეული სამუშაოსთვის მადლობის თქმა სასიამოვნო ჟესტი იქნება. სიტყვიერი ფორმის გარდა, შეგიძლიათ მათი შრომის დაფასება სხვადასხვა გზებით გამოხატოთ:

- მონაწილეებისთვის რამე საჩუქრის გადაცემა (მაგალითად, კონცერტის ბილეთების, მაისურების და ა.შ.);
- შემაჯამებელი საღამოს ორგანიზება მოხალისეებისთვის, სასმელებით, ტკბილეულით, პრიზებით;
- დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზება მოხალისეებისთვის, სხვადასხვა ნომინაციებში პრიზების გადაცემა (მაგ. საუკეთესო მოხალისე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველაზე უშიშარი მონაწილე, საუკეთესო სპონსორი და ა.შ.).
- ...

შეგიძლიათ, ამგვარი ღონისძიებები ისეთ მომენტებს დაამთხვიოთ, როდესაც ჯგუფის მოტივაციის მკვეთრ შესუსტებას ამჩნევთ.

შვეული ხაზი მოტივაციის დონეს აღნიშნავს.



იხილეთ ასევე T-kit International Voluntary Service თავში „მოტივირება“ (გვ. 55).

www.youth-partnership.net ან www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/

რისკების შეფასება

ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობა (და შესაბამისად, შერეული შესაძლებლობების ახალგაზრდული პროექტებიც) უბრალოდ შრომითი თერაპიის და მომვლელების გადამზადების კურსი არ არის. იგი გულისხმობს ახალ გამოცდილებებს და გამოწვევებს, ინიციატივის გამოჩენას და ჯგუფში მუშაობას. ახალგაზრდული მუშაკები სთავაზობენ ახალგაზრდებს მათთვის ნაცნობი კომფორტის ზონის ფარგლებს გარეთ გასვლას და შემეცნების ზონაში გამოცდილების მიღებას (იხ. თავი „შეზღუდულ შესაძლებლობასთან მუშაობა - შენ ეს შეგიძლია!“, გვ. 5).

მნიშვნელოვანია, შეადაროთ ერთმანეთს ახალი გამოცდილების მიღებასთან დაკავშირებული რისკები და მოსალოდნელი შედეგები და სარგებელი, რაც ამ გამოცდილებას მოჰყვება. ახლის შეცნობის შესაძლებლობის ქონა და საზღვრების გაფართოება მით უფრო მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ძალიან ხშირად ზედმეტად მზრუნველ გარემოში ცხოვრობენ.

მაგრამ სანამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს ამ ახალ და შეუცნობელ გზაზე გაიყვანთ, აუცილებლად უნდა გქონდეთ მინიმალური ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და შესაძლებლობების შესახებ. ამით არა მხოლოდ თავიდან აიცილებთ ახალგაზრდის დაშავების რისკს, არამედ იპოვით მისი შეზღუდული შესაძლებლობების კომპენსირების გზებსაც. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ზურგის პრობლემების გამო ეტლით სარგებლობს, შეძლებს კარტინგში მონაწილეობას, თუ მანქანას სპეციალურად მოაწყობენ ისე, რომ მასში დასაჯდომის მაგივრად ეტლი მოთავსდეს. კრეატიული ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის ბევრ რამეს გახდის ხელმისაწვდომს, ჩვენ კი ამისთვის რამდენიმე რჩევას მოგცემთ თავში „აქტივობები შერეული შესაძლებლობების ჯგუფისთვის“ (გვ. 78).



კარგი იქნება, თუ წინასწარ დაფიქრდებით იმაზე, რა შეიძლება წარიმართოს არასწორად, ამის რა ალბათობა არსებობს, რა შედეგები მოჰყვება ამას. ცხადია, კარგი იქნება დაგეგმვით, თუ როგორ იმოქმედებთ კრიტიკულ ვითარებაში (ინცინდენტები, ჯანმრთელობის პრობლემები, ჩხუბი, პრობლემები ჯგუფში და ა.შ.), მაგრამ უკეთესი იქნება, იმაზეც თუ იფიქრებთ, როგორ შეიძლება მსგავსი პრობლემების თავიდან აცილება.

შეავსეთ რისკების შეფასების დიაგრამა:

რა შეიძლება წარიმართოს არასწორად?	რა ალბათობით? (1-3)	ვის ეხება ეს პრობლემა?	შედეგები	რამდენად სერიოზული? (1-3)	როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება?	რა შეიძლება გაკეთდეს, თუ ეს მაინც მოხდა?
მაგ. ასთმის შეტევა ...	☛☛	- მონაწილე X - ახალგაზრდული მუშაკი - ჯგუფი	- ერთ-ერთი მუშაკი დაზარალებულს ეხმარება ინჰალატორით; - ღონისძიება ჩერდება; - თუ შეტევა სერიოზულია, საჭირო გახდება დაზარალებულის საავადმყოფოში გადაყვანა.	☛ ☛ ☛☛☛	- ხანგრძლივი და ინტენსიური სავარჯიშოს სიფრთხილით დაგეგმვა; - ასთმის მქონე მონაწილის ალგზნების დონის და დადლილობის გაკონტროლება; - ინჰალატორის ან ქალაქის დიდი პარკის ახლომხლო ქონა;	- შეინარჩუნეთ სიმშვიდე და გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილზე; - დანარჩენმა ახალგაზრდულმა მუშაკებმა მიხედონ ჯგუფს; - გამოიყენეთ ინჰალატორი ან ქალაქის პარკი ჰიპერვენტილაციის თავიდან ასაცილებლად; - გამოიძახეთ სასწრაფო; - შეატყობინეთ მშობლებს;
...						

უდავოა, რომ მეტი ალბათობის მქონე რისკს (2 ან 3 ) და შესაძლო მძიმე შედეგებს (2 ან 3 ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. ასეთი მომენტებისთვის მომზადებული უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მოახდინოთ.

- მეტი რამ რისკების შეფასებაზე და კრიტიკული სიტუაციის მართვაზე ნაიკითხეთ სალტოს მეთოდების კრებულში მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/toolbox/
- იხილეთ ახალგაზრდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასარგებლო პრაქტიკული რჩევები: www.leargas.ie/youth/

როგორც უკვე ბევრჯერ ითქვა, საზღვარგარეთ დიდი ხნით გამგზავრებისას საჭირო ალტურვილობა აუცილებლად თან უნდა გქონდეთ (მაგ. ეტლები, საშხაპე კაბინები, საცურაო ინვენტარი... - იხ. ჩექლისთვის გვ. 87), ისევე, როგორც სამედიცინო ნივთები (მაგ. პირველადი დახმარების პაკეტი, ნამლები, ინჰალატორები და ა.შ.). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილეების მომვლელებად შეგიძლიათ აიყვანოთ როგორც პროფესიონალი სამედიცინო პერსონალი რთული პროცედურებისთვის (ნემსის გაკეთება, სამკურნალო ფიზკულტურა), ასევე მოხალისეები ან თავად პროექტის მონაწილეები. ყველაფერი დამოკიდებულია შშმ მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლის შესახებაც ვრცელ ინფორმაციას მიიღებთ მშობლებისგან, მეურვეებისგან ან მკურნალი ექიმისგან.

კრიტიკული სიტუაციისთვის მზადყოფნის კიდევ ერთი წინაპირობაა საჭირო: ინფორმაციის მოგროვება და ხელმისაწვდომ ადგილას შენახვა. ეს ნებისმიერ მსგავს მასშტაბურ პროექტში მიღებული პრაქტიკაა.

- **ჯანმრთელობის მდგომარეობა და განსაკუთრებული საჭიროებები** (ალერგიები, დანიშნული ნამლების სია, ნამლების აქტიური ინგრედიენტების ჩამონათვალი, მომვლელების მითითებები და ა.შ.);
- **საინფორმაციო ბარათი**, რომელშიც ჩანიშნულია მონაწილის სახელი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, პირველადი დახმარებისთვის საჭირო მითითებები (მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგ. საჭიროების შემთხვევაში, დანიშნული აბის ენის ქვეშ მოთავსება, შაქარი დიაბეტის მქონისთვის და ა.შ.), პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია;
- მშობლების/მეურვეების/მკურნალი ექიმების/სადაზღვევო კომპანიის/უახლოესი საავადმყოფოს/პოლიციის/სასწრაფო დახმარების/სახანძრო ბრიგადის **ტელეფონის ნომრები**.

- **სპეციალური აღჭურვილობა (სამედიცინო და სხვა)** - მაგალითად, რესპირატორი, ორი საშუალო სიგრძის ფიცარი იმპროვიზებული პანდუსის მოსაწყობად და ა.შ. ასევე აღჭურვილობა სხვადასხვა დაგეგმილი აქტივობისთვის (ცურვა, თხილამურებით სრიალი...);
- პროექტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, **ნამლები** გრძელვადიანი პერსპექტივისთვის;
- **სარეზერვო გეგმა** - მაგალითისთვის, შერეული შესაძლებლობების ჯგუფის მთაში გასვლა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ამიტომ წინასწარვე უნდა იფიქროთ მოკლე მარშრუტებზე, ტრანსპორტზე და ა.შ.
- **ჩვეულებრივი პირველადი დახმარების პაკეტი** - ყოველი შემთხვევისთვის, შესაძლებელია ნამლების და ხელსაწყოების ჩამატება.
- ...

თანხმობის ხელშეკრულება

ქვეყნებში, სადაც ძლიერი სამართლებრივი სისტემაა (და ზოგადად, ნებისმიერ ქვეყანაში), მიღებულია **თანხმობისა და პასუხისმგებლობის ხელშეკრულების** გაფორმება. ხელშეკრულებას ხელს აწერს ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა (თუ იგი სრულწლოვანია), ან მისი მშობლები/მეურვეები (თუ ახალგაზრდა არასრულწლოვანია, ან მისი ქმედითუუნარობა დადგენილია სასამართლოს მიერ, მაგალითად, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების ქონის შემთხვევაში).

ხელშეკრულებაში სასურველია შემდეგი პუნქტების ჩამოთვლა:

- აქტივობის თარიღი და ჩატარების ადგილი;
- პროექტში და პროგრამაში მითითებულ აქტივობებში მონაწილეობის თანხმობა (განსაკუთრებით, თუ აქტივობები რთულია, მაგ. კლდეზე ცოცვა, პარაპლანით ფრენა, ცურვა და ა.შ.), ხელს აწერს ან სრულწლოვანი მონაწილე, ან მისი მშობლები/მეურვეები;
- საკონტაქტო ინფორმაცია კრიტიკული სიტუაციისთვის (ძირითადად, მშობლების/მეურვეების საკონტაქტო მონაცემები);
- მონაწილის შეზღუდული შესაძლებლობების და მათთან დაკავშირებული განსაკუთრებული საჭიროებების აღწერა - შეგიძლიათ, ჰკითხოთ ახალგაზრდას, მის მშობლებს და ექიმს რჩევები, თუ როგორ მოიქცეთ შესაძლო გართულებების შემთხვევაში (მაგ. კრუნჩხვები ეპილეფსიის დროს) ან რა განსაკუთრებული ნივთები გამოიყენოთ (მაგ. ზედმეტი ტანსაცმელი სპორტული აქტივობების დროს გამოსაცვლელად და ა.შ.);
- ინფორმაცია ნამლების შესახებ (ნამლის სახელწოდება, მიღების სიხშირე და ა.შ.);
- თანხმობა მონაწილის ფოტოების გამოყენებაზე მომავალში, პროექტის წარდგენისას;
- (სურვილისამებრ) მონაწილის ქცევის წესები, და მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული სანქციები.

მაგალითი - სარეგისტრაციო ფორმა - თანხმობის ხელშეკრულება

→ სათაური - ადგილი - თარიღები ←

ამ კითხვებზე პასუხის გაცემით თქვენ დაგვებმარებით პროექტის მონაწილე ახალგაზრდებისთვის საუკეთესო გარემოს შექმნაში. ნებისმიერი სახის პირადი ინფორმაცია კონფიდენციალურია და საიმედოდ იქნება დაცული.

მონაწილის პირადი მონაცემები

სახელი დაბადების თარიღი

სქესი ეროვნება/მოქალაქეობა

მისამართი

სახლის ტელეფონი მობილური

მშობელი/მეურვე (საკონტაქტო ინფორმაცია)

სახელი

სახლის ტელეფონი მობილური

სხვა საკონტაქტო პირი (თუ მშობელთან/მეურვესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა)

ტელეფონის ნომერი

აქვს თუ არა თქვენს შვილს შეზღუდული შესაძლებლობები? დიახ () არა ()

შეზღუდული შესაძლებლობა არის ისეთი ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ყოველდღიური საქმეების წარმატებით შესრულებაზე. შეზღუდული შესაძლებლობა არ იმოქმედებს პროგრამაში მონაწილეობაზე, მაგრამ ჩვენთვის ამის ცოდნა მნიშვნელოვანია.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ.....

მოცემულ მომენტში იღებს თუ არა თქვენი შვილი წამალს? დიახ () არა ()

დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაწერეთ, რა წამალს იღებს თქვენი შვილი და ამ წამლის მოხმარების წესები (სიხშირე, მიღების ფორმა და ა.შ.)

გთხოვთ, ჩამოთვალეთ თქვენი შვილის განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც დაკავშირებულია მის შეზღუდულ შესაძლებლობებთან (ცურვა, მოძრაობა, მოვლა, სასმენი აპარატი, სხვა სპეციალური ხელსაწყოები და ა.შ.)

.....

არის თუ არა თქვენი შვილი ალერგიული? (პენიცილინზე, საკვებზე და ა.შ.)

დიახ () არა ()

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ.....

თქვენი შვილის მკურნალი ექიმის სახელი

ექიმის ტელეფონის ნომერი

ხართ თუ არა თანახმა, თქვენმა შვილმა მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში გაწერილ ყველა აქტივობაში? დიახ () არა ()

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რა აქტივობებში არ გსურთ, რომ თქვენმა შვილმა მიიღოს მონაწილეობა?.....

თანახმა ხართ თუ არა, რომ თქვენი შვილი დაფიქსირდეს ფოტოზე, რომელიც განკუთვნილი იქნება პრესისთვის და დაიბეჭდება ადგილობრივ გაზეთებში?

დიახ () არა ()

პროგრამის მონაწილის ქცევის წესები

იმისათვის, რომ პროგრამა წარიმართოს უსაფრთხოდ და ექსცესების გარეშე, ყოველმა მონაწილემ ხელი უნდა მოაწეროს და ზედმიწევნით შეასრულოს ქვემოთ ჩამოთვლილი წესები.

პროექტის მონაწილეს ევალება:

- პატივი სცეს ჯგუფის დანარჩენ წევრებს;
- შეასრულოს სტაფის წევრების ინსტრუქციები და გაითვალისწინოს მათი რჩევები;
- მოუსმინოს სხვებს, არავის გააწყვეტინოს საუბარი;
- გაუფრთხილდეს ინფრასტრუქტურას და პატივი სცეს სავარჯიშოების ცენტრის წესებს;
- არ მიაყენოს ჯგუფის სხვა წევრს შეურაცხყოფა, არ დაამციროს იგი;
- მიიღოს მონაწილეობა პროგრამის ყველა ნაწილში;
- შეძლოს გუნდთან ერთად მუშაობა;
- არ მიიღოს ალკოჰოლი, თამბაქო ან სხვა ნარკოტიკული საშუალებები.

თუ თქვენი შვილი დაარღვევს მონაწილის ქცევის წესებს, თქვენ დაუყოვნებლივ დაგიკავშირდებიან.

მშობლის/მეურვის ხელმოწერა (თუ მონაწილე არასრულწლოვანია).....

მონაწილის ხელმოწერა (მიუხედავად ასაკისა).....

თარიღი.....

ამ ფორმაში მოცემული ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებულია.

მადლობას გიხდით ამ ფორმის შევსებისთვის!

ფორმა აღებულია ლუიზ მაკბრაიდის ახალგაზრდული პროექტიდან
(Ballyboffy Rural Youth Project, Ireland)

საერთაშორისო კავშირები



ამ ბროშურის მიზანია, გიბიძგოთ, გააკეთოთ რაიმე განსხვავებული ყოველდღიური საქმიანობებისგან, რაც შშმ ახალგაზრდებისთვის, ერთი შეხედვით, შეიძლება პრიორიტეტული არ იყოს. ამის მაგალითია **საზღვარგარეთ გამგზავრება**. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს ხომ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც სხვებს.

როდესაც თქვენი პროექტით საერთაშორისო დონეზე გადიხართ, უცხოელი პარტნიორები დაგჭირდებათ. ამ თავში წაიკითხავთ რჩევებს, თუ როგორ იპოვოთ სანდო ორგანიზაციები თქვენი შერეული შესაძლებლობების პროექტის მხარდასაჭერად და როგორ დაუკავშირდეთ მათ. პარტნიორ ორგანიზაციებთან მუშაობისას წინა პლანზე იწევს ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხი, ანუ ის, თუ რა ინფორმაცია (მონაწილეების შესახებ) უნდა იყოს ხელმისაწვდომი პარტნიორისთვის, და რა დარჩეს გასაიდუმლოებული.

ასევე მნიშვნელოვანია, მეტი რამ იცოდეთ თქვენი პოტენციური პარტნიორის და იმ კულტურის შესახებ, რომლის წარმომადგენელიც ის არის (გვ. 68). უფრო მეტიც, ყოველივე ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ **ევროპული ფული!** (გვ. 69)

დაბოლოს, ამ თავში უფრო დეტალურად გაეცნობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ერთად მოგზაურობის თავისებურებებს (თუ აქამდე ამის გამოცდილება არ გქონიათ). თუკი სათანადოდ მოემზადეთ, ყველაფერი შესაძლებელია! (გვ. 74)

საერთაშორისო პარტნიორობის ჩამოყალიბება

მაშ ასე, თქვენ გყავთ შერეული შესაძლებლობების ადამიანებისგან შემდგარი გუნდი და იცით, როგორ უნდა მოამზადოთ ისინი შერეული შესაძლებლობების პროექტში მონაწილეობისთვის, მაგრამ თქვენ ასევე გჭირდებათ პარტნიორი გუნდი ახალგაზრდების გაცვლისთვის, ან ვისთანაც გაუშვებთ მოხალისეებს (თუ მხოლოდ დასასვენებელ მოგზაურობას არ გეგმავთ). სად შეიძლება პარტნიორების პოვნა?

შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მოძებნა შეგიძლიათ **საერთაშორისო მფარველი ორგანიზაციების** (და მათი წევრი ორგანიზაციების) ან შშმ პირთა საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების **ეროვნული ფედერაციების** დახმარებით. ბევრ ასეთ ორგანიზაციას (თუმცა არა ყოველ მათგანს) ჰყავს ახალგაზრდული ფრთა.

➤ **ევროპის შეზღუდულ შესაძლებლობათა ფორუმში** გაერთიანებულია 115-ზე მეტი ორგანიზაცია და ევროპის 29 ქვეყანა. შეზღუდულ შესაძლებლობათა საკითხებზე მომუშავე ევროპული, საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ მოიძიოთ მისამართზე: www.edf-feph.org

თუ თქვენ არ გსურთ ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალიზებულ ან „ექსკლუზიურ“ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, შეგიძლიათ, იპოვოთ მეინსტრიმული ორგანიზაციები, რომელთა პოლიტიკა ითვალისწინებს აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართვას.

პროგრამის „ევროპელი ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ფარგლებში (გვ. 69) შეგიძლიათ, დახმარების თხოვნით მიმართოთ თქვენს ეროვნულ სააგენტოს. იგი ინფორმაციას თქვენ შესახებ მიაწოდებს უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც თავის მხრივ საჭირო ორგანიზაციებს დაუკავშირდებიან. ასევე შესაძლებელია თქვენი ორგანიზაციის ინტერესების ჩამოწერა რომელიმე ონლაინ ბაზაში, რომელიც შექმნილია უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ინტერესებში აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს, რომ თქვენ ამზადებთ შერეული შესაძლებლობების პროექტს.

👉 ონლაინ ბაზები მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/partnerfinding/

კიდევ ერთი გზა არის მონაწილეობა პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ფარგლებში ორგანიზებულ საერთაშორისო ტრენინგებში და სემინარებში, რომლებიც ეხება პარტნიორული კავშირების შექმნას. ასეთ ტრენინგებზე შეხვდებით ბევრ ახალგაზრდას, ვინც თქვენაირად გეგმავს საერთაშორისო პროექტის ორგანიზებას. ზოგიერთი სემინარი ეხება კონკრეტულად შერეული შესაძლებლობების ჯგუფების თემას (თუმცა უმეტესობა უფრო ზოგადი ხასიათისაა).

👉 ევროპული ახალგაზრდული სამუშაოს კურსების მიმოხილვა იხილეთ მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/training/

პარტნიორის მოძებნა არ არის საკმარისი ერთობლივი პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის. პარტნიორ ორგანიზაციასთან დაკავშირების შემდეგ უნდა შეადაროთ თქვენი შესაძლებლობები, რესურსები და მოტივაცია.

დამხმარე კითხვები:

- რა არის ორგანიზაციის მიზანი? რა სტატუსი აქვს ორგანიზაციას? (არასამთავრობო, სოციალური დახმარების ორგანიზაცია, ახალგაზრდული ცენტრი და ა.შ.);
- რა არის ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფი? შეზღუდული შესაძლებლობების რა ტიპებთან მუშაობენ? სურთ თუ არა ახალი გამოცდილებების მიღება?
- რა სახის აქტივობებს ატარებენ? როგორი მიდგომა აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან? რა სახის დამხმარე აღჭურვილობაზე მიუწვდებათ ხელი?
- ვინ არის მათი სპონსორი? როგორი სტრუქტურა აქვს მათს ორგანიზაციას? ვის სახსრებზეა დამოკიდებული?
- ვინ იღებს გადაწყვეტილებებს (მათ შორის - საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს), ბორდი თუ კრება?
- განუხორციელებიათ თუ არა საერთაშორისო პროექტი? წარმატებით თუ წარუმატებლად? განუხორციელებიათ თუ არა საერთაშორისო პროექტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ერთად?

...

• იგივე ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ თქვენს პოტენციურ პარტნიორ ორგანიზაციას.

თავისთავად ცხადია, რომ ამისთვის პოტენციურ პარტნიორთან ხშირი კომუნიკაცია დაგჭირდებათ. შესაბამისად, თქვენი ორგანიზაციის წევრების მცირე ნაწილმა მაინც იცოდეს ერთი საერთო ენა. თუ თქვენი გუნდის წევრები უცხო ენებს არ ფლობენ, შედარებით მარტივი გამოსავალია პარტნიორის მოძებნა ერთი ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელ ქვეყნებში (მაგ. პორტუგალია-იტალია-ესპანეთი, სლავური ქვეყნები და ა.შ.). ასევე შესაძლებელია თარჯიმნის პოვნა.

ენობრივი ბარიერის გარდა, სავარაუდოა, კიდევ რამდენიმე პრობლემა წარმოიქმნას. სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს განსხვავებული ხედვები, რამაც ასევე შეიძლება ხელი შეუშალოს პოტენციური პარტნიორების კომუნიკაციას (იხ. თავი „შეზღუდული შესაძლებლობის აღწერა და კლასიფიცირება“, გვ. 20). მაგალითისთვის, ახალგაზრდული კლუბის ცნება ბელგიაში შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს იმისგან, თუ როგორ აღიქვამენ იმავე ცნებას გაერთიანებულ სამეფოში. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მაქსიმალურად კონკრეტულად აღწერეთ თქვენი გეგმები და სურვილები. ის, რაც თქვენთვის თავისთავად ცხადია, შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის დამატებით ახსნას საჭიროებდეს.



- ★ **ქეისების შესწავლა** ძალიან დაგეხმარებათ, შექმნათ პარტნიორის მოღვაწეობის სურათი. გაუზიარეთ ერთმანეთს ის სიტუაციები, რომლებშიც აღმოჩენილხართ და შეადარეთ ერთმანეთის მიდგომები;
- ★ **ორგანიზაციის უკეთ გასაცნობად** კიდევ ერთი საშუალებაა ერთმანეთის პოლიტიკის გაანალიზება.

თუ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად გადანაცვით შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტის განხორციელება, მნიშვნელოვანია, შეთანხმდეთ იმაზე, თუ როგორ გადანაწილდება პასუხისმგებლობა პროექტის ფარგლებში. მოლაპარაკებამ უნდა მოიცვას როგორც პროექტის მოსამზადებელი ეტაპი და პროგრამა (პარტნიორი ორგანიზაციების ახალგაზრდა წევრების ჩართულობის საკითხი), ასევე აპლიკაცია დაფინანსების მოსაპოვებლად (იხ. „საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება“, გვ. 69), მონაწილეების მომზადება (იდეალურ შემთხვევაში - სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი ახალგაზრდების პარალელურ რეჟიმში მომზადება), მგზავრობის დაგეგმვა (ორგანიზაცია, რომელიც ჯგუფს აგზავნის), ადგილის დაჯავშნა და მომზადება (მასპინძელი ორგანიზაცია), პროგრამის განვითარება, შეჯამება და გამოხმაურებები (პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება). პასუხისმგებლობა უნდა გადანაწილდეს ისე, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს და შეექმნას ნათელი წარმოდგენა, ვინ რაზე აგებს პასუხს. განიხილეთ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებიც, აგრეთვე ის წესები და რეგულაციები, რაც შემუშავებული აქვს ორივე ორგანიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს კომუნიკაციის უამრავი საშუალება არსებობს, პარტნიორების პირადად შეხვედრა მაინც უპირატესია. შეხვედრით ერთმანეთს, დაათვალიერეთ ის ადგილი, სადაც სავარაუდოდ ჩატარდება პროექტი, ეს ბევრად უფრო სანდოა, ვიდრე ვარაუდებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება. პირადად შეხვედრა მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ ადგილი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს (მაგ. იყოს ადვილად მისადგომი) და ჰქონდეს ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორსაც თქვენი ძალებით და იმპროვიზაციის უნარით ვერ მოაწყობთ.

★ ცოტაოდენი ფანტაზიის დახმარებით შესაძლებელია უჩვეულო სიტუაციებთან ადაპტირება - ეს გამოცდილების მიღების ერთ-ერთი ასპექტია. სამწუხარო იქნებოდა სახლში დარჩენა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სადღაც პანდუსი არ იყო დამონტაჟებული, მაშინ, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდას თავისუფლად შეუძლია ეტლში მჯდომი ადამიანის აწევა და საფეხურებზე აყვანა, ან ორი ფიცრით იმპროვიზებული პანდუსის გაკეთება.

უშუალოდ პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებამდე შეგიძლიათ, პირადად ჩახვიდეთ (შესაძლებელია მონაწილეების მშობლებთან ერთად) და ადგილზევე შეაფასოთ ვითარება. პარალელურად, შეგიძლიათ დააკვირდეთ პარტნიორი ორგანიზაციის მუშაობის რიტმს, აქტივობებს და ა.შ. თავად მიიღოთ მონაწილეობა ამ აქტივობებში.

☛ სპეციალური ვიზიტების დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ნაიკითხეთ თავში „საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება“ (გვ. 69).

როგორც უკვე ითქვა, დღესდღეობით კომუნიკაცია გამარტივებული და იაფია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის საკითხიც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმატი (მაგ. ტექსტების წამკითხველი პროგრამები უსინათლოებისთვის, ხმოვანი შეტყობინებები მოძრაობასთან დაკავშირებული სირთულეების მქონეებისთვის და ა.შ.). არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ ზოგ ადამიანს არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე.

თუ პირველად გინევთ საერთაშორისო პროექტის ორგანიზება, სასურველი იქნებოდა, გამოცდილი პარტნიორი მოგეძებნათ. შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ორგანიზაციას, რომელსაც აქამდე წარმატებით განუხორციელებია მსგავსი პროექტები და სთხოვოთ, გაგიზიარონ გამოცდილება. ასევე შეგიძლიათ, რჩევა ჰკითხოთ პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ეროვნულ სააგენტოს.

☛ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხს მიძღვნილი პროექტების კრებული იხილეთ ინოვაციური პროექტების ონლაინ ბაზაში მისამართზე:
www.SALTO-YOUTH.net/innovativeProjects/

მთავარია, არ დაკარგოთ იმედი! რომი ერთ დღეში არ აშენებულა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც გარკვეული დრო სჭირდება. გაჭიანურებული პროცესი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდება.

ინფორმაციის კონფიდენციალობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებთან მუშაობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ინფორმაციის კონფიდენციალობაა. ანუ ის, თუ მონაწილეების შესახებ რა ინფორმაციის მიწოდება შეგიძლიათ და გევალებათ სხვა ორგანიზაციებისთვის და პროექტზე მომუშავე ადამიანებისთვის. უნდა შეგეძლოთ ზღვარის დანახვა საჯაროდ ხელმისაწვდომ და პირად ინფორმაციას შორის, რომლის საიდუმლოდ შენახვა თქვენი მოვალეობაა, რათა თავიდან აიცილოთ ადამიანისთვის სხვადასხვა იარაღების მიკერება საზოგადოების მხრიდან.

საკმარისი ინფორმაციის მიწოდება პროექტის მონაწილეებისთვის და პარტნიორებისთვის საჭიროა შესაძლო არასასურველი სცენარების განვითარების თავიდან ასაცილებლად. მაგალითისთვის, ლიფტით სარგებლობის შედეგად კლასტროფობიის მქონე ადამიანს შეიძლება პანიკის შეტევა დაეწყოს, ანდა ხერხემლის დაზიანების მქონე ადამიანის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს, თუ მას ხელში აიყვანენ, ასპერგერის სინდრომის მქონე ადამიანს გარკვეულ ფერებზე ცუდი რეაქცია ჰქონდეს, ალერგიული მონაწილის რეაქცია საკვებზე ფატალური შედეგით დასრულდეს და ა.შ.

ბევრგან მიღებულია (ზოგიერთ ქვეყანაში კი ამას კანონიც კი ითვალისწინებს) თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან (ან მათ მშობლებთან/მეურვეებთან) მოლაპარაკება, თანახმანი არიან თუ არა ისინი, რომ მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის და განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ ინფორმაცია გადასცეთ საჭირო ინსტანციებს. არ არის აუცილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის დეტალურად აღწერა, საკმარისია, ნათლად იკვეთებოდეს მისი ლოგიკური კავშირი თქვენს პროექტთან. გაითვალისწინეთ, რომ პატივი უნდა სცეთ ადამიანის პირად ცხოვრებას და თქვენს პარტნიორებს გადასცეთ მხოლოდ ის, რისი ცოდნაც აუცილებელია მონაწილის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

★ მიეცით საშუალება თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს, აღწერონ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჩამოთვალონ ის საჭიროებები, რაც სავარაუდოდ გაჩნდება მათი საზღვარგარეთ ყოფნისას ან სამოხალისეო საქმიანობისას. თუ თქვენი პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს თანატოლები დაეხმარებიან, ისინიც უნდა ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც მათი, ასევე მოსაველელი მონაწილის უსაფრთხოება.

უმჯობესია, თავად გადასცეთ პარტნიორს საჭირო ინფორმაცია შშმ მონაწილის შესახებ და არ დაელოდოთ, როდის მოითხოვს იგი მას. თქვენივე გუნდის წევრთან გასაუბრება და რჩევის კითხვა თქვენთვის ბევრად უფრო ადვილი იქნება, ვიდრე უცნობი ორგანიზაციის წარმომადგენელი ახალგაზრდული მუშაკისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მონაწილე ან მშობლები/მეურვეები ეწინააღმდეგებიან მისი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, თქვენ გაქვთ უფლება, არ დაუშვათ ახალგაზრდა თქვენს პროექტში მონაწილეობის მისაღებად. მეორე გამოსავალია, სანდო პირი (რომელიც ახალგაზრდას და მის მდგომარეობას კარგად იცნობს) პროექტის ფარგლებში წაიყვანოთ მის პერსონალურ მომვლელად. იგი პროექტის დასრულებამდე მოუვლის მონაწილეს და ზუსტად ეცოდინება, როგორ მოიქცეს, თუ ახალგაზრდის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე შეექმნება.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები აქვს (ან არასრულწლოვანია), მშობლებმა/მეურვეებმა უნდა გადაწყვიტონ, მიიღებს თუ არა ის მონაწილეობას თქვენს პროექტში. მათ შეიძლება იცოდნენ ისეთი რისკების შესახებ, რომელთა გათვალისწინებითაც ახალგაზრდის საზღვარგარეთ გაშვება გაუმართლებელი იქნება (მაგ. შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდას აკვიატებული აქვს უცხო ქვეყანაში დაფეხმძიმება).

ახალგაზრდები ბარჩიერებს და საზღვრებს მიღმა

მას შემდეგ, რაც თქვენი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელ ჯგუფთან ერთად პროექტის მომზადებას დაიწყებთ, ახალგაზრდები უნდა შეუდგნენ ერთმანეთის ქვეყნების და კულტურის უკეთ გაცნობას. ამის უამრავი საშუალება არსებობს, ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ თქვენს ფანტაზიაზე.

რამდენიმე რჩევა:

- მოამზადეთ ვიდეოპრეზენტაცია თქვენი ორგანიზაციის და გაცვლით პროგრამაში მონაწილეების შესახებ;
- დაიწყეთ მიმოწერა პარტნიორი ორგანიზაციის წევრებთან, ესაუბრეთ ერთმანეთს ინტერნეტის საშუალებით;
- გაუგზავნეთ პარტნიორებს სუვენირები, რომლებიც უკავშირდება თქვენი ქვეყნის კულტურას და ტრადიციებს;
- გამართეთ თემატური წვეულება (თემა ეხებოდეს მასპინძელ ქვეყანას);
- მოიფიქრეთ სახალისო გამოწვევები და შეეჯიბრეთ ერთმანეთს;
- ...
- ➡ მეტი რჩევები უცხოელების შეხვედრისთვის მომზადებასთან დაკავშირებით: ბროშურა “Going International” www.SALTO-YOUTH.net/GoingInternational/ ბროშურა “Use Your Hands” (ევროპის მოხალისეთა კავშირისთვის) www.SALTO-YOUTH.net/UseYourHands/


პარტნიორი ჯგუფების ეფექტიანი კომუნიკაციისთვის საჭიროა, არსებობდეს მინიმუმ ერთი ენა, რომელზედაც ორივე ჯგუფის წევრები მეტყველებენ. ნუ ჩაშლით პროექტის იდეას მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენი ჯგუფის წევრები ინგლისურად არ ლაპარაკობენ. ინგლისურის გარდა, არსებობს რამდენიმე უნივერსალური ენა ან ენობრივი ჯგუფი. ასე მაგალითად, შესაძლებელია იტალიური და ესპანური ენების ან სლავური ენების ნარევის გამოყენება საუბრისთვის. მიჩვევის შემდეგ ადვილად შეძლებთ როგორც ნათქვამის გაგებას, ასევე თქვენი აზრის სრულყოფილად გადმოცემას. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ჟესტების ენა და არავერბალური კომუნიკაციის სხვა ფორმები ურთიერთობის ძალიან ეფექტიანი მეთოდებია!

შესაძლებელია მთელი პროგრამის არავერბალურ კომუნიკაციაზე დაფუძნება. საკმარისია, ჩაანაცვლოთ სიტყვები სიმბოლოებით და პიქტოგრამებით. პირდაპირი დისკუსიის ნაცვლად, შესაძლებელია სკეტჩების და სასცენო დადგმების მომზადება - ვარიანტები უთვალავია და დამოკიდებულია თქვენს ფანტაზიაზე და მონდომებაზე. ბუნებრივი დისკომფორტი, რომელიც თავდაპირველად წარმოიქმნება, ადვილად დაიძლევა.

ასევე ეფექტიანია და საკმაოდ იაფიც თარჯიმნის მომსახურება. სავსებით შესაძლებელია, თქვენს ჯგუფში აღმოჩნდეს ერთი ადამიანი მაინც, რომელიც შეძლებს პარტნიორების ნათქვამის გადმოთარგმნას მშობლიურ ენაზე. ასევე პრაქტიკულად გამოსადეგია სათარგმნი ონლაინ პროგრამები, როგორიცაა სრულიად უფასო <http://babelfish.altavista.com/>, თუმცა ამ პროგრამის ხშირად გამოყენების შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება გამართული ფრაზის ნაცვლად სრულიად გაუგებარი ნონსენსი მიიღოთ.

კულტურათაშორისი სწავლება

საზღვარგარეთ გამგზავრებისას თქვენ და თქვენი გუნდი გაეცნობით ახალ კულტურას. ეს შეიძლება გახდეს ალფრთოვანების მიზეზიც და ასევე დროდადრო გაღიზიანებაც გამოიწვიოს. ევროპის კონტინენტზე განსხვავებული კულტურები მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მათ შორისაც არის სხვაობა. ზოგი განსხვავება ზედაპირზეა და მისი გათავისება ადვილია: სამზარეულო, მუსიკა, ჩაცმულობა... მაგრამ არსებობს უფრო სიღრმისეული კულტურული სხვაობებიც: დამოკიდებულება წესებისადმი, გენდერული როლები, ოჯახის ინსტიტუტის მნიშვნელობა და მრავალი სხვა.



ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენც და თქვენი პროექტის მონაწილე ახალგაზრდებიც კარგად მოემზადოთ კულტურულ განსხვავებებთან შესახვედრად. ამ მიზნით შესაძლებელია სიმულაციური თამაშების და მსგავსი სავარჯიშოების ჩატარება. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა წეს-ჩვეულებებია (საკვების მიღების დრო, პუნქტუალობა, პირადი სივრცე და ა.შ.) და სულაც არ არის აუცილებელი, ეს ჩვეულებები „კარგებად“ და „ცუდებად“ დაყოთ, უბრალოდ, ბუნებრივად შეხვდით განსხვავებას და შეეგუეთ მას. მომზადება დაგეხმარებათ ეთნოცენტრიზმის და სტერეოტიპული დამოკიდებულების დაძლევაში, მიგაჩვენებს, იყოთ გახსნილი და ადეკვატურად აღიქვით სიახლე. ეს ყველაფერი ჰგავს თამაშში მონაწილეობას წესების ცოდნის გარეშე - თქვენი ამოცანაა, თამაშის პარალელურად დაადგინოთ წესები.

კულტურათაშორისი შეხვედრისთვის მომზადების მრავალი განსხვავებული მეთოდი არსებობს. გთავაზობთ რამდენიმე პუბლიკაციას, რომელიც ამ საკითხს ეხება.

- SALTO-ს მეთოდების კრებული ტრენინგებისთვის: www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/
- საგანმანათლებლო პაკეტი (All Different All Equal): www.coe.int/ecri/ (საგანმანათლებლო რესურსებში)
- ტრენინგ პაკეტი კულტურათაშორისი სწავლისთვის: www.youth-partnership.net
- საგანმანათლებლო პაკეტი “All Different All Equal”: www.coe.int/ecri/

საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება

პროექტის განსახორციელებლად სახსრების მოპოვების მრავალი განსხვავებული გზა არსებობს. თქვენი ორგანიზაციის მონაწილეებს შეუძლიათ, საკუთარი ძალებით დაფარონ ხარჯები, შეგიძლიათ მოაწყოთ ფასიანი წვეულებები, იპოვოთ მეცენატი ან კომპანია, რომელიც თანახმა იქნება, თქვენი პროექტი დააფინანსოს ან შეიტანოთ აპლიკაცია დაფინანსების თხოვნით საგრანტო ინსტიტუტებში. დიდი ალბათობით, მოგიწევთ ზემოთ ჩამოთვლილიდან რამდენიმე ხერხის გამოყენება.

ევროკომისიის პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“



პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ არის ევროკომისიის კლასგარეშე არაფორმალური განათლების და მობილობის პროგრამა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდული მუშაკებისთვის. პროგრამა პოპულარიზაციას უწევს ევროპის აქტიურ მოქალაქეობას, ახალგაზრდობის ჩართულობას, კულტურულ მრავალფეროვნებას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინკლუზიას.

პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ მუშაკებს სთავაზობს საერთაშორისო მასშტაბის პროექტების ორგანიზების შესაძლებლობებს, ასევე დახმარებას ამ საქმეში პროექტების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ხელმისაწვდომია ე.წ. პროგრამის ქვეყნების წარმომადგენელი ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკებისთვის. ეს ქვეყნებია ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრი ქვეყნები (ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი) და ევროკავშირში ასოცირების პროცესში მყოფი ქვეყნები (ამ დროისთვის - მხოლოდ თურქეთი, თუმცა პერსპექტივაში სხვა ქვეყნებიც მოიაზრება). არსებობს მეზობელი პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა და კავკასია, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ქვეყნები).

დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია **პროექტის რამდენიმე ტიპისთვის**. პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროექტების დაფინანსების წესები მარტივია, თანხის ოდენობები ფიქსირებულია და მეტწილად დამოკიდებულია პროექტის მონაწილეების რაოდენობაზე, აქტივობებზე, პროექტის ხანგრძლივობაზე და ა.შ.

- ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები (სადაც მონაწილეობენ ახალგაზრდული ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებიდან);
- ჯგუფური ინიციატივები (ადგილობრივი პროექტები, რომლებსაც ახალგაზრდული ჯგუფები ახორციელებენ);
- დემოკრატიის საკითხისადმი მიძღვნილი პროექტები (პროექტები, რომლებიც უბიძგებს ახალგაზრდებს, გაიზიარონ დემოკრატიული ფასეულობები);
- ევროპის მოხალისეთა სამსახური (ახალგაზრდები მოხალისეობად მუშაობენ უცხო ქვეყანაში);
- ტრენინგები და ქსელები ახალგაზრდული მუშაკებისთვის (ტრენინგები, სემინარები, სამუშაო პროცესის შესწავლა, პარტნიორობის ჩამოყალიბება, შემაჯამებელი შეხვედრები და ა.შ.).

➡ გაიგეთ მეტი პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ შესახებ **გზამკვლევაში**, რომლის გადმოტვირთვაც შეიძლება მისამართიდან: http://ec.europa.eu/youth/yia/index_en.html

პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები

პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ღია უნდა იყოს ყველა ახალგაზრდისთვის. თუ ახალგაზრდების გარკვეული სეგმენტი (შშმ პირები) მაინც ვერ იღებს სარგებელს ამ პროგრამისგან, სათანადო ზომები უნდა მიიღოთ, რათა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული შესაძლებლობები მათთვის უფრო მისაწვდომი გახდეს. პროგრამაში „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ძალიან ცოტა შშმ ახალგაზრდა არის ჩართული.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების **ინკლუზია** პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ერთ-ერთი **პრიორიტეტია**. ეს ნიშნავს, რომ ორი თანაბრად პერსპექტიული პროექტიდან კომისია უპირატესობას მიანიჭებს იმას, რომელიც ითვალისწინებს შშმ ახალგაზრდების მონაწილეობას (ცხადია, უნდა მოახერხოთ ახსნა, თუ რა ნიშნით არიან თქვენი პროექტის მონაწილეები შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი). ამას გარდა, არსებობს მთელი რიგი გარემოებებისა, რაც გაუადვილებს „ინკლუზიურ ჯგუფებს“ პროექტის განხორციელებას პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ფარგლებში.

ცხადია, წესები ერთნაირია ყველა პროექტისთვის, რომელიც პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, მაგრამ ინკლუზიური პროექტი უფრო მეტი ალბათობით მიიღებს დამატებით მხარდაჭერას (თუ მისი პერსპექტიულობა კარგად არის დასაბუთებული).

- **დამატებითი ხარჯები:** თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პროექტში ჩართვის გამო დამატებითი ხარჯები გიჩნდებათ, მიუთითეთ ეს ხარჯები თქვენს აპლიკაციაში (მაგ. დამატებითი ხარჯები სპეციალური ტრანსპორტისთვის, სამედიცინო მომსახურებისთვის, პირადი მომვლელის ასაყვანად). თქვენზეა დამოკიდებული, რას მიუთითებთ, მთავარია, მოთხოვნები რეალური იყოს;
- **ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებს შორის** ორმხრივი გაცვლითი პროგრამები (სადაც მონაწილეობენ მხოლოდ ორი ქვეყნის წარმომადგენლები) პოპულარულია ინკლუზიურ ორგანიზაციებში და ჯგუფებში. ასეთი პროექტები უფრო „მარტივია“ განსახორციელებლად - მრავალეროვან პროექტებში კომუნიკაციას მეტი ძალისხმევა სჭირდება, ორმხრივი გაცვლითი პროგრამის ორგანიზებისას კი მეტი ყურადღებას მიმართავთ იმ სირთულეებზე, რომლებიც კავშირშია მონაწილეების შეზღუდულ შესაძლებლობებთან;
- შეგიძლიათ, მოითხოვოთ **წინასწარი დაგეგმვითი ვიზიტი**, რათა თქვენი პროექტი მაქსიმალურად კარგად იყოს ორგანიზებული. ამ ვიზიტის დროს შეამოწმებთ სავარაუდო მასპინძელი დაწესებულების ინფრასტრუქტურას, აღმოაჩენთ სავარაუდო პრობლემებს და იფიქრებთ ამ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **ახალგაზრდების ინიციატივებისთვის** (შშმ პირების მხარდასაჭერი პროექტები ორგანიზებული შშმ პირების მიერვე) გათვალისწინებულია ახალგაზრდული მუშაკების დახმარება (და შესაბამისად მეტი დაფინანსება);
- **ევროპული სამოხალისო პროექტის** საშუალო ხანგრძლივობაა 2-12 თვე. ინკლუზიური პროექტების ხანგრძლივობა კი 2 კვირიდან 12 თვემდეა (თუ ამის მიზეზი არსებობს);
- მასპინძელი ორგანიზაციის და პროექტის გასაცნობად წინასწარი დაგეგმვითი ვიზიტის განხორციელება შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოხალისესთან ერთად;
- თუ მოხალისეს სჭირდება დამატებითი მოვლა, შესაძლებელია **გადღიერებული მეურვეობის** დაფინანსება. ამისთვისაც დაგჭირდებათ აპლიკაციაში დამატებითი არგუმენტების მითითება. დაშვებულია არასრულწლოვანი (16 ან 17 წლის) მოზარდების მოხალისეობა. ასაკის ზედა ზღვარია 30 წელი.
- ➡ ევროპის ყველა ქვეყანა განსხვავებულია. ამიტომ პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ეროვნულმა სააგენტომ თქვენი მოთხოვნები ადეკვატურად და გამართლებულად უნდა მიიჩნიოს იმაზე დაყრდნობით, თუ რა ჯგუფთან ერთად მუშაობთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მყარ არგუმენტებს წარადგენთ.
- ➡ მეტი რამ ინკლუზიის სპეციფიკურ მეთოდებზე ნაიკითხეთ ევროკომისიის „ინკლუზიის სტრატეგიაში პროგრამისთვის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/InclusionStrategy/

ეროვნული სააგენტოების მიზანია თქვენი ინფორმირება სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ და მათ მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო სესიებზე და ტრენინგებზე დასწრება ძალიან დაგეხმარებათ საპროექტო იდეების ჩამოყალიბებაში. ეროვნულ სააგენტოებში ყოველთვის არის ინკლუზიის დირექტორი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, პროგრამაში „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ჩართოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები და საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილი სხვა სეგმენტები. ეროვნული სააგენტოების კომისიაში ხშირად არიან ინკლუზიური ორგანიზაციების წევრები.

ახალგაზრდობის ევროპული ფონდი

ევროპის საბჭო სტრასბურგში აკონტროლებს ახალგაზრდობის ევროპულ ფონდს, რომელიც შექნილია საერთაშორისო ახალგაზრდული შეხვედრების (კატ. A) და საპილოტე პროექტების, მონაწილეობის ინოვაციური ფორმების და სოციალურ გარიყულობასთან გამკლავების (კატ. D) მხარდასაჭერად. ცხადია, ეს კატეგორიები შერეული შესაძლებლობების პროექტებსაც მოიცავს.

ახალგაზრდულ შეხვედრებში უნდა მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს მინიმუმ შვიდი წევრი ქვეყნის წარმომადგენლები ასაკით არა უმეტეს 30 წლისა. ახალგაზრდული კრებები უნდა ეძღვნებოდეს ევროპის საბჭოს ამოცანებს და პრიორიტეტებს:

- ადამიანის უფლებების სწავლება და კულტურათაშორისი დიალოგი;
- ახალგაზრდობის მონაწილეობა და დემოკრატიული მოქალაქეობა;
- სოციალური ერთიანობა და ახალგაზრდების ინკლუზია;
- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება.

ახალგაზრდობის ევროპული ფონდი ასევე ითვალისწინებს „ადმინისტრაციული გრანტების“ გადაცემას ევროპული ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის და ქსელებისთვის (კატ. C) და გრანტების გადაცემას „საერთაშორისო პროექტებისთვის, გარდა შეხვედრებისა“ (კატ. B). მაგალითისთვის: კვლევები, სპეციალური პუბლიკაციები, სწავლება, გამოფენები, კამპანიები, ახალგაზრდულ საკითხებს მიძღვნილი აუდიო და ვიდეომასალების და ვებსაიტების დამზადება და ა.შ.

მეტი ინფორმაცია სააპლიკაციო პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ მისამართზე: www.coe.int/youth/

ახალგაზრდობის გადაადგილების სოლიდარობის ფონდი

ყოველი “Inter Rail” ბარათისთვის (ევროპული სარკინიგზო გადაადგილებისთვის საჭირო ბარათი) სარკინიგზო კავშირი რიცხავს ერთ ევროს ახალგაზრდობის გადაადგილების სოლიდარობის ფონდში. ეს ფონდი ეხმარება შეზღუდული ან შერეული შესაძლებლობების ჯგუფებს (მინიმუმ 10 ადამიანი) საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო გადაადგილებაში.

➡ მეტი ინფორმაცია სააპლიკაციო პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ მისამართზე: www.coe.int/youth/

ქიდეზ რამდენიმე ფონდი

EuroDesk და **ERYICA** არის ახალგაზრდული საინფორმაციო სააგენტოების ორი ევროპული ქსელი (ზოგჯერ ისინი ერთ სააგენტოდაც მოიაზრება). **EuroDesk** პასუხისმგებელია ინფორმაციაზე, რომელიც ეხება ევროპას და სხვადასხვა ევროპულ დაფინანსების წყაროებს, **ERYICA**-ს მოღვაწეობა კი ეხება ახალგაზრდული ინფორმაციის სფეროს ზოგადად. ეს ორი სააგენტო ასევე დაგეხმარებათ, მოიპოვოთ ეროვნული დაფინანსება. იმის გასაგებად, თუ რა სახის დაფინანსება არსებობს თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდული პროექტებისთვის, შეგიძლიათ, მიმართოთ ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს.

EuroDesk -www.eurodesk.org და **ERYICA** -www.eryica.org

ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრების და ევროპის ახალგაზრდული ფორუმის წევრების ჩამონათვალი იხილეთ მისამართზე: www.youthforum.org

თუ გსურთ, საკუთარი ძალებით მოიპოვოთ პროექტისთვის საჭირო სახსრები (სხვადასხვა წივთების გაყიდვა, წვეულებების ორგანიზება, მომსახურება), გამოგადგებათ „დაფინანსების მოპოვების იდეების ბანკი“: www.fund-raising.com/fundraising-ideas.php

შეგიძლიათ, გამოიყენოთ ევროპული ახალგაზრდობის პარტნიორობის მიერ შედგენილი „დაფინანსებისა და სახსრების მართვის ტრენინგ პაკეტი“, სადაც ნახავთ კიდევ უფრო მეტ გზას, თუ როგორ დააფინანსოთ თქვენი ახალგაზრდული პროექტები. გამოტვირთეთ სახელმძღვანელო მისამართიდან:

www.youth-partnership.net ან www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/



SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“.

საზღვარგარეთ გამგზავრება შეჩეული შესაძლებლობების ჯგუფში

შერეული შესაძლებლობების ჯგუფთან ერთად მოგზაურობისთვის დიდი დრო დაგჭირდებათ. ხანგრძლივი მოგზაურობა კი გულისხმობს მეტ სიტუაციას, სადაც მონაწილეების განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილება მოგიხდებათ (კვება, წამლების მიღება, საპირფარეოში გასვლა, უსაფრთხოება,...), და ამ ყველაფრის მოხერხება გარემო შეზღუდვების პირობებში მოგიწევთ (გამგზავრების საათები, ბილეთში მითითებული ადგილები,...). რეკომენდებულია ჯანმრთელობის დაზღვევასთან ერთად მგზავრობაც დააზღვიოთ ისე, რომ თქვენი ჯგუფის საჭიროებებს მოერგოს.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებზე მორგებული ტრანსპორტის დაქირავება (ავტობუსები/ფურგონები) არ არის ცუდი იდეა, თუმცა არც ისე იაფი გამოსავალია და „ნამდვილი თავგადასავლების“ მაძიებლებს არ შეეფერება - შორ მანძილებზე ავტოტრანსპორტით მოგზაურობა ძალიან დამღლევი შეიძლება იყოს. ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (მაგალითად, ეტლით მოსარგებლე) წევრის განცალკევებულად გადაყვანა სპეციალური ტრანსპორტით, მაშინ, როცა დანარჩენი ჯგუფი ერთად იმგზავრებს, არც ისე „ინკლუზიური“ გადანყვეტილებაა. უმჯობესია, მთელი ჯგუფი ამოცანად ისახავდეს, ყველა მონაწილემ ერთად იმგზავროს, რაც შეიძლება შორ მანძილზე. ეს ასევე დაგეხმარებათ, დააკვირდეთ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებს და იფიქროთ, როგორ შეიძლება მათი მორგება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებზე.

დღესდღეობით ბევრი რკინიგზის სადგური აღჭურვილია პანდუსებით, რათა ეტლით მოსარგებლე ადამიანებს ვაგონებში ასვლა გაუადვილდეთ. საქმეს ის ართულებს, რომ ხშირად პანდუსებით სარგებლობისთვის სადგურის ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმირებაა საჭირო, ან პანდუსები ხელმისაწვდომია დღე-ღამის მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთში. წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი! თუ ბოლო მომენტში გეგმების შეცვლა გინევთ, მზად იყავით ეტლში მჯდომი ადამიანის ასანევად. გაითვალისწინეთ, რომ მან თავად (ან მისმა მშობლებმა/მეურვეებმა) იცის, როგორ უფრო მოსახერხებელია ეტლის აწევა, ამიტომ ჰკითხეთ მას ამის შესახებ. ელექტროეტლები გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე უბრალო ეტლები და მათი აწევა ძალიან გაგიჭირდებათ. შეამოწმეთ ისიც, არის თუ არა სადგურში ლიფტები, რომლებითაც ბაქანზე ასვლა შეიძლება.

ავიახაზები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მგზავრების მიმართ, მაგრამ ეს გარემოება წინასწარ უნდა მიუთითოთ ბილეთების დაჯავშნისას. შეამოწმეთ, რომელ ავიაკომპანიას რა შემთავაზებები აქვს და რამდენად მისაღებია ეს თქვენთვის. ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს უფლება ეძლევათ, განცალკევებულად გაიარონ რეგისტრაცია და პირველები ჩასხდნენ თვითმფრინავში, მაგრამ ამ პროცედურების გასავლელად აეროპორტში უფრო ადრე უნდა მიხვიდეთ. ზოგიერთ აეროპორტში ასევე შესაძლებელია ეტლების დაჯავშნა იმ შემთხვევისთვის, თუ მონაწილეს უჭირს გრძელ მანძილებზე გადაადგილება დიდ ტერმინალებში. გაითვალისწინეთ ისიც, რომ გადაჯდომის შემთხვევაშიც მეტი დრო დაგეხმარებათ, თუ ავიაკომპანია არ უზრუნველყოფს თქვენთვის სპეციალურ ტრანსპორტს, რომელიც პირდაპირ თვითმფრინავთან მიგიყვანთ.



SALTO-ს სპორტული ტრენინგ კურსიდან



SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“

ჩასხდომისას ეტლით მოსარგებლე ადამიანები ბორტზე აჰყავთ ვიწრო, ბორბლებიანი სკამით, რომელიც თავისუფლად ეტევა ადგილებს შორის, მათი ეტლი კი დროებით გარეთ რჩება. მგზავრობისას გადაადგილება ძალიან შეზღუდულია (მხოლოდ გრძელი გადაფრენებისას შეიძლება შეგხვდეთ შშმ პირებზე მორგებული საპირფარეშოები). ამიტომ საპირფარეშოსთან დაკავშირებული საკითხები პირობებიდან გამომდინარე მოაგვარეთ გაფრენამდე ან თან იქონიეთ სპეციალური საშუალებები. ჩამოფრენისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მგზავრს პერსონალი იმავე ვიწრო სკამით გამოიყვანს სალონიდან და მოათავსებს მის ეტლში. ეს პროცედურები ბევრისთვის შეიძლება უსიამოვნო აღმოჩნდეს, ამიტომ წინასწარ გააფრთხილეთ ეტლით მოსარგებლე თანაგუნდელები ამის შესახებ. ნუ მოგერიდებათ, მიუთითოთ პერსონალს, როგორ გადაადგილონ თქვენი სხეული და როგორ მართონ თქვენი ეტლი!

შესაძლებელია (ოღონდ არა ეკონომ-კლასში) სპეციალური კერძების შეკვეთა (ალერგიის, ვეგეტარიანელობის ან რელიგიური შეხედულებების გათვალისწინებით). რეგისტრაციისას შეგიძლიათ მოითხოვოთ განსაკუთრებული ადგილი (ფანჯარასთან ან გასასვლელთან ახლოს) იმ გათვლით, რომ ფრენისას ერთმანეთთან ახლოს ისხდეთ და მოახერხოთ დახმარება, თუ ამის საჭიროება წარმოიშვა. გაითვალისწინეთ, რომ კანონით აკრძალულია შეზღუდული შესაძლებლობების ან ფიზიკური ძალის მქონე ადამიანების სარეზერვო გასასვლელებში ჯდომა.

საზოგადოდ, დიდი ზომის ბარგის ბორტზე ატანა არ არის დაშვებული, თუ წინასწარ არ შეუთანხმდებით ამ საკითხზე ავიაკომპანიას - დიდი ზომის ნივთების შესანახი ადგილი ბორტზე არ არის და აფრენისას ან დაშვებისას მათ შეიძლება საფრთხე შეუქმნან მგზავრებს. შესაძლებელია ნივთების (დამხმარე აღჭურვილობის) საბარგო განყოფილებაში გაშვება ან მათი ჩაბარება ბორტგამცილებლისთვის ხელბარგის სახით - რეისის დასასრულს იგი გასასვლელთან დაგახვედრებთ თქვენს ნივთებს. თუ აღჭურვილობა მსხვრევადია, გააფრთხილეთ პერსონალი ამის შესახებ.

- თუ თვითმფრინავით ხშირად მგზავრობას გეგმავთ, გამოგადგებათ **FREMEC (Frequent Traveller's Medical Card)** - ხშირი მომხმარებლის სამედიცინო ბარათი, სადაც მითითებულია მგზავრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი საჭიროებები. ამგვარად არ დაგჭირდებათ ყოველი გაფრენის წინ პერსონალთან დეტალებზე მოლაპარაკება.

ავიახაზების ჩამონათვალი და შეზღუდული შესაძლებლობების მგზავრებთან ურთიერთობის პოლიტიკა იხილეთ მისამართზე: www.everybody.co.uk/airindex.htm

თუ მგზავრობისას თან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების ან რთული ქცევის მქონე ახალგაზრდები გახლავთ, სათანადოდ უნდა მოამზადოთ ისინი მშვიდად ჯდომისთვის, საჭიროების შემთხვევაში, შეუკარით ღვედები. თვითმფრინავში ავტორიტეტული პირები კაპიტანი და ეკიპაჟია, მათ აქვთ უფლება, რეისი დააყოვნონ, თუ რომელიმე მგზავრს პანიკური შეტევა აქვს ან წესებს არ ემორჩილება. უსაფრთხოებისთვის ღვედები შეკრული უნდა იყოს აფრენისას, ტურბულენტურ ზონაში ყოფნისას და დაშვებისას. შესაძლო პანიკური რეაქციების თავიდან ასაცილებლად შეგიძლიათ ჩაატაროთ ფრენის სიმულაციები და ფსიქოლოგიურად მოამზადოთ პროექტის მონაწილეები (რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ ან ფრენის ემინიათ).

ზოგიერთ აეროპორტში არის ხმოვანი შეტყობინებების დაფები ან ბრაილის შრიფტით დანერგილი მინიშნებები სუსტი მხედველობის მქონე ან უსინათლო მგზავრებისთვის. ასევე, ზოგიერთ ავიახაზზე დაშვებულია გამყოლი ძაღლების ბორტზე აყვანა. იმის შესამოწმებლად, თუ რა პირობებს გთავაზობთ ესა თუ ის აეროპორტი ან ავიაკომპანია, გადახედეთ სექციებს **“Barrier-Free Travelling”** ან **“Special Assistance”** მათს ვებსაიტებზე ან დარეკეთ ცხელ ხაზზე.

ზოგჯერ ბარგი იკარგება ან ზიანდება. თუ ასე მოხდა, აეროპორტშივე უნდა დანეროთ საჩივარი და ბარგის გადამზიდავი კომპანია სასურველ მისამართზე გამოგიგზავნით თქვენს ნივთებს, როგორც კი მათ იპოვიან. თქვენ ასევე მოგცემენ ბარგის ნომერს და ტელეფონის ნომერს საჭიროების შემთხვევაში დასაკავშირებლად. თუ ბარგის პოვნა პირველი დღე-ღამის განმავლობაში ვერ მოხერხდა, ბარგის გადამზიდავი კომპანია ყოველდღე გარკვეული რაოდენობის თანხას გადაგიხდით, რათა ტანსაცმლის და საჭირო ნივთების ყიდვა შეძლოთ ან მთლიანად აანაზღაუროთ ზარალს. გაითვალისწინეთ, რომ ხშირად დანესებულია ზარალის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, ამიტომ დააზღვიეთ თქვენი მგზავრობაც, რათა დაკარგული დამხმარე აღჭურვილობის ხარჯების დაფარვა შეძლოთ!

- ★ ბარგის დაკარგვის შემთხვევაში (საბედნიეროდ, ეს არც ისე ხშირად ხდება), დროის რალაც მონაკვეთის განმავლობაში თქვენი ჩანთების და ჩემოდნების გარეშე დარჩებით. შესაბამისად, არავითარ შემთხვევაში არ შეინახოთ მნიშვნელოვანი საბუთები, ფული და წამლები ჩემოდნებში, თან იქონიეთ ეს ნივთები ხელბარგის სახით. შეგიძლიათ, ხელბარგში ჩაალაგოთ ზედმეტი თეთრეულიც, ყოველი შემთხვევისთვის.

რაც შეეხება ადგილობრივ ტრანსპორტს (ტრამვაი, მეტრო, ავტობუსი), თუ იგი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის, დიდი ალბათობით, ეს მითითებული იქნება მერიის ან სატრანსპორტო კომპანიის საიტებზე ან საბუთებში. თუ ამის შესახებ არაფერი წერია, ივარაუდეთ, რომ ასე არ არის და შეეცადეთ, იპოვოთ გადაადგილების ალტერნატიული საშუალებები ან გადაამოწმეთ ინფორმაცია ცხელ ხაზზე.

- ★ თუ ამ ყველაფერმა შეგაშფოთათ, დამშვიდდით. პირველი გამოცდილებისას ყოველთვის ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები და კაზუსები. ამისგან თავის დასაზღვევად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ უფრო გამოცდილ ორგანიზაციებს, რომლებსაც შერეული შესაძლებლობების პროექტები განუხორციელებიათ და ისწავლოთ მათგან. თუმცა ესეც არ არის თავის დაზღვევის ასპროცენტიანი საშუალება - ყველა პროექტი უნიკალურია მონაწილეების საჭიროებებიდან გამომდინარე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრებისას სამი მიდგომა არსებობს:

1. ყველაფრის გადამონმება (მაგ. წინასწარი დაგეგმვითი ვიზიტები შშმ მონაწილეებთან ერთად) და განსაზღვრულ სტანდარტზე დაბალი დონის მომსახურებაზე უარის თქმა;
2. იმპროვიზაციისთვის მომზადება (უსაფრთხოების გათვალისწინებით) და მოვლენათა განვითარების შესაბამისად მოქმედება;

ან

3. ორი ზემოთ ხსენებული მიდგომის თქვენთვის სასარგებლო სინთეზი.☺

მეტი რამ **ხელმისაწვდომი სამგზავრო რესურსების** შესახებ (ინფორმაცია სხვადასხვა ქალაქებში დაწესებულებების, ტრანსპორტის და სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ) ნახეთ მისამართზე: www.emerginghorizons.com/resources/

აქტივობები შერეული შესაძლებლობების ჯგუფებისთვის



თქვენი პროექტი (ისევე, როგორც ნებისმიერი ახალგაზრდული პროექტი) დაფუძნებული უნდა იყოს ახალგაზრდების ინტერესებზე. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ახალგაზრდულ მუშაკებს გენიალური იდეა უჩნდებათ, მიაგნებენ კომფორტულ ადგილს რომელიმე ქვეყანაში, მოძებნიან პარტნიორს, ერთობლივად შეიმუშავენ ინოვაციურ პროგრამას, მოიპოვებენ დაფინანსებას, მაგრამ არაფერი არ ინტერესდება ამ წამოწყებით და ჯგუფი არ იკვრება. ასეთი ჩავარდნები დიდი ალბათობით გამოწვეულია ან უინტერესო თემით და პროგრამით, ან ახალგაზრდებისთვის არასასურველი ლოკაციით - მიზეზების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. პროექტის დაგეგმვა ახალგაზრდების ინტერესების გაუთვალისწინებლად იგივეა, ფორანში ცხენი უკნიდან რომ შეაბა.

კარგი ახალგაზრდული პროექტის იდეა თავად ახალგაზრდების მიერ უნდა იყოს შთაგონებული. მოვლენათა ცენტრში ორივე (ან მეტი) პარტნიორი ქვეყნის ახალგაზრდები უნდა აღმოჩნდნენ. თუ ეს პირობა დაკმაყოფილდება, დარწმუნებული იყავით, რომ ნამდვილ ახალგაზრდულ პროექტს ამზადებთ, რომელიც ახალგაზრდებს მდიდარ ახალ გამოცდილებას შესძენს, და არა მის უსარგებლო იმიტაციას. თქვენ, როგორც ახალგაზრდულ მუშაკს, შეგიძლიათ, მეგზურის როლი შეითავსოთ, დააკვალიანოთ პროცესში ჩართული ახალგაზრდები და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროთ მათ (რეალური ამოცანების დასახვა, ფინანსების მართვა და ა.შ.).

ახალგაზრდული პროექტის არსი მონაწილეობა და ცოდნის მიღების ემპირიული მეთოდია. ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაეცნონ სიახლეებს მათთვის (ახალგაზრდული მუშაკების მიერ უზრუნველყოფილ) უსაფრთხო გარემოში. პროექტის ფარგლებში მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ:

- აქტივობების, სავარჯიშოების და თემების მოფიქრება;
- პრეზენტაციის მომზადება საკუთარი ქვეყნის, ახალგაზრდული კლუბის ან ოჯახის შესახებ, და ა.შ.
- სასცენო წარმოდგენების დადგმა, დეკორაციების ან ეროვნული კერძების მომზადება, და ა.შ.
- ...

თუ შერეული შესაძლებლობების პროექტს ახორციელებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ადამიანების ურთიერთობაზე დასაკვირვებლად (რაც დიდი ალბათობით ასეც არის), შეგიძლიათ, პროგრამაში ჩართოთ ამ თემის განხილვა. ამისთვის დაგჭირდებათ შესაფერისი გარემოს შექმნა, სადაც მონაწილეებს არ მოერიდებათ, ის შეკითხვები დასვან, რომელთა დასმას აქამდე ვერ ბედავდნენ. იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს, იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სავარაუდოა, რთული აღმოჩნდეს, რადგან ამ ადამიანებისთვის ეს მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და თავისთავად ცხადია. SALTO-ს ტრენინგ კურსის “Enable” ფარგლებში განხორციელდა აქტივობა სახელწოდებით „ცნობისმოყვარე კითხვების ოთახი“, სადაც მონაწილეებს მიეცათ საშუალება, მათთვის საინტერესო საკითხზე მიელოთ ინფორმაცია.

„ცნობისმოყვარე კითხვების ოთახი“ - ტაბუების მსხვერვა

ხშირად ადამიანებს შეკითხვები უჩნდებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ცხოვრებასთან დაკავშირებით, მაგრამ რადგანაც ამ კითხვების დასმისთვის შესაფერისი გარემო არ არსებობს, ისინი პასუხგაუცემელი რჩება. „ცნობისმოყვარე კითხვების ოთახი“ არის მეთოდი, რომელიც აძლევს საშუალებას მსურველებს, ნებისმიერი რამ იკითხონ.

პირველ რიგში, მოძებნეთ კითხვებზე პასუხის გაცემის მსურველები - ესენი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები უნდა იყონ, რომლებიც მზად იქნებიან, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს. შეარჩიეთ კომფორტული ადგილი (რბილი სკამებით ან სავარძლებით, მქრქალი განათებით, სასმელებით და სასუსნავებით...).

„ცნობისმოყვარე კითხვების ოთახში“ ორი წესი მოქმედებს.

1. დაშვებულია ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე პირადული, უცნაური ან გამაოგნებელი კითხვის დასმა;

2. მოპასუხეებს აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, უპასუხონ თუ არა დასმულ შეკითხვას.

როდესაც მონაწილეებს ეძლევათ კითხვის დასმის სრული თავისუფლება, ძალიან მალე წინა პლანზე გადმოდის ძალიან პირადული საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, ურთიერთობები და სექსუალობა. ეცადეთ, ეს აქტივობა მოარგოთ თქვენი ჯგუფის ასაკობრივ კატეგორიას. თავდაპირველი მორიდების დასაძლევად შეიძლება სტანდარტული კითხვებით დაწყება (მაგ. „როგორ დადიხართ საპირფარეშოში?“ ან „როგორ ცნობთ ადამიანებს შეხებით?“). თავად მოპასუხეებსაც შეუძლიათ, შეეხონ მეტად პირადულ საკითხებს.

არ დაგავიწყდეთ - ატმოსფერო არ უნდა იყოს დაძაბული!

პროგრამა შედგენილი უნდა იყოს ახალგაზრდების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შერეული შესაძლებლობების მქონე ჯგუფის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, შეაფასოთ პროექტი მონაწილე ადამიანების გადმოსახედიდან და არა მათი შეზღუდული შესაძლებლობების ჭრილში. მოლოდინები შეიძლება განსხვავდებოდეს, ეს დამოკიდებულია ცალკეული პიროვნებების ინტერესებზე და საჭიროებებზე. რაკი რომელიმე მონაწილე შეზღუდულია მოძრაობაში, სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ სურს ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობა, არც უსინათლო ადამიანი იტყვის აუცილებლად უარს თიხით ძერწვაზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უმკლავდება მონაწილე თავის შეზღუდულ შესაძლებლობებს.

■ ნაიკითხეთ მეტი იმის შესახებ, თუ როგორ ჩართოთ ახალგაზრდები თქვენს პროექტში SALTO-ს ბროშურაში “Going International” სერიიდან “Inclusion for All”: www.SALTO-YOUTH.net/GoingInternational/

შერეული შესაძლებლობების მქონე ჯგუფთან მუშაობა ხანგრძლივი პროცესია. ისეთი მარტივი ქმედებებიც კი, როგორებიცაა საძინებლიდან სასადილოში ჩასვლა და სასადილოდან სამუშაო ოთახში დაბრუნება, გაჭიანურდება, თუ თქვენს ჯგუფში მოძრაობის შეზღუდულობის მქონე ადამიანია. მეტი დრო დაგჭირდებათ, თუ დისკუსიას ესწრება სმენადაქვეითებული ადამიანი, რომელსაც სჭირდება ჟესტების ენით თარჯიმანთან კომუნიკაცია.

პროგრამის დაგეგმვისას ეცადეთ, გათვალთ მისი ინტენსივობა და მოარგოთ იგი ჯგუფის შესაძლებლობებს. შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება ჯგუფისთვის, რათა მათ თავად გააკეთონ არჩევანი (მაგ. რამდენიმე სასეირნო მარშრუტის, სადისკუსიო თემის, განტვირთვის ხერხის მოფიქრება). პროგრამის სასურველი ინტენსივობის გამოთვლის ერთი სახალისო მეთოდია მონაწილეებისთვის სასურველი „სიჩქარის“ შეთავაზება: 100, 50 ან 20 კმ/სთ. სიჩქარის სასურველი მაჩვენებლის არჩევით მონაწილეები მიგანიშნებენ, თუ რა ინტენსივობის პროგრამა სურთ, რა სისწრაფით უნდა ილაპარაკოთ დისკუსიებისას, რამდენად სწრაფად უნდა ცვალოთ მეთოდები და ა.შ. არ დაგავიწყდეთ განტვირთვის აუცილებლობაც.

■ რჩევები მეთოდების შეზღუდულ შესაძლებლობებზე მორგებასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ მოცემულ თავებში.

საერთაშორისო პროექტის არსია ახალი სახალისო გამოცდილებების მიღება, რაც ასევე ნიშნავს სიახლეების სწავლას. შეზღუდული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტში მონაწილეობისას ახალგაზრდები ისწავლიან ერთად ცხოვრებას და მუშაობას, გაეცნობიან სხვადასხვა კულტურებს, შეიძენენ ახალ მეგობრებს და გაუჩნდებათ საკუთარი თავის რწმენა (იხ. თავი „შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტები - რატომაც არა?“, გვ. 28). როგორც აქამდე ითქვა, მთავარი სირთულე არის ახალგაზრდების კომფორტის ზონიდან შემეცნების ზონაში გადაყვანა და ერთდროულად გაკონტროლება, რომ ისინი სახიფათო ზონაში არ მოხვდნენ. გამოცდილების დაგროვების პროცესში შემეცნების ზონის სულ უფრო მეტი ნაწილი გახდება ახალგაზრდებისთვის კომფორტის ზონა (იხ. თავი „შეზღუდულ შესაძლებლობასთან მუშაობა - შენ ეს შეგიძლია!“, გვ. 7).

ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის შესაბამისი სტრუქტურის შერჩევა. დაიწყეთ ისეთი აქტივობებით, რომლებიც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს მონაწილეებისგან, მიეცით მათ ერთმანეთის გაცნობის და დაძაბულობის მოხსნის საშუალება. მას შემდეგ, რაც მონაწილეები ერთმანეთს დაუახლოვდებიან, შეგიძლიათ უფრო ინტენსიური სავარჯიშოების შეთავაზება, რაც მეტ ჩართულობას და საკუთარი შესაძლებლობების უფრო ეფექტიანად გამოყენებას მოითხოვს მათგან.

გასაცნობი სავარჯიშოების მაგალითები ნახეთ SALTO-ს ტრენინგების მეთოდების კრებულში: www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/

იმისთვის, რომ ადამიანებმა შეძლონ სწავლა, საჭიროა, სრულდებოდეს 3C-ს წესი - Challenge, Connection, Capacity (გამოწვევა, კონტაქტი, შესაძლებლობა).

.....

ეს ნიშნავს იმას, რომ სავარჯიშო უნდა იყოს გამოწვევა ახალგაზრდებისთვის, წარმატების მისაღწევად მათ უნდა გააფართოონ ჩვეული საზღვრები. გამოწვევა ზედმეტად რთული არ უნდა გამოდგეს, იმედგაცრუება და უკან დახევის სურვილი რომ არ გააჩინოს. თუმცა არც ზედმეტად მარტივი ამოცანები მოიტანს სარგებელს. თუ მონაწილეებს წარმატება განსაკუთრებულ სიხარულს და კმაყოფილებას არ მიაღწევს, ეს წარმატება მათთვის ღირებულები არ არის. ამიტომაც ახალგაზრდულმა მუშაკმა უნდა იცოდეს მონაწილეების უნარები და შესაძლებლობები და ამ ყველაფერს მოარგოს პროექტი, რათა შედეგად მიიღოს პატარ-პატარა მიღწევები და წარმატებები. დაბოლოს, აქტივობები უნდა უკავშირდებოდეს იმ სამყაროს, სადაც ახალგაზრდებს ცხოვრება უნევთ და ისინი ამ კავშირს უნდა გრძნობდნენ. თუ სამივე ზემოთხსენებული პირობას დაიცავთ, თქვენ პირველ ნაბიჯს გადადგამთ წარმატებული პროექტის განხორციელებისკენ.

.....

სოციალური ინკლუზიის საკითხს მიძღვნილი ტრენინგ პაკეტიდან (გვ. 19). გადმოტვირთეთ ეს და სხვა სახელმძღვანელოები მისამართებიდან: www.youth-partnership.net ან www.SALTO-YOUTH.net/TkitInclusion/

ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის არსი მხოლოდ სიახლეების სწავლაში არ მდგომარეობს, მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისიცაა, რომ პროცესი **სახალისო** იყოს. უფრო მეტიც, ხალისი და ინტერესი უფრო მიმზიდველს ხდის სწავლის პროცესს. თუ მონაწილეები თავს კომფორტულად იგრძნობენ ჯგუფში, ისინი უფრო თავისუფლად ისწავლიან, დაუშვებენ შეცდომებს, დასვამენ შეკითხვებს და ა.შ. ამისათვის თქვენს პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს გასართობი ღონისძიებები:

- სასცენო დადგმები, ფერწერა, მუსიკის წერა;
- იუმორისტული საღამოები;
- აუზზე, გასართობ პარკში ან ცენტრში წასვლა;
- კოსტიუმირებული წვეულება;
- ...

თუ საერთაშორისო პროექტს განსხვავებული სახელმწიფო ენის მქონე ქვეყანასთან ერთად ატარებთ, სავარაუდოა, კომუნიკაციის პრობლემები გაჩნდეს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით, მაგრამ არ არის გამორიცხული, ესეც რთულად განხორციელებადი აღმოჩნდეს (თარჯიმანი ყოველ ცალკეულ ჯგუფს მთელი დღე-ღამის განმავლობაში ვერ მოემსახურება). ამიტომაც შეგიძლიათ, კომუნიკაციის განსხვავებული მეთოდები გამოიყენოთ. ჩვენ ყველანი მიჩვეული ვართ საკუთარი აზრის სიტყვებით გამოხატვას, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელია სხვა გზითაც, მაგალითად, ხატვით, ბგერებით, მუსიკით, სიმბოლოებით და ა.შ. ამ გზების უპირატესობა ის არის, რომ იხსნება როგორც ენობრივი ბარიერის პრობლემა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე ბარიერები (მაგ. სუსტი სმენა, უსინათლობა, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები და ა.შ.).



კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა იუმორი. ზოგიერთი ადამიანისთვის შეზღუდული შესაძლებლობების თემაზე ხუმრობა მიუღებელია, შერეული შესაძლებლობების ჯგუფებში ხშირად ხუმრობენ ერთმანეთის მდგომარეობაზე დაუძაბავი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი სხვებთან თანასწორი სწორედ მაშინაა, როდესაც ნაცნობები მის მიმართ გადამეტებულ მზრუნველობას არ იჩენენ, თავისუფლად ხუმრობენ და ერთობიან მასთან ერთად - ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანები კომფორტულად გრძნობენ თავს ერთმანეთის გარემოში. თუმცა გაითვალისწინეთ ისიც, რომ იუმორის აღქმა დამოკიდებულია როგორც კულტურაზე, ასევე ცალკეულ პიროვნებაზე და სიტუაციაზე.

SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“

ნუ მოიქცევით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობისას განსხვავებულად, მოიქცით ისე, როგორც სხვებთან იქცევით ხოლმე. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენი ჯგუფის წევრები პირველ რიგში ადამიანები არიან, ვისზეც უნდა იზრუნოთ და მათი შეზღუდული შესაძლებლობები მხოლოდ მეორეხარისხოვანი გარემოებაა. თუ მისაღებია მეგობრის გრძელ ცხვირზე ხუმრობა, ანალოგიურად მისაღები უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეგობრის თვალის უცნაური ფორმის ხაზგასმა. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რომანტიკული ურთიერთობის წესები ყველასთვის საერთო უნდა იყოს, თუ ეს არ არის დაშვებული, აკრძალვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილეებზეც უნდა ვრცელდებოდეს.

.....
 • *ერთ-ერთი პროგრამის მონაწილეს, რომელსაც დაუნის სინდრომი ჰქონდა, შეუყვარდა მომვლელი. ის ყურადღების ნიშნებს ავლენდა მის მიმართ, სჩუქნიდა ყვავილებს, ტკბილეულს, ცდილობდა ეკოცნა. მომვლელმა დახმარებისთვის ერთ-ერთ ახალგაზრდულ მუშაკს მიმართა და გამოუტყდა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რომ ურთიერთობაზე უარის თქმა უნევდა. ჰკითხეს, როგორ მოიქცეოდა, მასზე შეყვარებულ ამ მონაწილეს შეზღუდული შესაძლებლობები რომ არ ჰქონოდა... მომვლელმა სწორად გაიგო, რისი თქმა სურდათ მისთვის.*


საზღვარგარეთ გარკვეული დროით გამგზავრება შეიძლება რთული აღმოჩნდეს ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით, თუ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ისინი შორდებიან ჩვეულ გარემოს და ინტენსიურ რეჟიმში მუშაობა და ახალგაზრდობილ თანატოლებთან ერთად ცხოვრება უნევთ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, თვალყური ადევნოთ მონაწილეების ემოციურ ფონს და საჭიროებებს:

- მონაწილეს უნდა შეეძლოს **მშობლებთან და მეგობრებთან დაკავშირება** ინტერნეტის ან ტელეფონის საშუალებით;
- რეგულარულად ჰკითხეთ მონაწილეებს **მათი განწყობის შესახებ**, ილაპარაკეთ მშობლიურ ენაზე (უცხო ენაზე გამუდმებით ლაპარაკი ძალიან დამღლეელია);
- შესთავაზეთ მონაწილეებს მარტივი საშუალება, **გაცნობონ საკუთარი პრობლემების შესახებ** - შეგიძლიათ, მისცეთ მათ წითელი ბარათი, რომლითაც განიშნებენ, თუ ყველაფერი კარგად არაა, ან გააკეთოთ ყუთი, რომელშიც ჩადებენ წერილებს - ეს წერილები რეგულარულად უნდა იკითხოთ;
- თვალყური ადევნეთ **ჯგუფს და პროცესს** - გაარკვიეთ, რატომ არ იღებს მონაწილეობას ესა თუ ის ახალგაზრდა, ხელი შეუწყვეთ მორიდებულ მონაწილეებს;
- გამოყავით **საკმარისი თავისუფალი დრო** ანუ დროის მონაკვეთი, როდესაც არაფერია დაგეგმილი და როდესაც მონაწილეები შეძლებენ განმარტობას და დასვენებას;
- ...

➡ მეტი რჩევა ტრენინგ კურსების ორგანიზებაზე (გამოსადეგია ახალგაზრდული პროექტებისთვისაც) ნახეთ ტრენინგ პაკეტში „Training Essentials“: www.youth-partnership.net ან www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/

მეთოდების ადაპტირება

ალბათ ამაში ახალი არაფერია. ახალგაზრდული მუშაკები შეარჩევენ აქტივობებს და მეთოდებს და მოარგებენ მათ კონკრეტულ კონტექსტს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, თუ როგორაა დამოკიდებული ჩვენ მიერ არჩეული მეთოდი და აქტივობა ჩვენს მიზნებზე და ამოცანებზე. მეთოდები და აქტივობები თავის დანიშნულებას ასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მორგებულია სამიზნე ჯგუფზე (წევრების განსხვავებული შესაძლებლობების გათვალისწინებით), ასევე თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის რესურსებზე (დრო, ადგილი, სახსრები), პრეფერენციებზე და ორგანიზაციის პოლიტიკაზე.



არსებობს უამრავი სასარგებლო სავარჯიშო და მეთოდი, რომლებიც შეგიძლიათ ნახოთ SALTO-ს ახალგაზრდული სამუშაოს და ტრენინგების მეთოდების კრებულში მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/. გთავაზობთ მეთოდების ადაპტირების რამდენიმე მაგალითს:

- **ანბანური სკამები** www.salto-youth.net/find-a-tool/98.html

ეს სავარჯიშო ერთმანეთის გაცნობის ძალიან სახალისო მეთოდია. მონაწილეები დგებიან მიყოლებით მოთავსებულ სკამებზე და შემდეგ ანბანის მიხედვით (სახელის ან გვარის პირველი ასო) ისე განლაგდებიან, რომ იატაკზე დადგომის უფლება არავის აქვს. თუ ჯგუფში არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, სკამების მაგივრად შეიძლება თოკის გამოყენება, რომელსაც მონაწილეები უნდა ჩაეჭიდონ და დროის ნებისმიერ მომენტში ერთი ხელით მაინც ეხებოდნენ მას.

● **სურნელოვანი ჯგუფები www.salto-youth.net/find-a-tool/12.html**

აუხვიეთ მონაწილეებს თვალები, მიასხურეთ ხელებზე სხვადასხვა სუნამო და სუნამოების მიხედვით დაყავით ისინი ჯგუფებად. მონაწილეებმა სურნელით უნდა მიაგნონ თავიანთი ჯგუფის წევრებს.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მონაწილეს აღერგია აქვს სუნამოებზე, ან დაქვეითებული აქვს ყნოსვა, შესაძლებელია ჯგუფების დაყოფა სხვადასხვა მასალის ნიშნით (ხე, ქსოვილი, პლასტმასა, ქაღალდი...).

● **თამაში მოსაზრებებზე www.salto-youth.net/find-a-tool/280.html**

თამაშის მიზანია, მონაწილეები გადანაწილდნენ ოთახის მოპირდაპირე მხარეებზე (ერთ მხარეს არის ნიშანი წარწერით „ვეთანხმები“, მეორე მხარეს - „არ ვეთანხმები“). ყოველი მოსაზრების გაჟღერებისას მონაწილეები სასურველ მხარეს დგებიან.

თუ ჯგუფში არიან ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ მოძრაობა ან სუსტი მხედველობა აქვთ, მათ შეუძლიათ, ჟესტით გამოხატონ პოზიცია. უსინათლო მონაწილეებს სხვა გუნდელებმა კომუნიკაციის არავერბალური გზით (როგორებიცაა მიმიკა, შეხება და ა.შ.) შეიძლება გააგებინონ სათქმელი (მონაწილე შეხებით აღიქვამს გამომეტყველებას).

მომდევნო თავებში შემოგთავაზებთ სხვადასხვა რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაითვალისწინოთ თქვენს პროექტში ახალგაზრდების განსაკუთრებული ფიზიკური მდგომარეობა და საჭიროებები. ასევე გაეცნობით ადგილის ხელმისაწვდომობის ჩექლისთვის.

SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“



ადვილად მისადგომი ადგილები

პროგრამის შეზღუდული შესაძლებლობების მონაწილეებზე მორგება არ არის საკმარისი წინაპირობა წარმატებული პროექტისთვის. ის ადგილი, სადაც იცხოვრებთ და იმუშავენ, ასევე მარტივად მისადგომი უნდა იყოს! იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ ადგილებზე მოთხოვნა დიდია, საჭირო იქნება მათი წინასწარ დაჯავშნა!

თუ სასურველი ადგილი არ დააკმაყოფილებს სპეციალურ კრიტერიუმებს, თქვენი გუნდის ზოგიერთი წევრი უბრალოდ ვერ შეძლებს პროექტში მონაწილეობას (მაგ. თუ შეუძლებელია მისი ტრანსპორტში აყვანა, არ არის პირობები მისი დაბანისთვის და ა.შ.).

პროექტის მოსამზადებელი ეტაპის ნაწილია, თქვენ (თქვენს უცხოელ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად) იზრუნოთ იმაზე, რომ ადგილი, სადაც იცხოვრებთ, მორგებული იყოს პროექტის მონაწილეების განსაკუთრებულ საჭიროებებზე. გაესაუბრეთ იმ პირებს, ვინც ფლობს ინფორმაციას ადგილზე ან დაწესებულებაზე, **დაუსვით სპეციფიკური შეკითხვები** (იხ. ჩექლისები 88-ე გვერდზე). შეზღუდული შესაძლებლობების სიმბოლო რომელიმე საიტზე ან ბროშურაში სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება სხვადასხვა დატვირთვას ატარებდეს (ზოგ დაწესებულებაში მხოლოდ საპირფარეშოებია მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე, ზოგ დაწესებულებაში კი მთელი ინფრასტრუქტურა). ამიტომ ყურადღებით შეისწავლეთ, აკმაყოფილებს თუ არა სასურველი ადგილი თქვენს მოთხოვნებს (და მონაწილეების რაოდენობას).

სასურველია იმის შემოწმებაც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია განგაშის სიგნალები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. არსებობს თუ არა შენობაში განგაშის სიგნალები სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის? როგორია საევაკუაციო გეგმა? გადაანალიზეთ როლები და დაგეგმეთ, როგორ უნდა მოიქცეს კრიტიკულ სიტუაციაში თქვენი ჯგუფის თითოეული წევრი. დაგვიანებულ სინანულს თავის დაზღვევა სჯობია!

არ დაგავინწყდეთ, რომ ყველა სასტუმრო, უპირველეს ყოვლისა, არის შემოსავლის წყარო მისი მფლობელისთვის. მფლობელი ცდილობს, დროებით გააქირაოს ოთახები და ყველანაირად ეცდება, მოგაწონოთ თავისი დაწესებულება და, სავარაუდოდ, ეცდება, ის იმაზე უკეთესად წარმოაჩინოს, ვიდრე რეალურად არის. ეცადეთ, დასვათ ისეთი კითხვები, რომლებზე საპასუხოდაც მხოლოდ „კი/არა“ არ არის საკმარისი. მაგალითად: ნაცვლად კითხვისა - „არის თუ არა თქვენთან კიბეები?“ შეგიძლიათ, შემდეგნაირი ფორმულირება გამოიყენოთ: „გთხოვთ, აღწეროთ შემოსასვლელი და გზა საძინებლიდან კაფეტერიაში.“ შეგიძლიათ ასევე გაუგზავნოთ თქვენი კითხვები სასტუმროს ადმინისტრაციას, ასე უფრო ნაკლები შანსია, გამოგრჩეთ თქვენთვის საინტერესო საკითხი და საჭიროებისას ყოველთვის მოახერხებთ დაამტკიცოთ, რომ ეს კითხვა მართლაც დასვით.

შეგიძლიათ, ეტლით მოსარგებლე მონაწილესთან ერთად (სასურველია, ეტლი მაქსიმალურად დიდი და მძიმე იყოს) ეწვიოთ დაწესებულებას და ადგილზე შეამოწმოთ პირობები. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ათასჯერ შემოწმებაც არ კმარა თავის სრულად დასაზღვევად და რაღაც ყოველთვის არ იქნება ისე, როგორც გაითვალისწინეთ. ამიტომ მზად იყავით იმპროვიზაციისთვის და დადებითი განწყობით შეხვდით კაზუსებს.

რჩევები და ხერხები – ეტლით სარგებლობა და მოძრაობის შეზღუდულობა

საერთაშორისო (ან ნებისმიერი სხვა) პროექტისთვის პროგრამის დაგეგმვისას მცირე კორექტირებების შეტანით შეგიძლიათ გაუმარტივოთ ეტლით მოსარგებლე და მოძრაობაში შეზღუდულ ადამიანებს აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ეტლით მოსარგებლე ყველა ადამიანი მთელ დღეს არ ატარებს ეტლში. ზოგს შეუძლია მცირე მანძილებზე გადაადგილება, ზოგს ეტლის სკამით ჩანაცვლება ურჩევნია, ზოგს უყვარს ცეკვა და ა.შ. გახსოვდეთ ისიც, რომ ერთი შეხედვით ვერასდროს დაასკვნით, არის თუ არა ადამიანი მოძრაობაში შეზღუდული. გულის ან სუნთქვის პრობლემები ხშირად არის იმის მიზეზი, რომ ადამიანს არ შეუძლია, დიდ მანძილზე გადაადგილდეს ან ფიზიკურად დამქანცველ საქმიანობებში ჩაებას. **ნუ იმარჩიელებთ, იკითხეთ.**



SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“

SALTO-ს სხვადასხვა ტრენინგ კურსების ორგანიზებიდან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

- ★ საუკეთესო ვარიანტია მონაწილეებთან **ღიად საუბარი** იმაზე, თუ რა აქტივობებში შეუძლიათ ჩაერთონ. ზოგს, სავარაუდოდ, გაუძნელდება დამქანცველ სავარჯიშოებში მონაწილეობა, ზოგს კი არა (თუნდაც საჭირო გახდეს სავარჯიშოს კორექტირება მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით). ცვლილებები და კორექტირებები მთლიანად დამოკიდებულია ახალგაზრდულ მუშაკზე და მონაწილეზე;

- გამოყავით საკმარისი დრო ოთახებს შორის მოძრაობაზე. თუ ჯგუფში გყავთ ეტლით მოსარგებლე ადამიანი, წინასწარ მიუთითეთ მას მიმართულება. ეცადეთ, ხშირად არ იმოძრაოთ ოთახებს შორის ან აირჩიეთ ისეთი ადგილი, სადაც სამუშაო ოთახი, საძინებლები და სასადილო ახლოს იქნება ერთმანეთთან;
- სიები, განცხადებები და სხვა მასალები გააკარით ქვედა სართულებზე, ეტლით მოსარგებლე მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას;
- ასევე ადვილად უნდა იყოს ხელმისაწვდომი საკანცელარიო ნივთები (კალმები, ქაღალდი, საღებავები, ნებო და ა.შ.);
- ეცადეთ, აქტივობების მსვლელობისას ყველა მონაწილე ერთ სიმაღლეზე იყოს (მაგალითად, ყველა იჯდეს). ეტლით მოსარგებლე ადამიანებთან ხანგრძლივი საუბრისას ეცადეთ, გაუთანაბრდეთ მათ, ან უყუროთ თვალებში, თუ საუბრისას ფეხზე დგახართ;
- არ დაეყრდნოთ/ფეხი არ დაადგათ/არ ჩასხდეთ ეტლში. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ეტლს საკუთარი სხეულის ნაწილად აღიქვამენ. ამიტომაც, ეტლი თქვენი პარკების ან ტანსაცმლის საკიდი არ არის და მასზე თქვენი ნივთების დაწყობა არ შეიძლება, თუ მის მფლობელს ამის ნება არ დაურთავს;
- ყველა მონაწილემ უნდა იცოდეს, როგორ დაეხმაროს ეტლით მოსარგებლე ადამიანს. ზოგი საკუთარი ძალებით გადაადგილდება, ზოგს კი ურჩევნია, მიაწვდენ;
- სანამ ეტლით მოსარგებლე ადამიანს მოძრაობაში დაეხმარებით, ჰკითხეთ, სად მიდის. ყოველთვის შესთავაზეთ დახმარება (მაგ. კარის გაღება), მაგრამ დაელოდეთ მის პასუხს;
- დაღმართში მოძრაობისას მოატრიალეთ ეტლი თქვენკენ ზურგით და ასე იმოძრავეთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ მისი ზოგიერთი დეტალი ადვილად იხსნება, ამიტომ თუ აპირებთ, ეტლი ხელით ასწიოთ, ამ დეტალებს არ უნდა შეეხოთ;
- მოძრაობაში შეზღუდულ ადამიანებს არ მოსწონთ, როცა ტომარასავით დაათრევენ, ამიტომ კარგი იდეაა პანდუსების და მსგავსი კონსტრუქციების უზრუნველყოფა. თუ მაინც გაჩნდა ადამიანის ხელში აყვანის საჭიროება, ზუსტად უნდა იცოდეთ, რას აკეთებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს როგორც მისი, ასევე თქვენი ტრავმირების რისკი;
- თუ ეტლით მოსარგებლე მონაწილე ეტლიდან უფრო მოსახერხებელ ადგილას უნდა გადაჯდეს (ტკივილის გასაყუჩებლად), იქონიეთ ამ შემთხვევისთვის კომფორტული სკამები და ბალიშები.

- თუ მონაწილე(ებ)ს უჭირთ დიდხანს დგომა ან სიარული, იქონიეთ სკამები. შეგიძლიათ, გრძელ მანძილებზე გადაადგილებისთვის დამატებითი ეტლები ან ცალკე სატრანსპორტო საშუალება იქირაოთ. თუმცა იდეალური ვარიანტია, მთელმა ჯგუფმა ერთად იმოგზაუროს;
- მოარგეთ სავარჯიშოები მოძრაობაში შეზღუდული ადამიანების შესაძლებლობებს. მაგალითად, ხელის აწევის ნაცვლად, შეგიძლიათ სთხოვოთ მონაწილეებს, აიხედონ მაღლა, თავი დააქნიონ ან თვალები დაახამხამონ. ეს წესები ყველას უნდა ეხებოდეს, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილეს ისეთი გრძნობა არ გაუჩნდეს, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა;
- მიაქციეთ ყურადღება, გასასვლელები არ იყოს ჩახერგილი. ნუ დატოვებთ ნივთებს/ მავთულებს/ბასრ საგნებს ისეთ ადგილას, სადაც ადამიანები დადიან ან ეტლით მოძრაობენ;
- ზუსტად გქონდეთ გადანაწილებული როლები - ვინ არის პირადი მომვლელი, ვინ რაში ეხმარება თანაგუნდელს (იხ. თავი: „როლები და ურთიერთობები ჯგუფში“, გვ. 48).
- ...

ადგილის შერჩევის კრიტერიუმები (ეტლის მოსარგებლეთათვის)

საერთაშორისო პროექტის დაგეგმვის პროცესში, თუ მასში ერთი ან რამდენიმე ეტლით მოსარგებლე ადამიანი მონაწილეობს, უნდა შეამოწმოთ, არის თუ არა ადგილი, სადაც გაჩერებას აპირებთ, ადვილად მისადგომი მათთვის, და დაგჭირდებათ თუ არა იმპროვიზებული დამხმარე კონსტრუქციების დამზადება. თავგადასავლების და იმპროვიზაციის დაბალანსება უსაფრთხოებასთან და კომფორტთან მხოლოდ თქვენზე და ახალგაზრდებზე (მათ მშობლებზეც) არის დამოკიდებული.

ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ანუ თუ ისინი არ სრულდება, ეტლით მოსარგებლე ადამიანი ვერ შეძლებს პროექტში მონაწილეობას. სხვა პირობების არარსებობის შემთხვევაში ცოტაოდენი კრეატივი და იმპროვიზების უნარი საკმარისი იქნება.

- შეამოწმეთ ვერტიკალური (კიბეები) და ჰორიზონტალური (ოთახიდან ოთახში) გადაადგილების შესაძლებლობა;
- ოთახებს და დანესებულებებს შორის (სამუშაო ოთახი, რესტორანი, საძინებლები, დასასვენებელი ადგილები) მოძრაობა ადვილი უნდა იყოს. არანაირი კიბეები და საფეხურები, განსაკუთრებით, თუ ჯგუფში მძიმე ელექტროეტლებით მოსარგებლე წევრები არიან;

- არის თუ არა სპეციალური შემოსასვლელები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის? საჭიროა თუ არა პერსონალის გამოძახება ამ შემოსასვლელებით სარგებლობისთვის, ღია არის თუ არა შემოსასვლელები მთელი დღის განმავლობაში, კვირაში შვიდი დღე? აღნიშნული არის თუ არა შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მარშრუტები?
- პანდუსების დახრილობა უნდა იყოს 1/12 (სასურველია 1/15), სიგანე - 120 სმ. თავშიც და ბოლოშიც უნდა იყოს ჰორიზონტალური სიბრტყე არანაკლებ 120 სმ-ისა. ყურადღება მიაქციეთ, რომ პანდუსებზე არაფერი არ ეყაროს;
- კარს უნდა ჰქონდეს გასასვლელი ზღურბლის გარეშე, სიგანე - 85 სმ. ის მიწოლით უნდა იდებოდეს, სახელურები კი დასაჭერი უნდა იყოს და არა სატრიალბელი, დაახლოებით 104 სმ-ის სიმაღლეზე იატაკის ზედაპირიდან;
- რამდენი ადგილად მისადგომი ოთახია შენობაში? (იმ შემთხვევისთვის, თუ თქვენს ჯგუფში ეტლით მოსარგებლე რამდენიმე წევრია). სასტუმროების უმეტესობაში ასეთი ოთახი ერთი ან ორია. საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა გეგმით ხდება სტუმრების ევაკუაცია ხანძრის დროს;
- საძინებლებში, საწოლის ერთ მხარეს მაინც, დაახლოებით 120 სმ თავისუფალი ადგილი უნდა იყოს. ზოგადად, ყველგან, სადაც ეტლით მოსარგებლე ადამიანს შეიძლება მოტრიალება დასჭირდეს (კუთხეები, ლიფტის შესასვლელები, სასადილო ოთახი,...), სულ მცირე, 150 სმ დიამეტრის მქონე წრეწირი უნდა თავსდებოდეს;
- საშხაპეებში დასაჯდომი ადგილი და საკანალიზაციო ტრაპი უნდა იყოს, შხაპის თავი კი სამაგრიდან იხსნებოდეს;
- (საზოგადოებრივი) საპირფარეშოების კარი არანაკლებ 85 სმ სიგანის უნდა იყოს და მიწოლით იდებოდეს, შიდა სივრცის ფართობი 150x150 სმ-ს უნდა უტოლდებოდეს, ეტლის მოტრიალება რომ მოხერხდეს, უნიტაზის დასაჯდომი კი იატაკიდან 45 სმ-ს უწევდეს, ორივე მხარეს უნდა იყოს მოაჯირები, ხელსაბანის ქვეშ კი დაახლოებით 70 სმ სიმაღლის თავისუფალი სივრცე;
- არის თუ არა შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი საპირფარეშოები სამუშაო/სასადილო ოთახებთან ახლოს? კარგი იქნებოდა, საპირფარეშოში ყოველი ვიზიტისთვის ახალგაზრდას თავის საძინებელში დაბრუნება არ უწევდეს;
- რამდენი ლიფტია შენობაში და რამდენი ეტლი ეტევა თითოეულში? არის თუ არა სხვა მონაწილეებისთვის შენობაში გადაადგილების მარტივი ალტერნატივები? ლიფტების ნელი მოძრაობის გამო ჯგუფმა დანიშნულ აქტივობაზე გამოცხადება შეიძლება დააგვიანოს;
- ტელეფონები იატაკის ზედაპირიდან 90 სმ-ზე მაღლა არ უნდა იყოს (იმის მიუხედავად, რომ დღეს ადამიანების უმეტესობას მობილური ტელეფონი აქვს);
- სასტუმროს მიმღებში უნდა იდგეს სპეციალური დაბალი მაგიდა ეტლით მოსარგებლე ადამიანების მისაღებად, პირდაპირი ვიზუალური კონტაქტისთვის;
- არის თუ არა პარკინგის ადგილი საკმარისად ფართო, ეტლით მოსარგებლე ადამიანი ტრანსპორტში რომ ჩაჯდეს და ტრანსპორტიდან გადმოვიდეს?

ღამატებითი პრაქტიკული რჩევები და გაიდლაინები ამ საკითხზე შეგიძლიათ იხილოთ მალტის შშმ პირთა ეროვნული კომისიის საიტზე: www.knp.dorg (www.knpd.org/pubs/pdf/accessforall2005.pdf)

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე ასევე უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- ეტლების და სხვა დამხმარე აღჭურვილობის დაზღვევა (შესაძლებლობის შემთხვევაში ადგილზე შეკეთების გარანტიით). არის თუ არა მასპინძელ ქვეყანაში აღჭურვილობის იგივე ბრენდები, რაც თქვენთან? თუ არის, ჩაინერეთ მწარმოებლის ან მაღაზიის საკონტაქტო ინფორმაცია;
- ეტლის და სხვა აღჭურვილობის რომელი დეტალები ზიანდება ყველაზე ხშირად (და ყველაზე მარტივად)? შეგიძლიათ თუ არა სათანადო დეტალების წაღება? შეგიძლიათ, დაზიანებები საკუთარი ძალებით შეაკეთოთ?
- თუ მონაწილე სარგებლობს ელექტროეტლით, შეგიძლიათ თუ არა აკუმულატორის დატენვა, თუ დამატებითი აკუმულატორი დაგჭირდებათ? არის თუ არა მასპინძელ ქვეყანაში იგივე ძაბვა, რაც თქვენთან? არის თუ არა ელექტროშესაერთებლები იმავე დიზაინის, რაც თქვენს ქვეყანაში? (მაგ. გაერთიანებულ სამეფოში, მალტაში და ირლანდიაში შესაერთებლები განსხვავდება ევროპის სხვა ქვეყნების სტანდარტისგან);
- თუ მოხერხდება, დააჯგუფეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, გაანალიზეთ ისინი ახლომდებარე ოთახებში;
- არის თუ არა ტრანსპორტი ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის? საჭიროა თუ არა ამაზე წინასწარ ზრუნვა? ჯგუფის ტრანსპორტირებისთვის საკმარისი დრო გამოყავით. იხილეთ ასევე თავი „საზღვარგარეთ გამგზავრება შერეული შესაძლებლობების ჯგუფში“ (გვ. 74).



ბელგიურ-სლოვაკური ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამიდან „აქამდე არასდროს მიცდია.“

რჩევები და ხერხები – უსინათლო ან სუსტი მხედველობა

თუ ჯგუფში გყავთ მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანები (არა აუცილებლად უსინათლო), შეგიძლიათ პროგრამულ აქტივობებში მონაწილეობა მათთვის ადვილი და სასიამოვნო გახადოთ. არსებობს სხვადასხვა ტიპის მხედველობის პრობლემები, დაწყებული დალტონიზმით, სივრცის აღქმის დარღვევით, სიბნელეში ხედვის პრობლემით, და დამთავრებული უსინათლობით. თავად მონაწილეებისგან გაარკვით, მხედველობის რა პრობლემა აწუხებთ მათ და როგორ შეგიძლიათ სავარჯიშოების და აქტივობების მათს შესაძლებლობებზე მორგება.

- გააცანით მონაწილეს ის ადგილები, სადაც იგი დაიძინებს და იმუშავეს (შეხებით). გააკეთეთ საორიენტაციო მინიშნებები (ასევე შეხებით აღქმადი);
- ხმამაღლა აღწერეთ ყველაფერი, რასაც აკეთებთ, წერთ და ა.შ.
- შეგიძლიათ დაამზადოთ სამგანზომილებიანი მასალები (მაგ. სქელი სალბავის გამოყენებით). მხედველობის პრობლემების მქონე მონაწილე შეხებით გაიგებს წარწერის შინაარსს. სამგანზომილებიანმა მასალებმა სულაც არ უნდა ჩაანაცვლოს თქვენი სიტყვიერი კომენტარები;
- სუსტი მხედველობის მქონე ან უსინათლო ადამიანების შეხვედრისას, გამოემცნაურეთ მათ იქამდე, ვიდრე ისინი არ შეძლებენ თქვენს ცნობას ხმის მიხედვით. ჯგუფური დისკუსიებისას აუცილებლად თქვით, ვის მიმართავთ;
- სავარჯიშოებისას ან დისკუსიებისას ყოველთვის აღწერეთ მოვლენები, მაგ. ვინ ასწია ხელი, რას გადმოსცემს მოსაუბრის სახის გამომეტყველება (თანხმობას, გაუგებრობას და ა.შ.);
- აღნიშნეთ, თუ რომელიმე მონაწილე იცვლის ადგილმდებარეობას, თუ ყველა ერთად ხუჭავს თვალებს და ა.შ. აუცილებლად გააფრთხილეთ უსინათლო ადამიანი, როდესაც სადმე გადიხართ!
- არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, როგორებიც არის „იქ“ ან „აქ“. ეცადეთ, აღწეროთ საგნების ადგილმდებარეობა ორიენტირების საშუალებით, ან შეგიძლიათ, დადგეთ იმ ადგილას, რომლის მითითებაც გსურთ, და თქვათ „აქ“;
- ჰკითხეთ, სურთ თუ არა რაიმეს დამატება ან შეკითხვის დასმა (რადგან ხშირად ადამიანები მხოლოდ გამომეტყველებით შემოიფარგლებიან);
- მონაწილეს ნებისმიერ სავარჯიშოში გარკვეული დროით ადრე მიაწოდეთ დიდი შრიფტით ან ელექტრონულ ფორმატში დაბეჭდილი (ბრაილის შრიფტის წამკითხველი პროგრამისთვის) საკითხავი მასალები. შეგიძლიათ, უსინათლოთა მხარდამჭერ ადგილობრივ ორგანიზაციას (თუ ასეთი არსებობს) სთხოვოთ ტექსტური მასალების ბრაილის შრიფტით დაბეჭდვა;

- აქტიურად ჩართეთ ხელები და შეხება თქვენს აქტივობებში. უნდა შეიძლებოდეს პრეზენტაციების როგორც მოსმენა, ასევე შეგრძნება (მაგ. თიხისგან გამოძერწილი ფიგურები, ცოცხალი ქანდაკებები და ა.შ.);
- სუსტი მხედველობის მქონე მონაწილეებისთვის მიმართულებები სხვადასხვა ფერებით აღნიშნეთ (გასასვლელისკენ, სამუშაო ოთახისკენ და ა.შ.);
- ახვეული თვალებით შესასრულებელი სავარჯიშოები სასარგებლო შეიძლება გამოდგეს სხვა მონაწილეებისთვის და აგრძნობინოს მათ, როგორია უსინათლო ადამიანის მდგომარეობა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ უსინათლო მონაწილეზე ასეთმა სავარჯიშომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს, რადგან თამაშის დასასრულს, სხვებისგან განსხვავებით, იგი ვერ მოიხსნის „სახვევს“;
- თუ გყავთ ინტერპრეტატორი, რომელსაც მოვლენების კომენტირება ევალება, კითხულობს დაფაზე დაწერილს, და ა.შ. მიეცით მას საკმარისი დრო, დაასრულოს თითოეული ფრაზა. აუცილებლად შეამოწმეთ, ჰყოფნის თუ არა დრო საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად;
- უსინათლო ადამიანები კონცენტრირებას ხმაზე აკეთებენ, ამიტომ ეცადეთ, თავი აარიდოთ აქტივობების ჩატარებას ხმაურიან ადგილებში. აქტივობაში მონაწილე ყველა ადამიანი ხმამაღლა და გარკვევით უნდა საუბრობდეს;
- დალტონიზმის ყველაზე ფართოდ გავრცელებული გამოსატყულებაა მწვანე და წითელი ფერების ერთმანეთში არევა. როდესაც დაფაზე წერთ, ორი განსხვავებული მოსაზრების აღსანიშნავად ამ ფერებს ნუ გამოიყენებთ;
- თუ დაფას იყენებთ, წერეთ მსხვილი და დიდი ასოებით, რათა სუსტი მხედველობის მქონე მონაწილეებმა გააჩიონ ნაწერი. გამოიყენეთ კონტრასტული ფერები (თეთრი შავზე, შავი თეთრზე და ა.შ.). მწვანე და წითელი ფერები შორი მანძილიდან ყველაზე ძნელად გასარჩევია;
- გასასვლელებში არ უნდა ეყაროს ნივთები, ეს სუსტი მხედველობის მქონე და უსინათლო ადამიანებს მოძრაობას გაუძნელებს. არსებობს რთულად შესამჩნევი წინააღობები (რომელთა შემჩნევაც დამხმარე ჯოხის გამოყენებითაც ძნელია). ასეთი წინააღობებია, მაგალითად, მაგიდები, რომლებსაც ფეხები კიდების ნაცვლად ცენტრში აქვთ, კედელზე დამაგრებული საგნები, გასასვლელები კიბეების ქვეშ. ნებისმიერი საგანი, რომელიც ადამიანს წელამდე არ სწვდება, რთულად შესამჩნევი იქნება, თუ იგი წინააღობებს ხელებით სინჯავს (იატაკზე მოთავსებული ყუთები, დაბალი ღობეები, საფეხურები და ა.შ.);
- თუ ოთახში საგნებს ადგილმდებარეობას უცვლით, აუცილებლად გააფრთხილეთ ამის შესახებ უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე მონაწილეები (მაგ, სკამების გადაადგილებისას, ან იმპროვიზებული სცენის მოწყობისას);

- ნუ უბიძგებთ უსინათლო ადამიანს რაიმე მიმართულებით უკითხავად. ჯერ ჰკითხეთ, სჭირდება თუ არა მას დახმარება ან მიმართულების მითითება. უსინათლო ადამიანების უმეტესობა გამყოლს ხელს ჰკიდებს იდაყვში ან მკლავზე. ამგვარად მათ შეუძლიათ ნახევარი ნაბიჯით ჩამორჩნენ გამყოლს და დროზე მოახერხონ რეაგირება წინალობებზე. აუცილებლად თქვით, რა მიმართულებით მოძრაობთ, როგორ, და ა.შ. (საფეხურების რაოდენობა, რომელიმე ორიენტირთან ჩავლა და სხვა);
- თუ უსინათლო მონაწილეს ჰყავს გამყოლი ძაღლი, არ დაუშვათ, რომ სხვა მონაწილეებმა ზედმეტი თამაშით მისი ყურადღება გაფანტონ (თუ პატრონს ამის ნება არ დაურთავს). არ დაგავიწყდეთ ძაღლის დროდადრო გარეთ გაყვანა (ტუალეტი, ჭამა და ა.შ.);



SALTO-ს ტრენინგ კურსიდან „Enable“

- თუ უსინათლო ადამიანს ჭამის დროს ეხმარებით, შეგიძლიათ მიუთითოთ კერძების განლაგება საათის სისტემით (3 საათი აღნიშნავს მარჯვენა მხარეს, 9 საათი მარცხენას და ა.შ.);
- დღის ნებისმიერ მონაკვეთში ერთი ადამიანი მაინც უნდა ეხმარებოდეს უსინათლო ან სუსტი მხედველობის მქონე მონაწილეს ინცინდენტების თავიდან ასარიდებლად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება უცხო გარემოში;
- ყოველთვის ზუსტად გქონდეთ გადანაწილებული როლები - ინტერპრეტატორის, მომვლელის, გამყოლის და ა.შ. დღის ნებისმიერ მონაკვეთში გუნდის ერთი წევრი მაინც შეძლებს დახმარების განწევას (იხ. თავი „როლები და ურთიერთობები ჯგუფში“, გვ. 48).
- ...

ადგილის შერჩევის კრიტერიუმები (უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონეთათვის)

- დასაშვებია თუ არა გამყოლი ძაღლების შეყვანა სასტუმროში? (ტრანსპორტში, რესტორანში, შეკრების ადგილზე და ა.შ.) შეუძლია თუ არა დაწესებულებას, უზრუნველყოს საკვები ძაღლებისთვის? არის თუ არა დამატებითი ხარჯი?
- არის თუ არა დაწესებულებაში წინაღობები, რომლებსაც უსინათლო ადამიანი შეიძლება შეეჯახოს და დაშავდეს? ორსართულიანი საწოლები, კიბისქვეშა გასასვლელები და ა.შ. სასურველი არ არის;
- არის თუ არა შენობაში სპეციალური ორიენტირები და მინიშნებები უსინათლო ადამიანებისთვის? (მინიშნებები საფეხურების, ზღურბლების შესახებ) მინიშნებები განთავსებული იყოს ისე, რომ მათი იდენტიფიცირება შეხებით იყოს შესაძლებელი;
- არის თუ არა ლიფტებში განცხადებების ხმოვანი სისტემა? არის თუ არა ლილაკებზე ბრაილის შრიფტით გაკეთებული წარწერები?
- მოერიდეთ კარებს, რომლებიც სწრაფად იკეტება, გამჭვირვალე კარებს, მწვანედ ან წითლად დაწერილ გამაფრთხილებელ წარწერებს;
- თუ მოხერხდება, გაანაწილეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილეები ერთმანეთთან ახლომდებარე ოთახებში;
- არის თუ არა მოაჯირები დერეფნებში და კიბეებზე? მოერიდეთ ხვეულ გასასვლელებს და უპირატესობა მიანიჭეთ სწორკუთხოვანს;
- ჩამრთველები და კარის სახელურები იატაკიდან დაახლოებით 104 სმ სიმაღლეზე უნდა იყოს;
- კრიტიკულ სიტუაციაში ევაკუაციის რა პროცედურებია გაწერილი? როგორ მოხერხდება უსინათლო ადამიანების ევაკუირება?

რჩევები და ხერხები – სმენის სრული ან ნაწილობრივი დაქვეითება

სუსტი მხედველობის მსგავსად, არსებობს ასევე მრავალი ტიპის სმენის შეზღუდვა. ზოგი ადამიანის სმენის პრობლემა სმენის აპარატების გამოყენებით გვარდება, ზოგს კი საერთოდ არაფერი ესმის. დაბადებიდან ყრუ ადამიანები მიჩვეულები არიან კომუნიკაციის ვიზუალური მეთოდებით ურთიერთობას (მაგ. ჟესტების ენა, რომელსაც აქვს საკუთარი გრამატიკა, ლექსიკონი და ფრაზეოლოგიზმები). კომუნიკაციის ვერბალური ფორმები ასეთი ადამიანებისთვის ხშირად მეორე ან მესამე ენაა. ზოგიერთი სმენადაქვეითებული ადამიანი ჟესტების ენის ნაცვლად ტუჩების მოძრაობით ნათქვამის გაგების ტექნიკას იყენებს. ასევე განსხვავდება მათი მეტყველება - ზოგის მეტყველება გაუმართავია, ზოგისა კი არა. გაიგეთ, რა დამხმარე აღჭურვილობას მიმართავენ ისინი კომუნიკაციისთვის.

მცირეოდენი ძალისხმევით თქვენ შეგიძლიათ პროგრამის მორგება სმენადაქვეითებული ადამიანების შესაძლებლობებზე.

- ხშირად, როდესაც ადამიანები ამჩნევენ, რომ მათმა სმენადაქვეითებულმა თანამოსაუბრემ ვერ გაიგონა ნათქვამი, თითქმის ყვირილით იწყებენ გამეორებას. აჯობებს, თქვენი სიტყვები უფრო მკაფიოდ გაიმეოროთ (იმ შემთხვევისთვის, თუ თანამოსაუბრეს შეუძლია ტუჩების მოძრაობით ნათქვამის გაგება) ან კომუნიკაციის ალტერნატიული მეთოდები გამოიყენოთ (ჟესტები, წერა და ა.შ.);
- თუ იცით, რომ თქვენი თანამოსაუბრე ტუჩების მოძრაობით ხვდება ნათქვამს, საუბრისას მისკენ სახით უნდა იდგეთ. ილაპარაკეთ მკაფიოდ, თუმცა ზედმეტადაც ნუ გაირჯებით. სალექი რეზინის ლეჭვამ ან სიგარეტის მოწევა შეიძლება შეცვალოს ტუჩების მოძრაობა და გაუგებარი გახადოს თქვენი ნათქვამი;
- უცხო ენაზე ნათქვამის გაგება ტუჩების მოძრაობით რთულია. ასევე სმენადაქვეითებულ ადამიანს შეიძლება გაუძნელდეს მის ენაზე მოსაუბრე უცხოელის ნათქვამის გაგება (აქცენტი ცვლის ტუჩების მოძრაობას). გაუგებრობის შემთხვევაში სცადეთ შეცვალოთ წინადადება იმავეს გამეორების ნაცვლად;
- სმენადაქვეითებულ ადამიანებს საუბრისას სჭირდებათ ჟესტებზე, მიმიკაზე და ტუჩების მოძრაობაზე კონცენტრირება. ეცადეთ, საუბრისას შესაფერისად განათებულ ადგილას იდგეთ, თანამოსაუბრისგან შესაფერის მანძილზე. თქვენ უკან არაფერი უნდა ხდებოდეს ისეთი, რაც მას ყურადღებას გაუფანტავს;
- თუ გადანყევით ჟესტების ენაზე მომუშავე თარჯიმნის აყვანას, ისაუბრეთ „ნაწილ-ნაწილ“, მიეცით თარჯიმანს საკმარისი დრო ნათქვამის ინტერპრეტირებისთვის და თანამოსაუბრის შესაძლო კითხვებზე პასუხის გაცემისთვის. ჯგუფური სავარჯიშოებისას საუბარი განაახლეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც თარჯიმანი ნათქვამის ინტერპრეტირებას მორჩება. პირადი საუბრისას ელაპარაკეთ სმენადაქვეითებულ ადამიანს და არა თარჯიმანს;
- ზემოთქმულის გათვალისწინებით, ყოველთვის დაინტერესდით, ჰყოფნის თუ არა თარჯიმანს გამოყოფილი დრო ნათქვამის ინტერპრეტირების დასრულებისთვის, თავად დაინტერესდით, აქვს თუ არა სმენადაქვეითებულ მონაწილეს რაიმე კითხვები. შეგიძლიათ, ასევე დაიმასხვოროთ რამდენიმე ჟესტი (მაგ. „ყველაფერი გასაგებია?“) და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოთ;
- გაითვალისწინეთ, რომ ჟესტების ენა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია! მართალია, არის ძირეული მსგავსებები, მაგრამ თქვენი ქვეყნის ჟესტების ენა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი სმენადაქვეითებული ადამიანების კომუნიკაციის უნივერსალურ საშუალებად არ გამოდგება;
- საუბრის დაწყებამდე გააფრთხილეთ თანამოსაუბრე, რომ რაღაცის თქმა გსურთ. დაელოდეთ, სანამ იგი მოიხედავს თქვენკენ და ყურადღებას მოგაპყრობთ. ჯგუფური სავარჯიშოების მსვლელობისას შეგიძლიათ, რამე ეფექტით მიიქციოთ ყურადღება (მაგალითად, სინათლე ანთოთ და ჩააქროთ);
- ჯგუფთან ერთად შეათანხმეთ სამუშაო სესიის დასაწყისის და დასრულების აღმნიშვნელი ვიზუალური სიგნალები (მაგ. სინათლის ჩართვა ან გამორთვა, ერთდროულად ფეხზე წამოდგომა და ა.შ.);

- განსხვავებით უსინათლო ადამიანებთან მუშაობისგან, როდესაც თითოეული ნაწერის გაჟღერება გინევთ, სმენადაქვეითებული ადამიანის ყურადღების მისაპყრობად საჭიროა ხმოვანი ინფორმაციის ვიზუალურ ფორმაში ინტერპრეტირება (მაგ. ჰენდაუთების დარიგება, დაფაზე წერა და ა.შ.);
- ჯგუფური დისკუსიის დაწყებამდე შეთანხმდით ჟესტზე, რომლითაც სმენადაქვეითებული მონაწილეები განიშნებენ, რომ აზრის დაფიქსირება სურთ. ზოგიერთ ყრუ ან სმენადაქვეითებულ ადამიანს ასევე უჭირს მეტყველება, რაც რთულად გასაგებს გახდის მის ნათქვამს. ნუ მოგერიდებთ, სთხოვთ ნათქვამის გამეორება. თუ მაინც ვერ გაიგეთ, შეგიძლიათ კომუნიკაციის ალტერნატიული გზის მოშველიება (ჟესტების ენა და ინტერპრეტატორი, წერა);
- სასურველია, თან ატაროთ ფურცელი და კალამი. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდებით სმენადაქვეითებულ ან ყრუ ადამიანთან ერთად, ეს ძალიან გაგიადვილებთ კომუნიკაციას;
- ზოგიერთი ელექტრონული აპარატის (მაგ. მობილური ტელეფონების) ტალღებმა შესაძლებელია სმენის აპარატების მუშაობა შეაფერხონ. ამის თავიდან ასაცილებლად ჯგუფური სავარჯიშოების მსვლელობისას გამორთეთ მობილური ტელეფონები;
- ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს შეუძლიათ დისკოთეკებზე ცეკვა - ისინი გრძნობენ რიტმს ან ახერხებენ მის აღქმას შუქების თამაშის მიხედვით. ნუ გამორიცხავთ პროგრამიდან დისკოთეკებს;
- ყოველთვის ზუსტად გქონდეთ გადანაწილებული როლები - ინტერპრეტატორის, მომვლელის, გამყოლის და ა.შ. დღის ნებისმიერ მონაკვეთში გუნდის ერთი წევრი მაინც შეძლებს დახმარების განევას (იხ. თავი „როლები და ურთიერთობები ჯგუფში“, გვ. 48).
- ...

ადგილის შეჩვევის კრიტერიუმები (სმენადაქვეითებულთათვის)

- სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის შეგიძლიათ, სამუშაო ოთახებში დაამონტაჟოთ ინდუქციური კოჭის სისტემა. ეს სისტემა ბგერას გარდაქმნის მაგნიტურ ველად და იმათ, ვინც იყენებს სასმენ აპარატებს, უფრო მკაფიო ბგერები მიეწოდებათ (მუშაობის პრინციპი დაახლოებით ჰგავს სატელევიზიო ანტენისას). არის თუ არა შენობაში მსგავსი სისტემა, თუ მისი შოვნა დაგჭირდებათ?
- ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები ვერ გაიგონებენ სახანძრო სიგნალიზაციას. არის თუ არა შენობაში სტრობოსკოპული ეფექტის მქონე სასიგნალო ნათურები და ვიზუალური სიგნალიზაციის სისტემა? ყველა ორგანიზატორმა უნდა იცოდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მონაწილეების საძინებლების ადგილმდებარეობა და აგრეთვე საკუთარი როლი კრიტიკულ სიტუაციაში. გადანაწილეთ ამოცანები თითოეულ მონაწილეზე, აუხსენით, როგორ უნდა დაეხმარონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანაგუნდელს კრიტიკულ სიტუაციაში;
- არის თუ არა შენობაში ტექსტური ტელეფონი (TTY) სისტემა, რომელიც გარდაქმნის ხმოვან შეტყობინებას ტექსტურად და პირიქით (TRS). უფრო მარტივი ალტერნატივაა ინტერნეტის და კომპიუტერის ქონა, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენება.

რჩევები კარგი აკუსტიკის მქონე გარემოს მოსაწყობად ნაიკითხეთ **Access for All** პუბლიკაციაში მალტის შშმ პირთა ეროვნული კომისიის საიტზე: www.knpd.org (www.knpd.org/pubs/pdf/accessforall2005.pdf)

პრაქტიკული რჩევები:

- თუ რომელიმე მონაწილე იყენებს სმენის აპარატს, ნაილეთ საკმარისი რაოდენობის ელემენტები. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ეს აპარატები ძვირი ღირს და იოლად იმტვრევა. იქონიეთ დაზღვევა და გაარკვიეთ, სად შეიძლება მსგავსი ტექნიკის შეკეთება იმ ქვეყანაში, სადაც მიემგზავრებით;
- თუ აპირებთ ინდუქციური კოჭის სისტემის დამონტაჟებას, ნაილეთ ზედმეტი კაბელები, გაესაუბრეთ ტექნიკოსს და აუხსენით ყველაფერი;
- დაგეგმეთ მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით კომუნიკაცია იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ქალაქში ან ექსკურსიაზე გადიხართ.

რჩევები და ხერხები – ალქმის, დასწავლის და გონებრივი ღირებულებები

ხშირად შეუძლებელია, პირველივე შეხედვით შეაჩნიოთ, რომ ადამიანს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები და/ან ალქმის დარღვევები აქვს. გარდა ამისა, ალქმის დარღვევების სხვადასხვა ტიპები და სიმძიმის დონეები არსებობს - გაითვალისწინეთ ეს ამ თავის კითხვისას. ასევე არასწორია დასკვნა, რომ შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანებს აუცილებლად შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობებიც აქვთ. ამიტომაც ყოველთვის ეცადეთ, მაქსიმუმს ელოდოთ ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობებისგან და ურთიერთობისას ნელ-ნელა შეამციროთ თქვენი მოლოდინები, თუ ეს საჭირო გახდა.

რამდენიმე რჩევა:

- იყავით კონკრეტული. ნუ გამოიყენებთ სიტყვებს გადატანითი მნიშვნელობით, რთულ ფრაზებს, ირონიას, სარკაზმს... მაგრამ ამავედროულად, მეორე უკიდურესობასაც მოერიდეთ: ნუ დაელაპარაკებით შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანს, როგორც ჩვილ ბავშვს. ეს უპატივცემულობის გამოხატვაა;
- საუბრისას გაიღიმეთ, აგრძნობინეთ თანამოსაუბრეს თქვენი დადებითი დამოკიდებულება. ნუ შემოიფარგლებით მხოლოდ ვერბალური კომუნიკაციით. აზრის გამოხატვის რაიმე ვიზუალური მეთოდი (მაგ. ნახატი ან სიმბოლო) ასევე შეიძლება გამოგადგეთ;
- იყავით მომთმენი და მოერგეთ სიტუაციას, აგრძნობინეთ თანამოსაუბრეს მხარდაჭერა. ნუ დაგენანებათ დრო იმაზე, რომ ზუსტად გააგებინოთ მას თქვენი სათქმელი. ჰკითხეთ ხოლმე, გაიგო თუ არა, რას გულისხმობთ;
- გაიმეორეთ სათქმელი იმდენჯერ, რამდენჯერაც გახდება საჭირო, შეგიძლიათ, შეცვალოთ წინადადების ფორმულირება. ნუ დაგენანებათ დრო. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენმა თანამოსაუბრემ პირველი ცდიდანვე ყველაფერი გაიგო და დაიმახსოვრა;

- სავარჯიშოებამდე მოერიდეთ გრძელ შესავლებს. ნებისმიერი გრძელი და კომპლექსური აზრი დაყავით უფრო მცირე ნაწილებად, რომელთა აღქმაც უფრო ადვილია;
- **Powerpoint**-ით მომზადებულ პრეზენტაციებში და ჰენდაუტებში გამოიყენეთ ვიზუალური მასალა აზრის აღქმის გასამარტივებლად. წერეთ მოკლე წინადადებებით და თითო ჯერზე შეეხეთ მხოლოდ ერთ საკითხს;
- მიმართეთ გამოხატვის სხვადასხვა გზებს. მაგალითად, ხელოვნებას, ცეკვას, ხატვას, კოლაჟს, სასცენო დადგმას და ა.შ.
- სთხოვეთ ჯგუფის რომელიმე წევრს, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე მონაწილეს დაეხმაროს ისეთ საქმეებში, როგორებიცაა წერა, ფორმის შევსება, ინსტრუქციის გაგება. თუმცა მანამდე დააზუსტეთ, სურს თუ არა მონაწილეს, მიიღოს თქვენი დახმარება. ნუ იქნებით ზედმეტად მზრუნველი;
- დარწმუნდით, რომ აღქმის და დასწავლის დარღვევების მქონე მონაწილეებმა (ისევე, როგორც ნებისმიერმა სხვა მონაწილემ) იციან ქცევის წესები: რა არის მისაღები, და რა - მიუღებელი;
- აღქმის დაქვეითებული უნარის მქონე ადამიანებს უჭირთ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გააფრთხილეთ ისინი მოსალოდნელი არჩევნის შესახებ, რათა თავი გაართვან ამ ამოცანას;
- შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების ადამიანს შეიძლება უჭირდეს კონცენტრირება ყურადღების გამფანტველ გარემოში (მაგ. ხმაურიანი, ხალხმრავალი, ჭრელად შეფერილი ადგილები და ა.შ.). ეცადეთ, გამოუყოთ მათ მშვიდი სამუშაო გარემო, სადაც ისინი შეძლებენ ყურადღების კონცენტრირებას საჭირო საკითხზე;
- თუ ახალგაზრდობილ ადამიანებთან ერთ წრეში ყოფნისას შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე მონაწილემ უცნაური ქცევა გამოავლინა, მშვიდად განუმარტეთ სხვებს ამის მიზეზი. უცნაური ქცევა შეიძლება გამოწვეული იყოს ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობით და არანაირ საფრთხეს არ უქმნიდეს გარშემომყოფებს;
- დიდი ალბათობით, ჯგუფის წევრების უმეტესობა მიბაძავს ლიდერის რეაქციას უცნაურ ქცევაზე. თუ თქვენ მშვიდად შეხვდებით მას, ჯგუფიც მშვიდად იქნება. ანალოგიურად - თქვენი პანიკა სხვებსაც გადაედება;
- სასურველია, პროგრამაში ისეთი აქტივობები შეიტანოთ, რომლებშიც აღქმის დაქვეითებული უნარის მქონე მონაწილეები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნებას, მაგალითად, სპორტული, მუსიკალური, ტექნიკური სავარჯიშოები. ეს ძალიან დადებითად იმოქმედებს ჯგუფის დამოკიდებულებაზე მათ მიმართ. შეგიძლიათ, მოაწყოთ „ნიჭის ბაზრობა“, სადაც ყოველი მონაწილე სხვებს შესთავაზებს იმას, რაც კარგად გამოსდის (სიმღერა, ხუმრობების მოყოლა, მასაჟი და ა.შ.);
- ჰკითხეთ დასწავლის პრობლემების მქონე ადამიანებს, რა უადვილებთ მათ მასალის გაგებას და დამახსოვრებას. მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს დასამახსოვრებელი საგნის გადანერა და ხმამაღლა წაკითხვა ეხმარება;

- ასპერგერის სინდრომის, აუტიზმის (ან ალქმის დარღვევების სხვა ტიპების) მქონე მონაწილემ გარკვეულ საგნებთან ან ადგილებთან შეხებისას შეიძლება პანიკური რეაქცია გამოავლინოს (მაგ. გვირაბი, ფერები და ა.შ.). კარგი იქნებოდა თავად მონაწილესთან ან მის მშობლებთან გარკვევა, სავარაუდოდ, რა განაპირობებს ასეთ რეაქციას და როგორ უნდა დაამშვიდო ასეთ შემთხვევაში ადამიანი. თუმცა უმეტესად მაინც ცდის და შეცდომის მეთოდით მოგინევთ ხელმძღვანელობა;
- თავის ტვინის დაზიანების მქონე ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სუსტი მოკლევადიანი მეხსიერება და შესაბამისი სოციალური უნარები. ასეთი მონაწილისთვის შეგიძლიათ აიყვანოთ პირადი მომვლელი, რომელიც დაეხმარება მას, აქტივობებში ჩაერთოს, აუხსნის თამაშის წესებს და ა.შ.
- ტურეტის სინდრომის მქონე ადამიანებს ახასიათებთ უნებლიე წამოძახილები (მათ შორის უცენზუროც), პერიოდული უკონტროლო მოძრაობები. თუ ასე ხდება, აცადეთ მონაწილეს დამშვიდება და შემდეგ განაგრძეთ თქვენი სავარჯიშო. ხშირად, როდესაც ტურეტის სინდრომის მქონე ადამიანი ცდილობს, ჩაახშოს წამოძახილები, ისინი უფრო ინტენსიური ხდება. ამიტომ შეგიძლიათ, მისცეთ მას უფლება, დროებით დატოვოს ოთახი და დამშვიდდეს;
- თუ რომელიმე მონაწილეს პანიკა დაეწყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ეცადეთ, გადაინაცვლოთ უფრო მშვიდ ტერიტორიაზე;
- მისათითებელი პიქტოგრამები და ისრები ძალიან გაუადვილებს ალქმის დარღვევების მქონე ადამიანს ორიენტირებას;
- შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე მონაწილეებმაც უნდა იცოდნენ, რა გააკეთონ კრიტიკულ სიტუაციაში (მაგ. ხანძრის შემთხვევაში).
- ...

„გონებრივი და კოგნიტური დარღვევები“ ეს იმ ექიმების მოფიქრებული ტერმინია, რომლებმაც არ იციან, როგორ მოგვექცნენ.“ - **ჯ. სლოვაკეთიდან - დაუნის სინდრომი.**

შეზღუდული შესაძლებლობების განსაკუთრებული ტიპები

შეუძლებელია, შევხვით მსოფლიოში არსებული შეზღუდული შესაძლებლობების ყველა ტიპს, მაგრამ ქვემოთ ჩამოთვლილი რჩევები გაგიადვილებთ სწორი გადანყვეტილებების მიღებას განსაკუთრებულად გავრცელებულ სიტუაციებში. თუმცა ყველაზე სრული ინფორმაციის მოპოვება ყოველი კონკრეტული დარღვევის შესახებ თავად ადამიანისგან და მისი მომვლელისგან შეგიძლიათ.

ტანმორჩილი ადამიანები

- ნუ მოეპყრობით ზრდასრულ ადამიანებს, როგორც ბავშვებს და ნუ აღნიშნავთ, თუ რა „საყვარლები“ არიან მხოლოდ მათი ტანმორჩილობის გამო;
- საჭირო მასალები მოათავსეთ მათთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე (და არა ზედა თაროზე);
- დაფა, რომელზეც წერთ, დამონტაჟებული უნდა იყოს ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. ასევე შეიძლება სკამის ან ხელნაკეთი საფეხურის გამოყენება;
- შეგიძლიათ, სკამებზე დააწყოთ ბალიშები, საშხაპეში დადგათ საფეხური, შხაპის თავი ჩამოხსნათ სამაგრიდან;
- შეამოწმეთ, არის თუ არა ტელეფონები, პისუარები და სხვ. განთავსებული ხელმისაწვდომ სიმაღლეზე;
- აქტივობებისას ყველა მონაწილე სხვადასხვა სიმაღლეზე დასვით, ან პირიქით, ეცადეთ, ყველანი ერთ დონეზე აღმოჩნდნენ;
- პირისპირ საუბრისას ეცადეთ, გაუთანაბრდეთ თანამოსაუბრეს, ჩამოჯექით, ჩაიმუხლეთ ან მოშორებით დადექით;
- ტანმორჩილ ადამიანებს მოკლე ფეხები აქვთ და დიდ მანძილებზე გადაადგილება მათთვის დამლუღია. იფიქრეთ გადაადგილების ალტერნატიულ საშუალებებზე.
- ...

მეტყველების დარღვევები

- თუ ნათქვამი ვერ გაიგეთ, ნუ მოაჩვენებთ თანამოსაუბრეს საწინააღმდეგოს. ნუ მოგერიდებთ, სთხოვთ, გაიმეოროს, რაც თქვა. ნერვიულობა და მორიდება არ არის ეფექტიანი კომუნიკაციის წინაპირობა;
- თავად გაიმეორეთ თანამოსაუბრის ნათქვამი, რათა დარწმუნდეთ, რომ სწორად გაიგეთ. ნუ დაგენანებათ დრო;
- ნუ გაანწყვეტინებთ თანამოსაუბრეს ლაპარაკს, ნურც თავად ეცდებით მისი ფრაზების დაბოლოებას. ნუ დააქნევთ თავს თანხმობის ნიშნად, თუ ყველაფერი ვერ გაიგეთ.
- თუ ძალიან გიჭირთ თანამოსაუბრის ნათქვამის გაგება, მიმართეთ ალტერნატიულ საშუალებებს (ყესტები, ხატვა, წერა და ა.შ.), მაგრამ ასევე იკითხეთ, თანახმაა თუ არა თქვენი თანამოსაუბრე ამ ხერხების გამოყენებაზე;
- დასვით ისეთი შეკითხვები, რომლებზეც შესაძლებელია მოკლე პასუხების გაცემა ან თავის დაქნევა;
- ნუ ილაპარაკებთ თანამოსაუბრის მაგივრად, ნუ დააბოლოებთ ფრაზებს მის მაგივრად;
- დიალოგი უფრო ადვილად წარიმართება მშვიდ გარემოში, სადაც მაქსიმალურად შეძლებთ თქვენი თანამოსაუბრის ნათქვამზე კონცენტრირებას;
- დაუშვებელია მეტყველების დარღვევების მქონე ადამიანის დაცინვა ან გაქილიკება. მიაქციეთ ყურადღება, რომ ასეთი რამ არ ხდებოდეს.
- ...

ეპილეფსია (კრუნჩხვითი დარღვევა)

- გაარკვეთ მდგომარეობის სიმძიმის დონე. ეპილეფსიის მქონე ზოგიერთ ადამიანს კრუნჩხვებისას მხოლოდ ხელები უკანკალებს, ზოგიერთი კი მიწაზე ეცემა და ყველა კიდური უკონტროლოდ უმოძრავეს;
- საუკეთესო გამოსავალია, რჩევა თავად ეპილეფსიის მქონე ადამიანს, მის მშობელს/მეურვეს ან გამოცდილ ახალგაზრდულ მუშაკს ჰკითხოთ. ზოგ შემთხვევაში კრუნჩხვის მოსახსნელად ინექციას იყენებენ, ზოგჯერ კი უბრალოდ შეტევის დასრულებას ელოდებიან;
- კრუნჩხვების მიზეზი შეიძლება გახდეს სინათლის გაელვებები (შუქები დისკოთეკაზე, მანქანების ფარები) და ხმოვანი გამღიზიანებლები (ტელეფონის ზუმერი,...). ეცადეთ, მთავრად ეპილეფსიის მქონე ადამიანი მსგავს გამღიზიანებლებს;
- თუ ადამიანს კრუნჩხვები დაეწყო, ვერაფრით დაეხმარებით - მოიცადეთ, სანამ შეტევა დასრულდება. თუ ადამიანი მიწაზე დაეცა, გააკონტროლეთ, რომ თავი არ დაარტყას, ან ენა არ გადაჰყლოს, მაგრამ ნუ შეზღუდავთ მის მოძრაობებს;
- ექსკურსიებზე წაიღეთ გამოსაცვლელი ტანსაცმელი. კრუნჩხვისას ადამიანმა შეიძლება დაკარგოს სითხე (ოფლის, შარდის სახით);
- კრუნჩხვის დასრულების შემდეგ ადამიანი შესაძლოა, დეზორიენტირებული და დათრგუნვილი აღმოჩნდეს. მიეცით მას საშუალება და დრო, განმარტოვდეს და მოწესრიგდეს.
- ...

სერეზოზული დამბლა

ცერებრალური დამბლა არის დარღვევა, რომელიც ხელს უშლის ადამიანს კუნთების მოძრაობის გაკონტროლებაში და გავლენას ახდენს მის მოძრაობაზე (ზოგჯერ მეტყველებაზეც). ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცერებრალური დამბლის მქონე ადამიანს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები ან ალქმის დარღვევა აქვს. შეიქმენით მაქსიმალური მოლოდინი ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობებისგან და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეამცირეთ ეს მოლოდინები, თუ ადამიანს გონებრივი დარღვევები აღმოაჩნდება.

- რჩევების უმეტესობა, რომლებიც ეხებოდა ეტლის მოხმარებელ ადამიანებთან მოპყრობას, ასევე გამოსადეგია ცერებრალური დამბლის მქონე ადამიანებთან მუშაობაში.

ფსიქიკური მდგომარეობები

თქვენი პროექტის ზოგიერთ მონაწილეს შეიძლება აღმოაჩნდეს ფობია, დეპრესია ან სხვა სახის ფსიქიკური დარღვევები. ამ დარღვევების ერთი შეხედვით შემჩნევა შეუძლებელია და ამიტომაც წინასწარ უნდა მოაგროვოთ ცნობები მონაწილეების ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. ფსიქიკურ დარღვევებს ხშირად არ მიიჩნევენ შეზღუდულ შესაძლებლობებად მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე საზოგადოებაში. განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობის მქონე ადამიანებს ჩვეულებრივი ქცევა ახასიათებთ, მაგრამ შეიძლება, ძალიან მგრძნობიარენი იყონ ემოციების და სტრესის მიმართ. სასურველია, ჰკითხოთ მონაწილეებს, მონაწილეების მშობლებს ან ფსიქოლოგებს მათი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ - როგორ უნდა აგრძნობინოთ მათ თავი უკეთესად და როგორ დაეხმაროთ შინაგანი კრიზისის დროს.

ბასაკეთებელი პროექტის პერს პერსონა




პროგრამის ბოლო დღე როდი ნიშნავს პროექტის დასრულებას. თქვენი პროექტი მხოლოდ ერთი ნაბიჯია ცვლილებების გზაზე. კარგად ორგანიზებული პროექტების საშუალებით შეგიძლიათ, ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვიოთ საზოგადოებაში.

კარგად დაგეგმეთ პროექტის ხილვადობა: რა გზით გავაგებინოთ მაქსიმალურად მეტ ადამიანს ამ პროექტის შესახებ? (ღია კარის დღის, წვეულების ორგანიზება,...). შესაძლებელია ასევე თქვენი საქმიანობის გაშუქება მედიის დახმარებით.

თუ პროექტმა გაამართლა და სასურველ შედეგს მიაღწიეთ, ლოგიკური იქნება, მაქსიმალურად გაახმაუროთ თქვენი წარმატება (შეატყობინეთ მედიას, დამფინანსებლებს, მონაწილეების მშობლებს, პოლიტიკოსებს). უკეთესი იქნება, თუ თქვენი შედეგები სხვებსაც გამოადგებათ პრაქტიკაში. შეგიძლიათ თქვენი მეთოდების და გამოცდილების დოკუმენტირება და სხვებისთვის გაზიარება.

ჯერ კიდევ პროექტის დაფინანსების მოპოვების ეტაპზე (მაგ. პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ აპლიკაციით) მოგიწევთ პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ გეგმავთ მიღებული შედეგების გამოყენებას მომავალში. რაც უფრო კარგად დაგეგმავთ პროექტის ხილვადობას, შედეგების გაზიარებას და გამოყენებას, მით უფრო დიდ რეზონანსს გამოიწვევთ თქვენი საქმიანობით.

- SALTO-ს ძალისხმევით შეიქმნა ნიგნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიწვიოთ საზოგადოებაში რეზონანსი თქვენი პროექტით - **“Making Waves”**. ბროშურაში ნახავთ რჩევებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაზარდოთ პროექტის ხილვადობა, და როგორ გაავრცელოთ/გამოიყენოთ შედეგები მაქსიმალურად ეფექტიანად. გადმოიწერეთ ბროშურა მისამართიდან: www.SALTO-YOUTH.net/MakingWaves/



ავტორი და კონსულტანტები



ტონი გედენსი [ავტორი]

<http://trainers.SALTO-YOUTH.net/TonyGeudens/>

ტონის SALTO ახალგაზრდობის ინკლუზიის რესურს ცენტრის კოორდინატორია. იგი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა ტრენერად და ბევრი სხვადასხვა სავარჯიშოს მორგება მოახერხა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების შესაძლებლობებზე. ერთ-ერთი ყველაზე რთული (და ღირებული) გამოცდილება იყო SALTO-ს კურსებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდული მუშაკების მასპინძლობა. მას სჯერა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ახალგაზრდებთან ერთად საერთაშორისო პროექტების განხორციელება შესაძლებელია - ამისთვის საჭიროა საკმარისი ნებისყოფა და კრეატიულობა. ზუსტად ამ მესიჯის მოტანას ცდილობს თქვენამდე იგი ამ ბროშურით.

tony@salto-youth.net ან tony@geudens.com



სონია ჰოლიუბკოვა

<http://trainers.SALTO-YOUTH.net/SoniaHolubkova/>

სონიას დაცული აქვს დისერტაცია ფსიქოლოგიაში და ამჟამად მუშაობს სლოვაკეთში სოციალური სამსახურის მრჩეველთა ბორდში (Social Work Advisory Board) კოორდინატორად. მისი სამუშაო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. მას უმუშავია სოციალური დაცვის სამსახურებში შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასახმარებლად და დღემდე აქტიური მოხალისე გახლავთ შშმ პირების დახმარებისკენ მიმართულ პროექტებში. ყოველ წელს იგი ორგანიზებას უწევს საერთაშორისო კულტურულ ფესტივალს, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ ზილინაში ტარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ახალგაზრდებისთვის. 2001 წელს სონიამ მონაწილეობა მიიღო SALTO-ს პირველ ინკლუზიის ტრენინგ კურსში დამოგვიანებით მუშაობდა ტრენერად SALTO-ს ტრენინგ კურსში „Enable“.

nkh@slovanet.sk



რენე ოპსომერი

<http://trainers.SALTO-YOUTH.net/ReneOpsomer/>

რენე გერმანულად მოსაუბრე ბელგიელი ტრენერია. მას მიღებული აქვს განათლება შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებში და 25 წლის განმავლობაში მუშაობდა ორგანიზაციაში, რომელიც ატარებდა აქტივობებს შერეული გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. ამ ორგანიზაციამ აგრეთვე დააარსა აგრეთვე ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ხელმისაწვდომი უფასო ტაქსის მომსახურება. რენემ განახორციელა გაცვლითი ახალგაზრდული პროგრამები ბელგიას, ესტონეთს და ლატვიას შორის. მისი ორგანიზებით რეგულარულად ტარდება ტრენინგ კურსები ახალგაზრდულ სამუშაოში შშმ ახალგაზრდების ჩართვის საკითხზე. მისი რჩევა ახალგაზრდული მუშაკებისთვის: სცადე!

Opsi@mail.be

შენიშვნები, წყაროები და რეკომენდებული საკითხავი

ამ ბროშურის დამატებად გამოიყენეთ SALTO-ს სხვა მასალები მისამართზე:
www.SALTO-YOUTH.net/MixedAbility/

დამატებითი საკითხავი

პუბლიკაციები SALTO-ს სერიიდან “Inclusion for All”:

- **Going International - Inclusion for All (2004)** - ბროშურაში აღწერილია ინკლუზიის პრაქტიკული მეთოდები და რჩევები შშმ პირებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო პროექტების მომზადებასთან, ჩატარებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით;
- **Use Your Hands to Move Ahead (2004)** - პრაქტიკული ამოცანების გამოყენება ევროპის მოხალისეთა სამსახურის მოკლევადიან პროექტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართვის მიზნით;
- **Fit for Life (2005)** - სპორტის საგანმანათლებლო რესურსად გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩასართავად ახალგაზრდულ სამუშაოში და საერთაშორისო ახალგაზრდულ პროექტებში;
- **No Offence (2007)** - პროექტების ორგანიზება ყოფილი მცირეწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის და ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისთვის;
- **Village International (2007)** - პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდულ მუშაკებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვანყოს პროექტი გეოგრაფიულად იზოლირებულ რეგიონებში;
- **Youth and the City (2008)** - რჩევები ახალგაზრდული პროექტების მომზადების შესახებ ქალაქგარეთ;
- **No Barriers, No Borders (2008)** - პრაქტიკული გზამკვლევი საერთაშორისო შერეული შესაძლებლობების ახალგაზრდული პროექტების ორგანიზატორებისთვის (შერეული შესაძლებლობების პროექტები - პროექტები, რომლებშიც მონაწილეობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე პირები);
- **Over the Rainbow (2008)** - პრაქტიკული რჩევები ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი) ახალგაზრდებისთვის (და იმათთვის, ვინც არ არის ჩამოყალიბებული თავის სექსუალობაში) პროექტების ორგანიზებასთან დაკავშირებით;
- **Inclusion & Diversity (2008)** - როგორ გავხადოთ ახალგაზრდული სამუშაო და პროექტები უფრო ინკლუზიური და როგორ გავზარდოთ სამიზნე ჯგუფების მრავალფეროვნება (SALTO ინკლუზიის და SALTO კულტურული მრავალფეროვნების თანამშრომლობით);
- **Making Waves (2007)** - დიდი რეზონანსის გამოწვევა ახალგაზრდული პროექტებით. რჩევები პროექტის ხილვადობის გაზრდასთან, შედეგების გავრცელებასა და პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით;
- **Coaching Guide (2006)** - ინსტრუქტორობის კონცეფციის განხილვა, პრაქტიკული მეთოდები და რჩევები (SALTO Participation ინიციატივით).

❏ იხილეთ ეს ყველაფერი მისამართზე: www.SALTO-YOUTH.net/Inclusion/

გაინტერესებთ ახალგაზრდული სამუშაოს ინკლუზიასთან (ან სხვა თემასთან) დაკავშირებული მეთოდები? გადახედეთ SALTO-ს ტრენინგების მეთოდების კრებულს მისამართზე:
www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/



ტრენინგ პაკეტების სერია: ტრენინგ პაკეტები არის გამოცდილი ახალგაზრდული მუშაკების თემატური პუბლიკაციები. ეს ტრენინგების და სასწავლო პროცესის მსვლელობისას გამოსაყენებელი გზამკვლევებია. გამოცემულია ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ახალგაზრდული პარტნიორობის მიერ.

- სოციალური ინკლუზია
- პროექტების მართვა
- ორგანიზაციული მართვა
- ენის შესწავლის მეთოდოლოგია
- კულტურათაშორისი სწავლება
- საერთაშორისო მოხალისეების სამსახური
- მომზადება... მოქალაქეობა, ახალგაზრდობა და ევროპა
- ტრენინგის საფუძვლები
- დაფინანსება და სახსრების მართვა
- ახალგაზრდული სამუშაოს შეფასება
- ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების თანამშრომლობა

☛ ყოველივე ამის გადმოწერა შესაძლებელია მისამართიდან:
www.youth-partnership.net ან www.SALTO-YOUTH.net/Toolbox/

ბროშურის შედგენისას გამოყენებული პუბლიკაციები

- **Disability Etiquette:** რჩევები შშმ პირებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, ჯუდი კოენი, გამოცემულია EPVA-ს მიერ - გადმოწერეთ მისამართიდან: www.unitedspinal.org (უფასო პუბლიკაციები);
- **We're Not Ready Yet!:** გზამკვლევი შშმ პირებისთვის, მოხალისეების ორგანიზაციებისთვის და მოხალისეებისთვის, ჯეკი ვესტი, გამოცემულია Mobility International-ის მიერ: www.miusa.org (ორგანიზაციას ჰქონდა ევროპული განშტოება).

ონლაინ მასალები

მეტი ლინკი და მასალა ინკლუზიის საკითხზე: www.SALTO-YOUTH.net/Inclusion/

- მეთოდები ინკლუზიური პროექტებისთვის და ტრენინგებისთვის - www.salto-youth.net/InclusionTools/
- ტრენინგების და კონსულტანტების (ინკლუზიის საკითხზე) მონაცემთა ბაზა: www.salto-youth.net/InclusionTrainers/
- ტრენინგები ინკლუზიის საკითხზე: www.salto-youth.net/InclusionCourses/
- SALTO-ს ნიუსლეტერი ინკლუზიის საკითხზე: www.salto-youth.net/InclusionNewsletter/

ინფორმაცია შეზღუდულ შესაძლებლობაზე

- **Disability World:** ორ თვეში ერთხელ განახლებადი ვებ-სივრცე საერთაშორისო სიახლეებით და შეხედულებებით შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ: www.disabilityworld.org
- **Independent Living:** ეხმარება შშმ პირების დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ თანასწორი შესაძლებლობებისთვის და თვითრწმენის ამაღლებისთვის. საიტზე არის ვრცელი ბიბლიოთეკა, პარტნიორი ორგანიზაციების ძეგლის მექანიზმი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ადგილების შემოთავაზებები, თემატური რადიო, პირადი მომვლელების ქსელი, ფორუმი და გაცვლის შესაძლებლობა. www.independentliving.org
- **Enable Link:** კანადური საიტი, რომელზეც შეგიძლიათ მიაგნოთ ბევრ თემატურ რესურსს. რესურსები ეხება შშმ პირების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს - მოგზაურობას, სექსუალობას, დასახლებას, სპორტს და ა.შ.

www.enablelink.org

შეზღუდული შესაძლებლობით მოგზაურობა

- **Accessible Travelling-General:** უამრავი რჩევა უცხოეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, პირადი ისტორიები, ხელმისაწვდომი ადგილების გზამკვლევი, საკონტაქტო ინფორმაცია...

www.toegankelijkkreizen.be (ინგლისურ, ფრანგულ, დანიურ და გერმანულ ენებზე)

www.emerginghorizons.com/resources/

- **Flying with a disability:** პრაქტიკული გზამკვლევი თქვენი ფრენის ორგანიზებისთვის

www.flying-with-disability.org

ინფორმაცია სხვადასხვა ავიახაზების ხელმისაწვდომობაზე შშმ პირებისთვის

www.everybody.co.uk/airindex.htm

- მეტი ლინკი

საიტები შშმ პირების საჰაერო მგზავრობის შესახებ (სხვადასხვა ენაზე).

www.wheeltheworld.net

ადგილზღოვანი ხელმისაწვდომობის გზამკვლევი:

- „Accessibility For All“ გზამკვლევი

მალტის შშმ პირთა ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებული ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების დეტალური გზამკვლევი:

www.knpd.org

- **SERI – Special Education Resources on the Internet**

კრებული ონლაინ მასალებისა, რომლებიც ეხება (სპეციფიკური) განათლების ხელმისაწვდომობას. ლინკები დაჯგუფებულია კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობების ან განათლების ცალკეული სფეროს მიხედვით (ფსიქოლოგია, სამართალი, პროდუქტები, მშობლები და ა.შ.).

www.seriweb.com

შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები:

- ევროპის შეზღუდულ შესაძლებლობათა ფორუმი (European Disability Forum)

EDF არის ევროპული მფარველი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ევროპაში მცხოვრებ 37 მილიონზე მეტ შშმ პირს. ორგანიზაციის მიზანია, უზრუნველყოს შშმ პირთა წვდომა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე მათი (შშმ პირების) აქტიური ჩართვით ევროკავშირის პოლიტიკის განვითარებაში.

www.edf-feeph.org

- Inclusion Europe

არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის ევროპაში მცხოვრები შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანების და მათი ოჯახების ინტერესების დასაცავად.

www.inclusion-europe.org

- ევროპის უსინათლოთა კავშირი (European Blind Union)

EBU-ს მოღვაწეობის მიზანია ევროპაში მცხოვრები უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანების ინტერესების დაცვა. ორგანიზაციის საიტი მორგებულია უსინათლო ადამიანების შესაძლებლობებზე (ხმოვანი ბრაუზერი და ა.შ.). საიტზე არის უამრავი დოკუმენტი და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ნებისმიერი რამ უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი.

www.euroblind.org

- IFHOHYP — International Federation of Hard of Hearing Young People

(სმენადაქვეითებული ახალგაზრდების საერთაშორისო ფედერაცია)

IFHOHYP არის სმენადაქვეითებულობის საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციების მფარველი ორგანიზაცია. იგი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებს, როგორებიცაა, მაგალითად, ორგანიზაციის წევრების სწავლება და ტრენინგები.

www.ifhohyp.org

☞ მეტი ლინკი SALTO-ს საიტზე: www.SALTO-YOUTH.net/Links/inclusion-disability.html

ინფორმაცია რედაქციაზე:

პირველად გამოიცა 2006 წლის აპრილში, მეორე გამოცემა - 2008 წლის აპრილში.

SALTO-ახალგაზრდობის ინკლუზიის რესურს ცენტრი

www.SALTO-YOUTH.net/Inclusion/

(გადღიერებული სწავლებისა და ტრენინგების მხარდაჭერა პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ ფარგლებში)

SALTO-Jint, Gretrystraat 26, 1000 Brussel, Belgium

tel: +32 (0)2 209 07 20 - faqsi: +32 (0)2 209 07 49

inclusion@salto-youth.net

დაფუძნებულია SALTO-ს ტრენინგ კურსიდან “Enable” (2003 წ.) მიღებულ გამოცდილებაზე -www.SALTO-YOUTH.net/TCenable/ და შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ექსპერტების კონსულტაციებზე: სონია ჰოლიუბკოვა და რენე ოპსომერი (SALTO-ს ტრენინგ კურსის “Enable” ტრენინგები).

მადლობას ვუხდით:

ბარბარა ვერბიკს (სლოვენიის შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთა კავშირი), ინეზ ედრიენსენს (Jint NA - ფლანდრია, ბელგია), ჯიმ ქროუს (შეზღუდული შესაძლებლობების შესწავლა, უელსი, გაერთიანებული სამეფო), კარინა ჩუპინას (სუსტი სმენის მქონე ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაცია, რუსეთი), ლოუიზა მაკბრაიდს (Ballyboffy Rural Youth Project, ირლანდია), მოკრან ბუსეს (ევროპელ უსინათლოთა გაერთიანება, პარიზი), რიტა ველას (LAND – Living Ability, Not Disability, მალტა), საიმონ სტივენსს (Enable Enterprises, გაერთიანებული სამეფო) მათი შეფასებებისთვის და შეტანილი წვლილისთვის.

კოორდინირება, ტექსტი და რედაქცია:

toni gedensi, tony@salto-youth.net ან Tony@Geudens.com

მხატვრული რედაქტირება: miXst, info@mixst.be

ილუსტრაციები: Zomarr, www.zomarr.be

დაბეჭდილია: Galio Crossmedia, www.galio.cz

კორექტირება: ფიონალა უოლში, fionnalawalsh@hotmail.com

დაშვებულია ბროშურის ასლების შექმნა და არაკომერციული მიზნებით გამოყენება წყაროს (www.SALTO-YOUTH.net/Inclusion/) მითითების და inclusion@salto-youth.net წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

წიგნის ქართული ვერსიის გამოცემაზე მუშაობდნენ:
ინგლისურიდან თარგმნა
ლევან ელიაშვილმა
რედაქტორი
თამარ თითმერია
ტექნიკური მოსახურეობა
შ. პ. ს. „არადანი ინფო“

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ
+995 32 2 30 22 53
contact@cync.ge
www.cync.ge

ევროპის მოსახლეობის დაახლოებით 15% შშმ პირია. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა ჩვენი სამეგობრო წრის, თანამშრომლების ან ორგანიზაციის წევრების 15%-ს შეზღუდული შესაძლებლობები?

ბროშურის არა ბარიერებს, არა საზღვრებს მიზანია, წახალისოს შშმ ახალგაზრდების მონაწილეობა საერთაშორისო ახალგაზრდულ პროექტებში. იგი ეხება არა ექსკლუზიურ პროექტებს მხოლოდ შშმ ახალგაზრდებისთვის, არამედ შერეული შესაძლებლობების პროექტებს, რომელთა ფარგლებშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ახალგაზრდები ერთად იმუშავებენ, იცხოვრებენ და გაერთობიან.

არა ბარიერებს, არა საზღვრებს დაეხმარება ახალგაზრდულ მუშაკებს და პროექტების ორგანიზატორებს, გახადონ თავიანთი სამუშაო ინკლუზიური და ჩართონ შშმ ახალგაზრდები საერთაშორისო პროექტებში. ბროშურაში მოცემულია უამრავი პრაქტიკული რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განვახორციელოთ წარმატებული და დასამახსოვრებელი შერეული შესაძლებლობების პროექტი.

თუ თქვენი ახალგაზრდული სამუშაოს ძირითადი მიზანია შშმ ახალგაზრდებზე ზრუნვა, ჩვენ გთავაზობთ გამოწვევას - თქვენს აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ახალგაზრდების ჩართვას. სოციალური ინკლუზიის არსი ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია და თანამშრომლობაა, და შერეული შესაძლებლობების საერთაშორისო პროექტების მიზანიც ზუსტად იგივეა!

